# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 5 ოქტომბერი 2000 №192 (1214) | ფასი 50 თეთრი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
**ლიტვა — საქართველო**
7 ოქტომბერი, კაუნასი 21.00

# თამაშგარე ამბები ნეიტრალურ ზონაში

ვახტანგ ბზიკაძე
კაუნასიდან



იცით, ვინ გადაუფრინა პირველად ატლანტის ოკეანეს და რა ბედი ეწიათ მათ? სტეპონას დარიუსმა და სტასის გირენასმა 1933 წელს თურმე თვითნაკეთი თვითმფრინავით გადალახეს მანამდე დაუძლეველი სივრცე. გზად შინისაკენ კი, ლიტვის საზღვრამდე რამდენიმეღა კილომეტრით მოშორებულ სოლდინში, რომელიც ახლა პოლონეთშია, მაშინ კი გერმანული ტერიტორია იყო, ლიტველი მფრინავები ოკუპანტებმა ჩამოაგდეს. ლიტველებმა დარიუსი და გირენასი გმირებად შერაცხეს, მათი გამოსახულება ათლიტიანს ამშვენებს. რაკი მათ ფრენის გარდა ფეხბურთიც იტაცებდათ და აქაური სპორტის პიონერები არიან, მათი სახელი კაუნასის მთავარ სპორტულ ცენტრსაც უწოდეს. მათზე ნამდვილად არაა ნათქვამი, დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო.

ეს საუკუნის დასაწყისში იყო. ახლა კი, სულაც ათასწლეულის მიწურულს, ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა ლამის იყო, ისრაელიდან ლიტვაში ჩამოსვლა ვერ მოახერხა, საბოლოოდ კი ამ გზის დაფარვას ორ დღეს მოუნდა. ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელ კობა წიტაიშვილის კლუბს ლიტვა ლატვიაში არევია და ჩვენებურს თავიდან რიგაში ამგზავრებდნენ, მერე კი ფრანკფურტს ჩაფრენილ წიტაიშვილს თავად აბნევია გზა და გზისმკვლევად თბილისში მყოფი ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის უფროსი დავით პეტრიაშვილი მოუშველიებია.

ახალგაზრდულის გუშინდელი ვარჯიშისას კობა უკვე ლიტვაში, ვილნიუსიდან გზად კაუნასისკენ იმყოფებოდა და სასტუმროში დაბრუნებულ თანაგუნდელებს „ნერისში“ დახვდა. ასე რომ, ის ერთ, დღევანდელ ვარჯიშსლა მოასწრებს ხვალინდელი მატჩისთვის, რომელიც შაულიაიში თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება.

ვარჯიშის დაწყება ახალგაზრდულ ნაკრებს უწიტაიშვილოდაც დაუგვიანდა. კაუნასის „კარიომინასის“ სტადიონზე, რომელიც ეგერების, ანუ სამთო მსროლელთა ბატალიონის ტერიტორიაზეა და ლიტვური ლიგის საშუალო კლუბის, „კარედას“ სარბიელია, ავტობუსმა 14-ის ნაცვლად 14.30 საათზე მიიყვანა მურთაზ ხურცილავას გუნდი.

ერთის მორჩენიდან ნახევარ საათში, ბუნებრივია, ისევ დაგვიანებით, უფროსებმა მეორე ვარჯიში გაახალეს და გუშინწინდელზე უმჯობეს მინდორზე საათნახევარი დაჰყვეს. ამჯერად, ცხადია, სხვა, თითქმის სრული შემადგენლობით.

ეროვნულ გუნდს გუშინწინვე შეუერთდნენ ნაშუადღევს გერმანიიდან ვილნიუსს ჩამოფრენილი არჩილ არველაძე და საღამოს ბრიტანეთის კუნძულიდან ჩამოსული გიორგი ქინქლაძე, რატი ალექსიძე და გიორგი ნემსაძე.

რატი ალექსიძე კახი ცხადაძესთან ერთად გუშინ ვილნიუსს გაბრუნდა იტალიის ვიზის მისაღებად. ალექსიძე, რომელსაც უეფას თასის საპასუხო მატჩში შვეიცარიულ „სენტ გალენთან“ „ჩელსის“ ძირითად გუნდში დებიუტი ჰქონდა, მწვრთნელებმა ზაზა ჯანაშიას ნაცვლად ორშაბათს გამოიძახეს, ამიტომ რატი საღამოს ვარჯიშს შუაწელშიღა შეუერთდა, მაგრამ ორი გოლის გატანა მაინც მოასწრო.

კახი ცხადაძე კი, ფედერაციის პრეს-მდივან მამუკა კვარაცხელიას თქმით, შეკრებაზე გამოძახებულთა შორისაა, რადგან მწვრთნელებს ახალნაოპერაციევი ექსკაპიტნის ნაკრებთან თუნდაც ყოფნა მისთვის მორალურ მხარდაჭერად მიუჩნევიათ. ვერაფერს იტყვი, კეთილშობილური საქციელია.

გუშინაც, გუშინწინდელის მსგავსად, ნაკრებს ძირითადად დავით ყიფიანი ავარჯიშებდა, რევაზ ძოძუაშვილი კი ან მსაჯობდა, ანაც მცველებს მოძღვრავდა და ძირითადად რეპლიკებით იფარგლებოდა. დირიჟორის ჯოხი ყიფიანს ეჭირა და მისივე მითითებით პრესინგზე მუშაობისას მცველები ბურთის მისაღებად მოედნის საკუთარ მეოთხედზე წინ არ უნდა წასულიყვნენ.

ორმხრივი თამაშისას, ჩანს, მეტი პრაქტიკისთვის, ნეიტრალური იყო გიორგი ქინქლაძე. გიოს საზარდულის ოპერაციის შემდეგ „დერბიში“ ცოტას ათამაშებენ და ლიტვასთანაც, საეჭვოა, ძირითადშივე ითამაშოს.

„ორი გოლი“ ტაქტიკურ ვარიანტთა დასამუშავებლად სხვადასხვაგვარი იყო. ყიფიანი მოთამაშეთაგან წინწასული თანაგუნდელის ზონის შევსებას ითხოვდა. ასე რომ, შეიძლებოდა მცველი შეტევაში, წინახაზელი კი ზურგში აღმოჩენილიყო. ამის მაგალითად არაერთხელ მოიერიშე, ტრავმადაამებული კალაძე და დაცვისკენ მაცქერალი ნემსაძეც გამოდგებიან.

ძოძუაშვილმა მცველები გუშინწინდელივით ცალკე გაიხმო. ძველ ოთხეულს ორი ახალი დაუმატა — თოდუას, ხიზანიშვილს, სილაგაძეს და რეხვიაშვილს პლუს კალაძე და ნემსაძე. აქედან ძნელი არაა დავასკვნათ, რომ ნემსაძეს დაცვისთვის ამზადებენ.

ძოძუაშვილი უკანახაზელებს ჯერ ბურთის ტარებაში ავარჯიშებდა და ფეხში პასს სთხოვდა. საკითხავია, რა ეფექტი შეიძლება გამოიღოს თამაშამდე სამი დღით ადრე ბურთის ტარებაში ვარჯიშმა. საამისოდ დაკარგული დროის დაცვით ტაქტიკაზე სამუშაოდ გამოყენება ალბათ უმჯობესი იქნებოდა. არა, ჩვენებმა დრო ამასაც დაუთმეს და, ეტყობა, ზონური დაცვის გამოყენებას აპირებენ — მაგალითისთვის ძოძუაშვილის ერთ რეპლიკას მოვიშველიებ: ახლა ზონაა და ოფსაიდს ვაძლევო.

ქართველები სადღეისოდ თემურ ქეცბაიას შემოერთებასღა ელიან, ლიტვის ნაკრები კი გუშინ სრულად შეიკრიბა. სტასის სტანკუსს ტრავმის გამო დააკლდა ვარშავის „პოლონიას“ და ნაკრების ძირითადის მცველი ტომას ჟვიგჟდაუსკასი. იგივე მიზეზით, თუმცა, ეჭვობენ, სხვა მოტივით, კაუნასში ჩამოსვლას თავი აარიდა ნორვეგიული ბერგენის „ბრანის“ ტომას რაჟანაუსკასმა. გაცილებით ადრე იუარა ნაკრებში თამაში უცნობილესმა ლიტველმა ფეხბურთელმა გინტარას სტაუჩემ. ბუნდესლიგიდან დაქვეითებული „დუისბურგის“ მეკარემ სანაკრებო დღეებთან შეუთავსებელი მეორე ბუნდესლიგის კალენდარი და ოჯახური პრობლემები მოიმიზეზა — მეუღლეს ახალშობილ გოგონასთან ერთად მარტო ვერ დავტოვებ და წლეულს ვერაფრით დაგეხმარებითო.

სამაგიეროდ (ამბობენ, ეს ბოლო ცდააო), მასპინძლებს დაუბრუნდათ სტაუჩეზე პოპულარული ლიტველი თავდამსხმელი ვალდას ივანაუსკასი, რომელიც ერთ დროს „ჰამბურგში“ თამაშობდა, ახლა კი გერმანიის რეგიონალლიგის „ნიურნბერგშია“. რაჟანაუსკასის ნაცვლად რეგიონალლიგისვე „უნიონ ბერლინიდან“ მიიწვია სტანკუსმა აიდას პრეკშაიტისი, ჟვიგჟდაუსკასის შემცვლელის არჩევას კი ახალგაზრდების ხვალინდელი მატჩიდან აპირებს.

— მთავარია, არ წავაგოთ. ჩვენი ტაქტიკა ფრთხილი, დაცვაზე აგებული უნდა იყოს — ამბობს სტასის სტანკუსი, რომელსაც ლატვიასთან ქართველთა 0:1 უნახავს და ჩვენს ნაკრებზე დიდი წარმოდგენა ისე შეუქმნია — თქვენებს მაშინ არ გაუმართლათ, გოლი კუთხურიდან რომ გაუშვეს, თორემ თქმა არ უნდა, უნდა მოეგოთო.

სტანკუსის „არ წავაგოთ“ ფანდი არაა: კაუნასში თამაშის მოწადინე არავინ ყოფილა, უბრალოდ, ვილნიუსში ხეირიანი სტადიონი არ მოიძებნაო. მაგ პროვინციის დედაქალაქში თამაში იგივეა, ქართველებს ნეიტრალურ მოედანზე შევხვდეთო, ამბობენ ლიტვის ნაკრების ფეხბურთელები.

გუშინდელი მოლაპარაკების მერე საბოლოოდ ალბათ დღეს გადაწყდება, უჩვენებს თუ არა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი შაბათის მატჩს საქართველოს მოსახლეობას. თამაშის ჩვენება ბევრს სურს, ფულის გადახდა კი არავის. მაგრამ ხალხმა რა დააშავა, თამაშს უნახავად არ დავტოვებთო — ამბობს მერაბ ჟორდანია.



გუშინ ალექსიძემ სანახევროდ ივარჯიშა, თუმცა ორი გოლის გატანა მაინც მოასწრო

## ამხანაგური მატჩი

**საფრანგეთი 1:1 კამერუნი**

1:0 ვილტორდი (20), 1:1 მბომა (44)
საფრანგეთი: ლეტიზი (დუტრუელი 59), ტურამი, ლებეფი, დესაი, ლიზარაზუ (მაკელელე 56), ვიეირა, პეტი, მისუდი (ჯეტუ 75), ვილტორდი (ჟული 67), ანრი, ტრეზეგე (რობერი 56)
კამერუნი: ბუკარი, ნჯანკა, კალა, სონგი, ფოე, აბანდა, ვომე (ჩატო 67), ოლემბე (მბამი 89), ჯერემი, მბომა (ჩაუტანგი 67), ეტოო (ჟობი 84)
მსაჯი: მიშელ პირო (ბელგია)

# ყველა ტიტული სტად დე ფრანსზე

მართალია, კამერუნი მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონია, საფრანგეთი კი ევროპისა და საერთოდ მსოფლიოსიც, „სტად დე ფრანსზე“ გამართული გუშინდელი ამხანაგური მატჩი მაინც ფრედ დამთავრდა. „ეს ჩვენთვის უდიდესი საღამო გახლდათ“ — განაცხადა სიდნეის საფეხბურთო ტურნირის ერთ-ერთმა გმირმა პატრიკ მბომამ, ვინც წუხელაც ოყოჩაღა და ჩინებული დარტყმით ანგარიში გაქვითა.

მანამდე კი ფრანგთა არსენალური კომბინაცია გამოდგა შედეგიანი: პატრიკ ვიეირამ თანაგუნდელ ვილტორდს გაატანინა.



ტიერი ანრიმ (№12) და მისმა საფრანგეთმა რეალელი ჯერემი ნჯიტაპის კამერუნს ვერაფერი დააკლეს

# «დანდი» გალამაზდა



კაუნასში მყოფმა გიორგი ნემსაძემ ალბათ ჯერ არც იცის, რომ შოტლანდიაში დაბრუნებულს ახალი თანაგუნდელის გაცნობა მოუწევს. გუშინ „დანდისთან“ მცირეხნიანი კონტრაქტი გააფორმა 33 წლის არგენტინელმა კლაუდიო კანიჯამ. მარადონას ყოფილი პარტნიორი ნემსაძის გუნდს მიმდინარე სეზონის ბოლომდე დაეხმარება.

## ჰოლანდია

სათასო მატჩი
**გრააფსხაპი 1:2 მაასტრიხტი**



თენგიზ სულაქველიძე



შოთა ჭეიშვილი

ვაჟა კილოლაძის ფოტოები

# მოემზადეთ ბულგარეთში, მოიგეთ რუმინეთში, წადით ინგლისში

ისე მოხდა, რომ საქართველოს ეროვნული, ახალგაზრდული და 18-წლამდელები უცხოეთში არიან, დღეს რუმინეთს მიემგზავრებიან 16-წლამდელებიც. მოკლედ, შინ მხოლოდ ქვეყნის საუკეთესო 14 წლის ბავშვებილა დარჩნენ.

ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები, მოგეხსენებათ, ლიტველებს უნდა გაეჯიბრნონ, 16-წლამდელებსაც შესარჩევი მატჩები ელით, ოღონდ ევროპის ჩემპიონატისა, აი, 18-წლამდელები კი ასევე, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის, რომელიც ხორვატიაში უნდა ჩატარდეს, ახლა ბულგარეთში ემზადებიან.

18-წლამდელთა მწვრთნელმა შოთა ჭეიშვილმა ბულგარეთში 18 ფეხბურთელი იახლა და ნოემბერში, ხორვატ და ესპანელ თანატოლებთან სათამაშოდ ამზადებს.

*მეკარეები: მანუჩარ ივარდავა (ლოკომოტივი), ზურაბ მამალაძე (ინტერი);*

*მცველები: ირაკლი სახურია, გაგა გაღაბაძე (ორივე თბილისი), ზვიად ლაბაძე (თსუ), ალექსანდრე ჩივაძე (დინამო 2), დავით ზაზაშვილი (ხალიბი), ალექსანდრე ამისულაშვილი (ინტერი), იროდი ჯოჯუა (შევარდენი);*

*ნახევარმცველები: გიორგი ნორაკიძე (დინამო 2), არჩილ ოლგესაშვილი (დილა 2), ვლადიმერ ძაგნიძე (თბილისი), გალაქტიონ ზოიძე, ნუკრი მანჩხავა (ლოკომოტივი 3);*

*თავდამსხმელები: ბესიკ ქარდავა, მიხეილ ცქიფურიშვილი (ორივე დინამო 2), ვლადიმერ ახალაია (ზიმბრუ, კიშინიოვი, მოლდოვა).*

18 წლამდელთა ნაკრებს რომელიც ბულგარეთში 11 ოქტომბრემდე დაჰყოფს, ორი ამხანაგური მატჩიც აქვს დაგეგმილი.

დღეს კი საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები რუმინეთს მიემგზავრება და 8-10 ოქტომბერს ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის ორ შესარჩევ შეხვედრას ჩაატარებს. შეგახსენებთ, ჩვენი ჭაბუკები VIII ჯგუფში მოხვდნენ რუმინელ და ალბანელ თანატოლებთან ერთად. პირველად, 8-ში ქართველები ალბანელებს დაუპირისპირდებიან, 10-ში კი მასპინძლებს.

16-წლამდელთა მწვრთნელმა თენგიზ სულაქველიძემ ამ ორი მატჩისთვის 18 ფეხბურთელი გამოიძახა:

*მიხეილ მუჯრიშვილი (ვაკე 91), ზურაბ ექონია, ირაკლი მალიჩავა (ორივე დინამო, ზუგდიდი), ლაშა ჭელიძე, იოსებ ქარსელაძე, ირაკლი მოდებაძე, ზაზა სახოკია, ოთარ მარცვალაძე, ვასილ ერემეიშვილი, შალვა ფირცხალავა, შოთა კაშია, მამუკა ლომიძე (ყველა ბავშვთა ფეხბურთის აკადემია), დავით ჭილრაძე (მთვარის გლობუსი), გიგლა ახალაია, ირაკლი მაჭავარიანი (ორივე მერანი, თბილისი), ირაკლი თოთლაძე (ბათუმი 2), თემურ ბურნაძე (დილა, გორი), დავით გუგუნაძე (შევარდენი, თბილისი).*

ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ჯგუფში გამარჯვებული ითამაშებს. ინგლისში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლადაც თენგიზ სულაქველიძესა და მის შეგირდებს დიდი ბრძოლა ელით.

მათ შარშანდელი სამარცხვინო შედეგიც უნდა გამოასწორონ. ზუსტად ერთი წლის წინ, ანალოგიური შესარჩევი ტურნირი, ოღონდ ოთხ გუნდს შორის თბილისში რომ ჩატარდა და საქართველოს 16 წლამდელებს რევაზ გაგუა წვრთნიდა, ჩვენებურებმა ბოლო მე-4 ადგილი დაიკავეს. ბერძნებთან 0:2 წააგეს, ბულგარელებთან 1:2 და ხორვატებთან ფრედ 0:0 ითამაშეს. ისე, იმავე რევაზ გაგუას ხელმძღვანელობით ქართველი ჭაბუკები ადრე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც მონაწილეობდნენ.

ლუკა თალაქვაძე

# ვითამაშოთ აფხაზეთისთვის

7 ოქტომბერს, როცა საქართველოს ნაკრები ლიტვასთან ითამაშებს, ფოთში საქველმოქმედო მატჩი გაიმართება, „კოლხეთი" აფხაზეთის ნაკრებს შეხვდება, რომლის მთლიანი შემოსავალი იძულებით გადაადგილებულთ და ნორჩ ფეხბურთელებს მოხმარდებათ.

აფხაზეთის ნაკრებში ის ფეხბურთელები ითამაშებენ, რომლებიც ეხლა საქართველოს გუნდებში არიან მიმოფანტულნი და ასე თუ ისე ამინდსაც ქმნიან. გუნდს ალბათ ვერ დაეხმარება ვეტერანი გიორგი ჩიხრაძე, დანარჩენები კი, ვინც მწვრთნელმა ბონდო კაკუბავამ მიიწვია, ზღვისპირეთს უკლებლივ ეწვევიან.

ფოთის „ფაზისზე" ითამაშებენ: *გოჩა ჟორჟოლიანი (ცხუმი), ზურაბ ქვაჩახია (უგუნდოდ); ბადრი ახვლედიანი, ვალტერ გუჩუა, ჯონი შალამბერიძე (ყველა ტორპედო), გიგა გადელია, თენგიზ სიჭინავა, მურთაზ შელია (ყველა დინამო), გელა გაბისონია (უგუნდოდ), დემურ კაკუბავა, ლევან თოლორდავა, კობა ოდიშარია (ყველა მერანი), ზურაბ მინდაძე (ბათუმი), რომეო კოჯიტაძე (ზუგდიდი), მამუკა რუსია, ლევან მიქაძე (ორივე ლოკომოტივი) და შერმადინ დანელია (გუნდი უცნობია).*

გიორგი ვაშაძიძე

# ფრაიბურგმა ცქიტიშვილი სამი წლით დაიტოვა

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი ლევან ცქიტიშვილი, რომელიც გერმანულ პირველ ბუნდესლიგაში ახლა მესამე სეზონს ატარებს, „ფრაიბურგში" კიდევ ორნახევარი წელი ითამაშებს. დიახ, ცქიტიშვილმა გერმანულ კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა. ახალი ხელშეკრულების თანახმად, იქ 2003 წლის ივნისის ბოლომდე დარჩება.

ცქიტიშვილი „ფრაიბურგში" 1999 წლის იანვარში მივიდა. ამ დროს გუნდის ღირსებას უკვე იცავდნენ ალექსანდრე იაშვილი და ლევან კობიაშვილი. სწორედ მათი კარგი თამაშის დამსახურება იყო, რომ მწვრთნელი ქართველი ფეხბურთელებით დაინტერესდა. ფინკეს ცქიტიშვილი მოუვიდა თვალში, თბილისის „დინამომაც" ლევანს, ცხადია, ამ ტრანსფერში ხელი არ შეუშალა.



ლევან ცქიტიშვილი

ქართველი (24 წლის იუბილეს ნაკრებთან ერთად 10 ოქტომბერს იტალიაში იზეიმებს) მალე შეეწყო „ფრაიბურგს", მეორე წრის დაწყებისთანავე გუნდის ძირითადშიც მოხვდა და ნორმალურადაც თამაშობდა. აი, შარშანდელ ჩემპიონატში კი საქმეები აეწეწა, პირველ ტურებშივე მძიმედ დაშავდა და თითქმის მთელი სეზონიც გაუცდა, მინდორზე ბოლო მატჩებშიღა გამოჩნდა.

წლეულს ჩვენებურმა გუნდთან ერთად სრულფასოვანი მომზადება გაიარა. ფინკეც ცქიტიშვილს ენდო და აგერ უკვე ოთხი ტურია, ლევანი „ფრაიბურგის" ძირითადშია. ეტყობა, კლუბის ხელმძღვანელობა ქართველის თამაშით კმაყოფილი დარჩა და...

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ „ფრაიბურგთან" კონტრაქტები ალექსანდრე იაშვილმა და ლევან კობიაშვილმაც გააგრძელეს. ასე რომ, „ფრაიბურგში" მომავალშიც სამი ქართველი ითამაშებს.

ვანო ოქროპირიძე

# ექვსეული ფულს მიიღებს

ალბათ გაინტერესებთ, რა ბედი ეწია „ბათუმიდან" უსამართლოდ დათხოვნილ ექვს ფეხბურთელს, რომელთაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია თანადგომას დაჰპირდა.

ორშაბათს პრეზიდენტმა მართლაც მოაწერა ხელი ბრძანებულებას, რომელიც „ბათუმს" დაუყოვნებლივ გაუგზავნეს.

აი, რა წერია მერაბ ჟორდანიას მიმართვაში: „ფედერაციამ გაითვალისწინა რა, „ბათუმიდან" უსამართლოდ დათხოვნილ ფეხბურთელთა მდგომარეობა, გადაწყვიტა: დაევალოს საფეხბურთო კლუბ „ბათუმს" — ზურაბ ქვაჩახიას, გელა გაბისონიას, ირაკლი ბარქაიას, კახა სიდამონიძეს და ბესიკ შენგელიას სრულად გადაუხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული კუთვნილი ხელფასი, შემდეგი თანმიმდევრობით: აგვისტო-სექტემბრის ანაზღაურება ოქტომბრის ბოლოს, ხოლო ოქტომბერ-ნოემბრის ხელფასი ნოემბრის დამლევს, რის შემდეგაც ამ ფეხბურთელთა კონტრაქტები საფეხბურთო კლუბ „ბათუმთან" 3 დეკემბრიდან ბათილად იქნეს ცნობილი".

ასე რომ, დაზარალებული ფეხბურთელები თავისას მიიღებენ, „ბათუმიც" არ არის უარზე, გადავიხდითო.

ზემოთ ნახსენებ მოთამაშეებს გაზაფხულიდან შეეძლებათ ბურთაობა, მანამდე კი ზოგიერთები სასურველ კლუბებთან ვარჯიშობენ, ქვაჩახია და ქობულაძე ფოთის „კოლხეთთან" (თუმცა ყვავილნარში არ იმყოფებიან), გელა გაბისონია „მერანთან", დანარჩენთა ასავალ-დასავალი კი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

გიორგი ვაშაძიძე

# ვიმ დე კონინკი: მზერა ჯაკობიასკენ



ლაშა ჯაკობია

ვაჟა კილოლაძის ფოტო

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებს — მურთაზ ხურცილავას და ვახტანგ კოპალეიშვილს დიდი იმედი ჰქონდათ, იქნებ ლიტვა-იტალიასთან მატჩებში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი, ბელგიური „აალსტის" ლაშა ჯაკობიაც დაგვეხმაროსო, მაგრამ...

— მეოთხე თვეა, უკვე ვერ ვთამაშობ და გული მწყდება. ვერც ახალგაზრდულ ნაკრებს ვეხმარები და ვერც „აალსტს" — გვითხრა ლაშამ, როცა გუშინ ბელგიაში შევეხმიანეთ.

ჯაკობია ტრავმირებულია. ვიცოდით, გარკვეული პერიოდი აქ, თბილისში გაატარა. ახლა იგი 10 დღეა, ბელგიაში იმყოფება. ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საზარდულის ოპერაცია გაიკეთა პატარა ბელგიურ ქალაქ ლუვენში ამ ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო დასტაქართან და ახლა აღდგენითი პროცესიც ნორმალურად მიდის.

— ექიმი მაიმედებს, დაახლოებით ოთხ-ხუთ კვირაში ვარჯიში შეგეძლებაო, მეც რა გზა მაქვს, უნდა დავუჯერო — ნაღვლიანად დაამატა ლაშამ.

ერთი სიტყვით, ტრავმირებული ლაშა ჯაკობია კვლავაც უქმადაა. მის არყოფნაში კი „აალსტის" მწვრთნელ ვიმ დე კონინკს მეორე გუნდიდან 19 წლის ბელგიელი ჯაკობსი გადაუყვანია, ეგებ გამიმართლოსო, მაგრამ მწვრთნელს იმედები უცრუვდება. ამიტომაც თავს დასტრიალებს ლაშას, დროზე გამოჯანმრთელდი, შენი ტრავმა ძალიან მაფიქრებს და ერთი სული მაქვს, როდის გათამაშებო.

„აალსტი" ბელგიის ჩემპიონატში ახლა მე-15 ადგილზეა ოდენ 4 ქულით და გასავარდნთა ზონაში ტრიალებს. რვა თამაშში ჯაკობიას თანაგუნდელებმა ერთადერთხელ მოიგეს. „აალსტი" ბოლო ტურშიც დამარცხდა, სტუმრად „ჟერმინალ ბეერსხოტთან" 0:2 წააგო. ყველაზე მეტად გუნდს თავდასხმის ხაზში უჭირს, რვა თამაშში სულ 6 გოლი დამეთანხმებით, ძალიან ცოტაა, მასზე უარესი შედეგი „ბევერენს" და „ლუვიეს" აქვთ. ამ გუნდების ბედოვლათმა თავდამსხმელებმა სულ ხუთად ხუთჯერ დალაშქრეს მეტოქეთა კარი. ალბათ ამიტომაცაა, რომ ვიმ დე კონინკი ჯაკობიას თამაშს ესწრაფვის.

„ბეერსხოტთან" მატჩში კი საინტერესო რა იყო, იცით? მასპინძლების კარს თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარე და ათგზის საქართველოს ჩემპიონთა ხელმძღვანელობაზე განაწყენებული 36 წლის დენიტ დონდტი იცავდა, მშრალადაც შეინახა...

გიორგი ვაშაძიძე



1997 წელი, 10 სექტემბერი. საქართველო — იტალია 0:0.
ანკონაში მიხეილ ყაველაშვილი და პაოლო მალდინი (№3) ისევ უნდა შეიყარნონ

# 600 ათასით, იმედით და პრობლემებით

„ეს ჩვენი ბოლო შანსია"... ეროვნული ნაკრების ექსკაპიტან კახა ცხადაძეს ახალი არაფერი უთქვამს, მსგავსი ადრე სხვებისგანაც მოგვისმენია. საგულისხმო უფრო ის გახლავთ, რომ ცხადაძემ სრული სიმართლე უთხრა ქომაგს.

საქართველოს ეროვნული ნაკრები რიგით მეოთხე შესარჩევ ციკლს იწყებს და გუნდში ახლაც მრავლად არიან ფეხბურთელები, რომლებმაც ჯერ კიდევ ალექსანდრე ჩივაძის ხელში დააჭაშნიკეს ევროსარბიელის ტკბილ-მწარე გემო.

რამდენიმე მათგანი, ალბათ, მომავალ ციკლსაც ითამაშებს, ზოგი კი ნაკრებს, იქნებ ფეხბურთსაც, დაეთხოვება და მწვანე მინდვრიდან ტრიბუნაზე გადაინაცვლებს. სწორედ ეს გახლავთ ცხადაძის სიმართლე.

მე თუ ვინმე მკითხავს, დაუფარავად ვიტყვი, კორეა-იაპონიაში მოხვედრის შანსი მინიმალურია, მხოლოდ ცარიელი იმედი და მეტი არაფერი. მერწმუნეთ, ძალიან მინდა, ვცდებოდე, მაგრამ...

სულ ერთ კვირაში გაირკვევა საქართველოს ეროვნული ნაკრების შესაძლებლობები. მართალია, შანსი მაინც გვექნება, მაგრამ რეალური სურათი გამოიკვეთება.

მანამდე კი ძალიან საქმიანი ვითარება სუფევს ქართულ საფეხბურთო ბანაკში. დიდი თუ პატარა, უფროსი და უმცროსი, ვეტერანი და ახალბედა, ყველა ნაკრებში და ნაკრებთანაა.

ჩვენ არც ისე ახლოს ვართ ეროვნული გუნდის შინაურ სამზარეულოსთან. ფეხბურთელებს ლაპარაკი (რა თქმა უნდა, დროებით) აკრძალული აქვთ. მწვრთნელებიც დუმილს ამჯობინებენ, ფედერაცია კი დაუზარებლად მხოლოდ დელეგაციის ორგანიზაციულ თუ ოფიციალურ საკითხებზე საუბრობს.

ზედაპირულად რაც ჩანს, ესაა — ერთიანობას ვხედავთ ქართულ ბანაკში. ერთმანეთთან ასე ახლოს არასდროს ყოფილან მწვრთნელ-ფეხბურთელები და საფეხბურთო ჩინოვნიკები. ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ძველი, ტკბილი დრო გაიხსენა, სავარჯიშო ფორმა მოირგო და მოთამაშეებში გაერია. ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე რევაზ ძოძუაშვილს მცველების მომზადებაში ეხმარებოდა. გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარიაც სავარჯიშო მინდორზეა. ნაკრებს ამხნევებს კახა ცხადაძე, კვლავაც ტრავმირებული ექსკაპიტანი კაუნასში ახლავს გუნდს.

როგორც იქნა, მოხერხდა და საქართველოს ნაკრები სოლიდურად ჩაცმულ-დახურული წავიდა საზღვარგარეთ. მართალია, კალაძე-დემეტრაძეს ახალი ალკაზმულობა ცოტა გვიან გადასცეს, მაგრამ ახლა გუნდს ერთნაირი, ერთი ფირმის, „ლოტოს" სამოსი აცვია.

ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა მურთაზ ხურცილავამ თავისი „ნაიკის" კეპი პირველი შენიშვნისთანავე ისე საგულდაგულოდ გადამალა, რომ მგონი, თავად გაუჭირდება მიგნება.

სასტუმროებს, სადაც ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები დაბინავდნენ, არაფერი დაეწუნება. კვება და სხვა საყოფაცხოვრებო თუ სავარჯიშო პირობები ნორმალურია.

ვერსად მოისმენთ უდარდელ სიცილ-ხარხარს, რითაც ადრე გამოირჩეოდა უპირველესი ქართული გუნდი. არა, არც უხასიათობა იგრძნობა თურმე, მაგრამ სერიოზულობა უფრო სჭარბობს. და არ დაგავიწყდეთ საპრემიო 600 ათასი. ძალიან დიდი ფულია დღევანდელ საქართველოში.

იფიქრებთ აგვწყობია საქმეები და ეგაა, წავსულვართ კორეა-იაპონიაშიო. ჯერ ნუ იჩქარებთ. მოდით, ახლა ნაკრების პრობლემებზე ვისაუბროთ.

რევაზ ძოძუაშვილისა და დავით ყიფიანის არჩევანი ორ მეკარეზე შეჩერდა — ირაკლი ზოიძე და დავით გვარამაძე. მწვრთნელებს სხვა გზა არც ჰქონდათ. დღევანდელ საქართველოში ისინი საუკეთესონი არიან და პრობლემაც აქიდან იწყება. ამხანაგური მატჩების უმრავლესობა გვარამაძემ და გრიშიკაშვილმა ითამაშეს. სოსო თბილისში დარჩა, ხოლო დათოს, რომელიც ბოლო დროს კლუბში სულ სათადარიგოა, სათამაშო პრაქტიკა აკლია. ლიტვასთან კარში ზოიძე ჩადგება...

ალბათ მხოლოდ ძოძუაშვილმა და ყიფიანმა იციან, ვინ ითამაშებს დაცვაში. ვის ენდობიან მწვრთნელები? უკანა ხაზის შვიდი ფეხბურთელია ნაკრებში. კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან სილაგაძე, ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი, სევასტი თოდუა და ზურაბ მენთეშაშვილი. დაცვის ნებისმიერ პოზიციაზე თამაში მათგან მხოლოდ კალაძეს ხელეწიფება. კახას მწვრთნელები დაუფიქრებლად ენდობიან, მაგრამ ფეხს იტკივებს ქართველი უნივერსალი.

საჭიროების შემთხვევაში კაპიტან გიორგი ნემსაძისა და ალექსანდრე რეხვიაშვილის უკან დახევაც შეიძლება, მაგრამ გასული შესარჩევი ციკლიდან მოყოლებული დაცვა, ისევე როგორც მეკარე, ნაკრების ყველაზე სუსტი წერტილია.

ნახევარდაცვაში არავინაა გამოუცდელი და ახალბედა. დრიბლინგი შესაშური, პასი მოსაწონი, სათამაშო სიტუაციებში გარკვევა და საფეხბურთო აზროვნება დამაკმაყოფილებელი. მათ ერთი უარყოფითი მხარე აქვთ, მეტოქის შუა ხაზთან თანასწორი ორთაბრძოლა მთელი 90 წუთის მანძილზე არ ძალუძთ. თუ ეს მოახერხეს, მაშინ ეროვნული გუნდის ბედს ძალლი არ დაჰყეფს.

გიორგი ქინქლაძე ბოლომდე მზად ვერ უნდა იყოს. გოჩა ჯამარაული ჩინებულ ფორმაშია. თემურ ქეცბაია ჯერაც მგლოვიარე იქნება, მაგრამ მუდამ ჟინიანისა და ენერგიულის იმედი უნდა გვქონდეს. მიხეილ ყაველაშვილი აუცილებლად ნახევარდაცვაში ითამაშებს, ყიფიანისა და ძოძუაშვილის გუნდში აქამდე სულ შუა ხაზში დახარჯულა. არ დავივიწყოთ კახა გოგიჩაიშვილი. თუ მას გამძლეობა ეყო, მინდორზე სასარგებლო იქნება. რატი ალექსიძის ნახევარდაცვის ფლანგზე გამწესება კი დიდ შედეგს ვერ მოიტანს, მისი გამოყენება ისევ თავდასხმაშია უპრიანი.

სამწუხაროდ, ვერ ითამაშებენ შოთა არველაძე და ზაზა ჯანაშია. ბედისწერაა, თუ რა, იტალიაში, იტალიასთან თამაში მოახლოვდება და ტყუპისცალიც ტრავმას მიიღებს-ხოლმე. მწვრთნელებს შოთას იმედი, ალბათ, არც აქვთ.

ზაზა ჯანაშია ისევ გამოუცნობ ფეხბურთელად რჩება საქართველოსთვის, არადა, როცა ითამაშა, თითქმის ყველა მატჩში გოლი გაიტანა. ზაზამ ტვინის შერყევა მიიღოო, გავიგეთ და ადრინდელივით გულში გაგვკრა, ხომ არ ეშმაკობენ „ლოკომოტივი" და ჯანაშია?!

სახელის გატეხვასო...ნათქვამია. ზაზამ „ზენიტთან" მატჩში ბოლომდე იბრძოლა, გოლიც გაიტანა და საუკეთესოდაც აღიარეს. მერე ტვინის შერყევაო... რუსული საინფორმაციო საშუალებები ჯანაშიას ავადმყოფობაზე ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან. ისე უცნაურიც კია, მას შემდეგ, რაც ყიფიანი და ძოძუაშვილი ნაკრებს ერთად ჩაუყენეს სათავეში, ჯანაშიას ამხანაგურ მატჩებშიც მიუღია მონაწილეობა და გოლებიც გაუტანია.

მწვრთნელებმა დაუჯერეს ზაზას, ნაკრების ექიმმა, დიმიტრი ზაალიშვილმა დაასაბუთა, რომ მსგავსი რამ რეალურად შეიძლება მოხდეს, დანარჩენი ჯანაშიაზე იყოს. თუ სიმართლეს ამბობს, მაშინ სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ, არადა, ღმერთი ყველაფერს ხედავს და მტყუან-მართალი მან განსაჯოს.

ნაკრების თავკაცების განკარგულებაში არჩილ არველაძე, ალექსანდრე იაშვილი და გიორგი დემეტრაძე არიან. მწვრთნელებს ლავირების საშუალებაც აქვთ და მათი გადასაწყვეტია, თავდასხმაში ვის დააყენებენ.

როგორც ხედავთ, პრობლემები თავსაყრელია, მაგრამ ყველაზე დიდი საფიქრალი მაინც ერთია: არიან კი ჩვენი მწვრთნელ-ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად მზად გამარჯვებისთვის? ეროვნულ ნაკრებს დიდი ხანია, სერიოზული მატჩი არ მოუგია. ფიზიკური მზადყოფნა ეყოფათ? გაუძლებენ ქართველები ლიტვასა და იტალიაში ბრძოლებს? ძალების აღსადგენად ხომ სულ სამად სამი დღე რჩებათ.

თუ მზად არიან, თუ გაუძლებენ, მაშინ შანსები და იმედები ორმაგდება. არადა, აქამდე უნახავიც არაფერი მოხდება. წააგებს ნაკრები, შეიცვლებიან მწვრთნელები, მერე ატყდება ახალი აჟიოტაჟი. ახალი მწვრთნელი ორიოდ დღეს კარგად დაგვის და... თუ ასე მოხდა, ესე იგი ქართული ფეხბურთი თავისი ძველებური, ყოველდღიური ცხოვრებით მდორედ მიუყვება გზას.

რაც შეეხება გამოცდილებას, ამაზე წუწუნი არასერიოზულობაა და მეტიც არაფერი. თუ ეროვნული გუნდის ფეხბურთელები გამოუცდელები არიან, მაშინ არ ყოფილა საშველი. მათი უნახავი არაფერი დარჩენილა ამქვეყნად. გაუგებარია, კიდევ რა არის საჭირო გამოცდილების მისაღებად.

სადაც ამდენი ეროვნულ გუნდზე ვისაუბრეთ, მართლები ვერ ვიქნებით, ახალგაზრდულზეც არ ვთქვათ. მურთაზ ხურცილავას ჰყავს შეთამაშებული გუნდი. იმ ბიჭებმა გამარჯვების გემო და სიხარული იციან, დამარცხებულის ფსიქოლოგია არ გასჯდომიათ ძვალსა და რბილში და წარმატების იმედიც მეტი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ...

ინგლისელ თანატოლებთან სამარცხვინო მარცხმა ბევრი დააფიქრა. ნოკდაუნში აღმოჩნდა ხურცილავას გუნდი. ზოგის აზრით, შეცდომა იყო შესარჩევი ციკლის წინ ინგლისში გამგზავრება. ზოგიც სასარგებლოდ მიიჩნევს იმ განდგურებას, ნაკლოვანებები თვალნათლივ გამოჩნდა და გამოსწორდებაო. ხარვეზები ორ კვირაში ძნელად აღმოსაფხვრელია.

ახალგაზრდულ გუნდს გაუძლია ნორვეგიელებისთვის, სლოვენიასთან... და იქნებ...

ეს „იქნებ" კიდევ ცალკე პრობლემაა ქართული ფეხბურთისთვის.

**მამუკა ძვანტალიანი**



სამწუხარო, თუმც მოსალოდნელი:
ზაზა ჯანაშიამ (№10) ნაკრებს ისევ უარი შემოუთვალა



შოთა არველაძე ლიტვა-იტალიაში
ვერც ნაკრებს დაეხმარება და ვერც ტყუპისცალ აჩიკოს

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი წრე

# 7 ტური

# შევიდეთ, ავშრიოთ!

## ძველ ანაგაში მატჩი შეწყდა, მსაჯი კრიჭაშვილი კი პენალტმა გადაარჩინა

ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში უკვე მეშვიდე ტური მიილია და სატურნირო ვითარებაც ერთიორად დაიძაბა. დაძაბულობა (თამაშის ხარისხის რა მოგახსენოთ) არც ტურის მატჩებს აკლდა. ერთი-ორგან ისეთებიც მოხდა, საკრივო რინგს რომ უფრო დამშვენდებოდა, თუმც ჯობს ყოველივეს თანმიმდევრობით მივყვეთ.

იმარჯვეს წინა ტურის ლიდერებმა. „შუქურა" სტუმრად „ოკეანეს" გაუმკლავდა. „ცხინვალმა" კი „თბილისს" სძლია.

გორში, „ქართლის" სტადიონზე (სადაც საშინაო შეხვედრებს მართავენ ცხინვალელები) მასპინძლები გაორკეცებული მონდომებით გავიდნენ სათამაშოდ. ამ მატჩამდე სამი დღით ადრე ამავე სტადიონზე სწორედ ეს ორი გუნდი დაუპირისპირდა ერთურთს საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალის პირველ შეხვედრაში, „თბილისმა" გარკვეულწილად სენსაცია მოახდინა და ორი ბურთი გაუტანა „ცხინვალს". მართლია, ორიც საკუთარ კარში მიიღო, მაგრამ განმეორებითი მატჩის წინ მერვედფინალში გასვლის კარგი შანსი გაიჩინა. მოკლედ, 27 სექტემბერს „ცხინვალს" ფეხი დაუცდა და რა გასაკვირია, რომ შურისძიების წყურვილი ამოძრავებდა. რევანში ეფექტური გამოდგა — 5:0 ყველაფერზე მეტყველებს. „თბილისის" გაბითურება მეხუთე წუთზე გამოცდილმა მარლიშვილმა დაიწყო. შემდეგ კი გვირჯიშვილის ჯერი დადგა. აწ უკვე ლიგის ერთპიროვნულმა ბომბარდირმა სამჯერ დაამწუხრა სტუმრები, მატჩს კი წერტილი ნასუაშვილმა დაუსვა და „ცხინვალი" კვლავაც ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს „შუქურას".

ზღვისპირელებთან არ უმართლებს სამტრედიულ „ოკეანეს". სათასო მატჩში „ბათუმთან" 0:6-ით განადგურებას „ოკეანემ" მეორე მარცხიც მიაყოლა შინ, ქობულეთის „შუქურასთან". „ოკეანე" სახეცვლილი დაუხვდა მეტოქეს. როგორც იცით, წინა ტურში „სამგურალთან" მატჩის წინ გუნდში სერიოზული განხეთქილება მოხდა, რასაც ფეხბურთელთა ერთი ნაწილის დემარში მოჰყვა. სერიოზული დაპირისპირება წარმოიშვა „ოკეანეს" პრეზიდენტ მურმან ძნელაძეს და მთავარ მწვრთნელ კახა ელაშვილს შორის. ამ ინციდენტის გამო ამას წინათ ძნელაძეს დავუკავშირდით. მან გვითხრა, რომ სიტუაციაში გაერკვეოდა და ყველაფერს მოაგვარებდა. გარკვეულწილად ასეც მოხდა — აჯანყებული ფეხბურთელები გუნდს დაუბრუნდნენ, მთავარი მწვრთნელი კახა ელაშვილი კი ევგენი დოლიძემ შეცვალა, სწორედ მან გაიყვანა გუნდი „შუქურასთან" სათამაშოდ, თუმც დებიუტი მარცხიანი გამოდგა. სამტრედიელები მინიმალური სხვაობით დამარცხდნენ, არადა, უკეთეს შედეგს იმსახურებდნენ. მატჩის დასაწყისში მაღლაკელიძეს პენალტი რომ გამოეყენებინა, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მაგრამ რაც ვერ შეძლო მაღლაკელიძემ, გააკეთა ბერიძემ და გამარჯვებაც მის გუნდს დარჩა.

ქულები გაიყვეს „ხობმა" და „სამგურალმა" და ეს თუ სტუმრებს დაეტყოთ (ერთი ადგილით აინაცვლეს სატურნირო ცხრილში), ხობელთათვის ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. პირიქით, ექსუმაღლესლიგელს „მილანმაც" გადაასწრო და ახლა მხოლოდ ერთქულიან „ივერიასღა" უსწრებს. „ხობის" ამგვარი წარუმატებლობა ძალიან გასაკვირია. ჩემპიონატის შვიდ მატჩში გუნდმა მხოლოდ ორი ბურთის გატანა შეძლო, რაც ერთობ არასახარბიელო შედეგია. ამ მხრივ არაფერი უჭირს „სამგურალს", იასონ ბზიკაძის დამოძღვრილებმა ათჯერ გაუტანეს მეტოქეებს, მაგრამ უმაღლესი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად გვარიანი გარჯა მოუწევთ.

პირველი გასვლითი მატჩი მოიგო რკინიგზის შვილობილმა „გურიამ", თუმც სტუმრებს აშკარად გაუმართლათ. „ივერიამ" ტოლი არაფერში დაუდო მეტოქეს და მეათე წუთზე ვლასოვის გოლით დაწინაურდა. „გურიამ" პირველ ტაიმშივე გაქვითა, მაგრამ თამაში კვლავაც მასპინძელთა უპირატესობით გაგრძელდა, თუმც „ივერიამ" ვერაფრით შეძლო დაწინაურება, 83-ე წუთზე კი გოლი გაუშვა — სტუმრები მცველმა თამაზ გაბრიჭიძემ გაახარა და „გურიაც" ათი ქულით მეექვსე ადგილზე ალმოჩნდა, თანაც ლანჩხუთელებს ერთი თამაში გამოტოვებული აქვთ და იმ მატჩში წარმატების შემთხვევაში საგრძნობლად გაიუმჯობესებენ მდგომარეობას. „ივერიას" კი პირველ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად დიდი ბრძოლა მოუწევს.

„თორის" ზუგდიდურ მატჩში მარცხი ერთი შეხედვით მოულოდნელი სულაც არაა, მაგრამ თუ კობა თედიაშვილის გუნდის სტაბილურ და პირველი ჯგუფისთვის სოლიდურ შემადგენლობას გავითვალისწინებთ, ბორჯომელთა 0:3 მარცხი მეტისმეტი გამოდის. თუმც ისიც სათქმელია, რომ „ზუგდიდი" ალმავლობით ატარებს საშინაო მატჩებს და ამჯერადაც იმარჯვა. მასპინძლები კუტალიამ დააწინაურა 25-ე წუთზე, მეორე ტაიმში კი როინ ონიანმა ორჯერ გამოატანინა კარიდან ბურთი ავთანდილ ლაბაძეს. ამ მატჩს ანტიგმირებიც ჰყავდა. ტაიმის მიწურულს ზუგდიდელი ლაშა ბუკია და სტუმარი მიხეილ ლომიძე შეიბნენ. „ტკბილად მოკითხვით" დაწყებული კონფლიქტი მუშტ-წიხლის ჭნევით გაგრძელდა და საქმეში არბიტრი ჩაერია. გაბრიაძემ მოჩხუბრებს წითელი აუნთო და ორივე გასახდელში მიაბრძანა.

ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია ტურის ცენტრალურ მატჩს წნორის „მილანსა" და ზესტაფონის „მეტალურგს" შორის. ამ შეხვედრის წინ კახელები ბოლოსწინა საფეხურზე კი იმყოფებოდნენ, მაგრამ ორი თამაშით ნაკლები ჰქონდათ ჩატარებული და ქულები რომ არ დაეკარგათ, ლიდერთა მარაქაში გაერეოდნენ, მეტოქე კი ამ მატჩამდე მესამე იყო და, ბუნებრივია, შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა. „მილანი" — „მეტალურგის" სანახავად ძველ ანაგაში იმაზე მეტი მაყურებელი მივიდა, ვიდრე ტურის დანარჩენ ხუთ მატჩს ჰყავდა და ალბათ ადვილი წარმოსადგენია, რა განწყობაზე დადგებოდნენ ისინი შეხვედრის მეთოთხმეტე წუთზე, როცა ზესტაფონელმა ფირცხალაიშვილმა კახეთის სიამაყეს გოლი გაუტანა, თუმც მასპინძელთა წუხილი და სტუმართა სიხარული ნაადრევი გამოდგა. ორ წუთში ტოკლიკიშვილმა ანგარიში გაათანაბრა და დაიწყო... ამ მატჩში მომხდარი ინციდენტი უეჭველად გაამდიდრებს სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის არქივს. „75-ე წუთზე თამაში შეჩერდა ორი წუთით. მოედანზე შემოვიდნენ „მილანის" მესვეურები, უფროსები" — ამგვარი დანართი ამშვენებს ამ მატჩისეულ ოქმს. ზესტაფონელთა თქმით კი მაყურებელი და „მილანის" ხელმძღვანელები მთელი შეხვედრის განმავლობაში მსაჯებზე ზემოქმედებას ახდენდნენ და ამ ფაქტმა შედეგზე დიდი გავლენა იქონია. კრიჭაშვილს რომ პენალტი არ დაენიშნა, ცოცხალი ვერ გამოასწრებდა ძველი ანაგიდანო, ირწმუნებიან მატჩის თვითმხილველნი. ასეა თუ ისე, კრიჭაშვილი დღეისათვის საღ-სალამათია, პენალტი კი მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე უნაკლოდ შეასრულა ვლადიმერ ლუდუშაურმა და თავის გუნდს ჩემპიონატში მეორე გამარჯვება მოუტანა.

„მეტალურგი" კი ორჯერ დამარცხდა ჩემპიონატში და ორჯერვე სკანდალურ ვითარებაში. მესამე ტურში ზესტაფონელებს წყალტუბოში გვარიანი შეხლა-შემოხლა შეხვდათ ჩაშლილ მატჩში „სამგურალთან". სტკ-მ დამნაშავედ სტუმრები ცნო და 0:3 დამარცხება ჩაუთვალა. ძნელი სათქმელია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ამ ინციდენტთან დაკავშირებით დისციპლინარები, თუმც სავარაუდოდ ზესტაფონელთა სასიკეთოდ ალბათ არაფერი შეიცვლება და მატჩის ანგარიში ძალაში დარჩება.

**პაატა ქვანტალიანი**

---

ხაშური
30 სექტემბერი
17 საათი
გრიგოლ ჯომართიძე
800 (ტევადობა 8 000)

### ივერია 1:2 გურია

1:0 ვლასოვი (10), 1:1 სულაკაძე (30), 1:2 გაბრიჭიძე (83)
ივერია: ხვედელიძე (ბალიანი 85), ყაჩლავაშვილი, ულუმბელაშვილი, გ. ლურსმანაშვილი, ნეკერაშვილი, გოგალაძე, ჯობაძე, ვლასოვი (ლეკიშვილი 73), ჩალაძე, ჯაფარაშვილი (მინაძე 46), ხაჩიძე
სათადარიგონი: პავლიაშვილი, ბლიაძე
გურია: დოლიძე, გაბრიჭიძე, კირკიტაძე (განევი 31), ჯღარკავა, სულაკაძე, ჯულელი, ჩხეტია (ვოსკანოვი 84), ენდელაძე, ფაცურია, პატარაია, ლორია
სათადარიგონი: მერკვილიშვილი; ძნელაძე, კუკულაძე
გაფრთხილება: ჯულელი (17), ნეკერაშვილი (32), ენდელაძე (38), ყაჩლავაშვილი (38), ულუმბელაშვილი (44)
მსაჯები: ვ. ჩოჩიშვილი; ზ. დოლიძე, ო. ხეცაძე. (ყველა თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

---

ზუგდიდი
30 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 7 500)

### ზუგდიდი 3:0 თორი

1:0 კუტალია (25), 2:0, 3:0 ონიანი (58, 68)
ზუგდიდი: კვარაცხელია, ლურწკაია, ქითანავა, გეძენიძე, დიდიძე, ა. ჯიქია, ყოლბაია, კუტალია (გამსახურდია 69), ლ. ბუკია, თორია, ონიანი
სათადარიგონი: ნაყოფია; თოლორაია, გოგიტაძე, ჩიქობავა, ქურღულია
თორი: ა. ლაბაძე, კობისაშვილი, გ. ლომიძე, ლეკიშვილი, მ. ლომიძე, ელისაშვილი, თალაკვაძე, ხოსროშვილი, სეფერთელაძე (სუხიაშვილი 46, ზარანდია 62), კ. ჯანაშია, გლუნჩაძე
სათადარიგონი: სულავა; შალიკაშვილი, ფირცხალავა, ზაქარეიშვილი
გაფრთხილება: ელისაშვილი (77)
გაძევება: მ. ლომიძე (45), ბუკია (45)
მსაჯები: კ. გაბრიაძე; კ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)

---

ძველი ანაგა
30 სექტემბერი
17 საათი
შოთა იამანიძე
2 500 (ტევადობა 6 000)

### მილანი 2:1 მეტალურგი

0:1 ფირცხალაიშვილი (14), 1:1 ტოკლიკიშვილი (16), 2:1 ლუდუშაური (87პ)
მილანი: გ. სომხიშვილი, კობაიძე, მედოევი (კიკვიძე 35), ინასარიძე, სოსელია, მეტონიძე (მ. სომხიშვილი 61), ჭყონია (გ. ჩიტაური 66), ვარამაშვილი, ტოკლიკიშვილი, ვ. ლუდუშაური, თელიაშვილი
სათადარიგონი: შავშიშვილი, ტარულაშვილი
მეტალურგი: ნიქაბერიძე, გოგაძე, პ. ლურსმანაშვილი, მერებაშვილი (გურეშიძე 54), ბაქრაძე, აქარაძე (ძიძიკაშვილი 76), კაციაშვილი, ორმოცაძე, ამაშუკელი, გ. გვაზავა, ფირცხალაიშვილი
სათადარიგონი: ოდიკაძე; აბაზაძე, ფანცხავა, მოდებაძე, გავაშელიძე
გაფრთხილება: ინასარიძე (2), ამაშუკელი (11), თელიაშვილი (56), ფირცხალაიშვილი (60), კობაიძე (67), ორმოცაძე (84)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი), ს. აფციაური (დუშეთი); მ. მალალურაძე (თბილისი)

---

ხობი
30 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 12 000)

### ხობი 0:0 სამგურალი

ხობი: შ. გოგია, ხორავა, ი. ჯაბუა, ლ. ჯაბუა, ფიფია, ხურცილავა, ვართაგავა, ქაშიბაძე, აბაკელია, ჭიჭინაძე, ზაზა აიანდი (ჭეჟია 78)
სათადარიგონი: რ. თოლორდავა; ყორშია, ბერაია
სამგურალი: ბოდოკია, ბერაძე, ჭელიძე, თირქია, მ. ჯინჭარაძე, ფუტკარაძე (მაჭარაძე 68), ბაბუნაშვილი, დარსაძე, კიკვიძე (გოლეთიანი 46), ქუთათელაძე, ფხაკაძე (ლ. ქობულაძე 59)
სათადარიგონი: გიორგაძე; დ. ჯიქია, ტეხოვი, კუხალაშვილი
გაფრთხილება: ფუტკარაძე (57), ფიფია (75), ი. ჯაბუა (79), ბერაძე (90)
მსაჯები: ლ. მიქელაძე; გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია), კ. მესხი (ზუგდიდი); ზ. ანიაშვილი (გორი)

---

გორი
30 სექტემბერი
17 საათი
ქართლი
300 (ტევადობა 2 000)

### ცხინვალი 5:0 თბილისი

1:0 მარლიშვილი (5პ), 2:0, 3:0, 4:0 გვირჯიშვილი (12, 57, 60), 5:0 ნასუაშვილი (79)
ცხინვალი: ქქსანაშვილი, ცხადაძე, მურადელი, ბოჭორაძე (ზ. მაისურაძე 60), ყაჩლავაშვილი, მოსიაშვილი (კობაური 62), არუთინიანი, მარგიევი (წიქარიძე 62), მარლიშვილი, ნასუაშვილი, გვირჯიშვილი
სათადარიგონი: დ. მაისურაძე; გუგულაშვილი
თბილისი: კუპატაძე, ჩალაძე (ჯღარკავა 17), აბრამიშვილი, ტყებუჩავა, ქუხილავა, დ. შენგელია, გუშარაშვილი (სახურია 46), მისაბიშვილი (გოგმაჩაძე 50), სალარეიშვილი, მანჭარაული, ლუჭაშვილი
სათადარიგონი: კოდალაევი; კოხრეიძე, ნიკურაძე
გაფრთხილება: ჯღარკავა (57)
მსაჯები: ა. მეშკოვი; კ. თბილელი, დ. ხარიტონაშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)

---

აბაშა
30 სექტემბერი
17 საათი
მარანის საწვრთნელი ბაზა
200

### ოკეანე 0:1 შუქურა

0:1 ბერიძე (35)
მაღლაკელიძემ ვერ გაიტანა პენალტი (4)
ოკეანე: ქვასელი, მაღლაკელიძე (ქიმაძე 70), ი. ჯიქია, ტონია, მესიაჩენკო, თოდაძე, კაცაძე, ლორთქიფანიძე, ჯიქიძე, ჩიგოგიძე (გაბედავა 46), კრავეიშვილი
სათადარიგონი: ფხაკაძე; ფირცხალაიშვილი, ჯულაყიძე
შუქურა: გოგუა, კოროტკოვი, ზ. კვეკვესკირი, ოქროპირიძე, ქუტიძე, ჯ. ბერიძე, ფუტკარაძე, ჩადუნელი, გეგეშიძე, კაკალაძე, ბაღუნაშვილი
სათადარიგონი: გაბუნია; ჩელებაძე, კალანდაძე, ჩახუნაშვილი
მსაჯები: ლ. რაზმაძე (გორი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

---

| პირველი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ცხინვალი | 7 | 5 | 1 | 1 | 20:5 | 15 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 14:1 | 13 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 |
| 2 შუქურა | 7 | 5 | 1 | 1 | 9:1 | 8 | 16 | 4 | 4 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 12 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 |
| 3 ზუგდიდი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:7 | 5 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 10 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 3 |
| 4 სამგურალი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 4 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 10 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 5 მეტალურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 11 | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 9 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 2 |
| 6 გურია | 6 | 3 | 1 | 2 | 6:10 | -4 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:9 | -7 | 4 |
| 7 თორი | 7 | 3 | 0 | 4 | 7:9 | -2 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 1:5 | -4 | 3 |
| 8 მილანი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 9 თბილისი | 7 | 2 | 0 | 5 | 3:15 | -12 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:12 | -11 | 0 |
| 10 ოკეანე | 7 | 1 | 3 | 3 | 7:9 | -2 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 1 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 1 |
| 11 ხობი | 7 | 1 | 3 | 3 | 2:5 | -3 | 6 | 4 | 1 | 3 | 0 | 1:0 | 1 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | -4 | 0 |
| 12 ივერია | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | -7 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | -4 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 7 - გვირჯიშვილი | ცხინვალი |
| 5 - ბოჭორაძე | ცხინვალი |
| კალანდაძე | შუქურა |
| 4 - გ. გვაზავა | მეტალურგი |
| მარლიშვილი | ცხინვალი |
| კუტალია | ზუგდიდი |
| 3 - არუთინიანი | ცხინვალი |
| ქუთათელაძე | სამგურალი |

---

საქართველოს ჩემპიონატი
რეგიონული ლიგა
პირველი წრე

# 2 ტური

*„ინტერი", „ვალენსია", „ოლიმპიკი"... ფრიად პატივცემულ სახელებს მოუყრია თავი ლიგაში, პირველ ტურში მარცხნაჭამი „ოლიმპიკი" ისვენებდა, „ვალენსიამ" „ვარძიასთან" იყოჩაღა, „ინტერმა" კი „ბათუმი 2" მოიგელა.*

*ისე, საკვირველი არც უნდა იყოს, რომ ასეთი სახელებით გაწყობილ ზონებში „მზიური", „ამირანი" და „ლოკომოტივი 3" ლიდერობენ, ეს ხომ საქართველოს ჩემპიონატის რეგიონული ლიგაა... გორდება ბურთი.*

### აღმოსავლეთი

თბილისი 2 1:3 ლოკომოტივი 3
ხალიბი 0:0 აკადემია
ცხუმი 1:0 ასკ
ალაზანი 2:1 სამგორი
ზოოვეტი 3:2 ჭაბუკიანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ხალიბი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ჭაბუკიანი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:3 | 3 |
| ზოოვეტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| სამგორი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ცხუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ალაზანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:6 | 3 |
| აკადემია | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| თბილისი 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ასკ | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| კავკასიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### ცენტრალური

ამირანი 5:4 დინამო 2
საბურთალო 2:2 დილა 2
ვიტ ჯორჯია 2 3:0 მესხეთი
მრეტები 0:3 ს. ა. იბერია
ვალენსია 83 2:0 ვარძია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:6 | 6 |
| ს. ა. იბერია | 2 | 1 | 1 | 0 | 7:4 | 4 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 7:4 | 4 |
| ვალენსია 83 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| დინამო 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 6:5 | 3 |
| მრეტები | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| საბურთალო | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| დილა 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| მესხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ოლიმპიკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ვარძია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

### დასავლეთი

ინტერი 2:0 ბათუმი 2
მერცხალი 2:2 სალხინო
სულორი 2:3 გურია 2
მზიური 3:0 კოლხეთი 2
დინამო სოხუმი 1:4 ლაზიკა
სქური 2:0 სამეგრელო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზიური | 2 | 2 | 0 | 0 | 8:3 | 6 |
| მერცხალი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| გურია 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ლაზიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 7:6 | 3 |
| კოლხეთი 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სქური | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| სალხინო | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| სამეგრელო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ბათუმი 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| დინამო სოხუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| სულორი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

აღმოსავლეთ ზონაში „კავკასიონმა" და ცენტრალურში „ოლიმპიკმა" დაისვენეს

# აი, ძველი ხესუს ხილი

**მადრიდის** „ატლეტიკოს", მოგეხსენებათ, უმძიმესი დრო დაუდგა. მეორე დივიზიონში დაქვეითებამ კლუბის ცარიელ სალაროს, ცხადია, ვერაფერი შეჰმატა, თამაშს კი ნულარ იკითხავთ — საზიზღარი.

წარუმატებლობას დამნაშავის ძებნა მოჰყვა და უმალ მიაგნეს კიდეც. პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილმა მწვრთნელი ფერნანდო სამბრანო სამსახურიდან დაითხოვა. უიღბლო მწვრთნელის თავკაცობით მადრიდულმა კლუბმა მხოლოდ ხუთი თამაში ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ სამბრანომ პოსტი ზაფხულში იუგოსლაველი რადომირ ანტიჩისგან ჩაიბარა. ადრე ვწერდით, რომ ხესუს ხილი ფრანგი ლუის ფერნანდესის მიწვევას აპირებს.


ხესუს ხილმა 13 წელიწადში 23 მწვრთნელის გაგდება მოასწრო

თუმცა გუშინ მადრიდიდან სხვა ცნობა მოვიდა. „ატლეტიკოს" მწვრთნელად მარკოს ალონსო დაინიშნა. ეს ის ალონსოა, ვისი თავკაცობითაც გასულ სეზონში „სევილიამ" „ატლეტიკოს" ბედი გაიზიარა.

ახალი კონტრაქტით ალონსო მადრიდში · სეზონის ბოლომდე დარჩება. მიზანი, ცხადია, ერთია: „ატლეტიკო" პრიმერადივიზიონში უნდა დაბრუნდეს.

ისე, მარკოს ალონსომ, საეჭვოა, ამ პოსტზე დიდხანს გაძლოს. და აქ შედეგი როდია მთავარი. უბრალოდ, მწვრთნელების ხელთათმანებივით გამოცვლა ხესუს ხილის მუშაობის სტილია. 13 წელიწადში, რაც ხილი კლუბის პრეზიდენტია, უკვე 23 მწვრთნელის გაგდება მოასწრო. მათგან ერთიორი რამდენიმე დღეში დაითხოვა. მოკლედ, ტრადიცია გრძელდება.

# სერას დასაცავად


ლორენს სერა ფერერი

**ორშაბათს** „ბარსელონას" დირექტორთა საბჭო შეიკრიბა. თუ რაზე იმსჯელებდნენ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს — გუნდის სუსტ თამაშზე სეზონის დასაწყისში. არც გვახსენდება, ბოლოს როდის წააგო „ბარსამ" ხუთი შეხვედრიდან ოთხი. და თუ პრიმერადივიზიონში ყველაფრის გამოსწორება უფრო ადვილია, ჩემპიონთა ლიგაში კატალონიელებს ჯგუფიდან გასვლა შესაძლოა აუხდენელ ოცნებად ექცეთ — პირველი წრის მერე ისინი ბოლო ადგილზე არიან და დარჩენილი სამი მატჩიდან ორის გამართვა სტუმრად უწევთ.

ყველაფერი ლორენს სერა ფერერს დაბრალდა. დღეს ბევრი სინანულითაც იხსენებს ლუის ვან გაალს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ საყოველთაო ლანძღვის ობიექტი გახლდათ. მწვრთნელის მუშაობა არც კლუბის დირექტორატის წევრებს აკმაყოფილებთ, რის გამოც პრეზიდენტ ხუან გასპარს დიდი ბრძოლა გადახდა ფერერის დასაცავად. „სერა ფერერი სეზონს ჩვენთან ერთად ჩაამთავრებს — თქვა გასპარმა — მისი მოხსნა გამოსავალი არ არის. ყველანი ვხედავთ, რომ მასსა და ფეხბურთელებს შორის სრული ურთიერთგაგებაა, რის ერთი ხელის მოსმით წყალში ჩაყრასაც არ ვაპირებ. მწვრთნელს ბოლომდე დავუჭერ მხარს".

ფერერს ფეხბურთელებიც უდგანან გვერდში. „წაგებისთვის უპირველესად მწვრთნელს სთხოვენ პასუხს. ეს სწორი არაა — თქვა ხერარდმა — ფეხბურთი ხომ გუნდური თამაშია და პასუხისმგებლობაც ყველამ თანაბრად უნდა გავინაწილოთ". ფრანკ დე ბურმა კი განაცხადა: „როცა ვიგებთ, ყველა აღფრთოვანებულია, მწვრთნელს ტაქტიკას უქებენ. წავიფორხილებთ და მაშინვე გაგდებაზე ალაპარაკდებიან ხოლმე".

ამასობაში ლორენს სერა ფერერი პირობას დებს, რომ გუნდში არსებულ ყველა ნაკლს გამოასწორებს, ქომაგთა გულის მოსაგებად კი ამბობს: „როცა გუნდი ზედიზედ აგებს, გულშემატკივრები მწვრთნელის გადადგომას ითხოვენ. ეს სავსებით ნორმალურია და საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ".

ხარვეზების აღმოსაფხვრელად მწვრთნელს დრო თითქოს აქვს — ევროპაში სანაკრებო ციებ-ცხელება იწყება, რის გამოც „ბარსელონას" 15 ოქტომბრამდე თამაში არ უწევს, მაგრამ... ბარსელონელთა უმეტესობა სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებებშია მიწვეული, ზოგიც ტრავმირებულია. ასე რომ, სერა ფერერს ორკვირიანი არდადეგების სრულფასოვნად გამოყენების საშუალება არა აქვს. შვიდი კაცის ამარა დარჩიო, ჩივის მწვრთნელი. იგი ეცადა, ხავი, გაბრი და პუიოლი მაინც გადაერჩინა ახალგაზრდულ ნაკრებში გაწვევისგან. საბაბიც საპატიო ჰქონდა — ერთი თვე სიდნეიში იყვნენ და ისევ ნაკრებში გამოძახებით ძალიან გადავღლითო. ამ სამეულიდან უპირველესად 20 წლის ხავიზე წუხს ფერერი, რაკი დამტვრეული ხოსეპ გვარდიოლას შემცვლელად ეგულება, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს — ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელის ჩივილი ყურად არ იღო და ბარსელონელები ნაკრების თავკაცს დაუთმო. ესპანელი ახალგაზრდები 6 ოქტომბერს ებრაელ, ხოლო 10 ოქტომბერს ავსტრიელ თანატოლებს ეთამაშებიან.

როგორც ვთქვით, „ბარსელონას" მომდევნო შეხვედრა 15 ოქტომბერს ელის. კატალონიელები ბასკეთს ეწვევიან და სან სებასტიანის „რეალ სოსიედადს" გაეჯიბრებიან, მერე კი... 18 ოქტომბერი: „მილანი" — „ბარსელონა" და 22 ოქტომბერი: „ბარსელონა" — „რეალი". ვფიქრობთ, ამით ყველაფერი ნათქვამია, მაგრამ რაკი ამ საკითხზე აზრის გამოთქმა პატრიკ კლუივერტმაც ინება, მოვუსმინოთ: „ღრმა კრიზისამდე ერთი ნაბიჯი გვაშორებს. აქ ყველაზე ცუდი ისაა, რომ წაგებებს ნელ-ნელა ვეჩვევით და ასე თუ გაგრძელდა, იქნებ განსაკუთრებით მტკივნეულად აღარც აღვიქვათ. აი, ასეთ დროს გვიწევს „მილანთან" და „რეალთან" თამაში. თუმცა ორი ურთულესი და უპრინციპულესი მატჩი რომ გველის, ერთი მხრივ კარგიცაა — სწორედ ასეთ მეტოქეებთან უნდა დავამტკიცოთ, რომ ძველი „ბარსელონა" ვართ".



გერმანული ფირმის OTTO
OTTO SCHWAB VERSAND
ოფიციალური წარმომადგენლობა
საქართველოში გთავაზობთ
კატალოგებში წარმოდგენილი
ევროპული სტანდარტის საქონლის
გამოწერას გერმანიიდან
მისამართი: აღმაშენებლის 172
(გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
ვმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე


## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციამ მადრიდის „ატლეტიკოს" ფორვარდი სალვა ბალესტა „ბეტისთან" შეხვედრაში მიღებული წითელი ბარათის გამო ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. „ძალიან ვწუხვარ. მეგონა, მხოლოდ ორ ან სამ შეხვედრას გამოვტოვებდი, მაგრამ სამაგალითოდ დამსაჯეს. კლუბს უნდა მოვუბოდიშო, დავაღალატე" — განაცხადა პრიმერადივიზიონის შარშანდელმა ბომბარდირმა და „რასინგის" ყოფილმა ფეხბურთელმა.

**ბელგიელმა ფორვარდმა რეჟის ჟენუმ მუხლის რთული ტრავმა მიიღო და ალბათ სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. „უდინეზეს" ფეხბურთელს რამდენიმე დღეში ბრიუსელში ოპერაციას გაუკეთებენ. სარეაბილიტაციო ვადა სულ მცირე, ექვსი თვეა და იქნებ წლამდეც გასტანოს. ბელგიელი უეფას თასის იმ შეხვედრაში დაშავდა, რომელშიც „უდინეზემ" „პოლონიას" 2:0 დაამარცხა.**

**იტალიელი** მცველი ალესანდრო პისტონე ექვს თვეს დაისვენებს. „ევერტონის" ფეხბურთელმა მუხლის ტრავმა მიიღო. შეგახსენებთ, რომ პისტონე ლივერპულურმა კლუბმა ზაფხულში „ნიუკასლისგან" 3 მილიონ გირვანქად შეიძინა. აღსანიშნავია, რომ მილანის „ინტერის" ყოფილმა მოთამაშემ წვივის ტრავმა სულ ახლახან მოიშუშა და მინდორს დაუბრუნდა, მაგრამ აშკარად არ გაუმართლა. 25 წლის ფეხბურთელმა ახალი კლუბის შემადგენლობაში მხოლოდ 135 წუთი ითამაშა.

**ესპანეთის ჩემპიონატის ახალ სეზონში შესაძლოა პირველი მწვრთნელი გაათავისუფლონ. უხეირო სტარტის შემდეგ საფრთხის წინაშე პრიმერადივიზიონის ყველაზე ახალგაზრდა სპეციალისტი, „სარაგოსას" თავკაცი ხუან მანუელ ლილო დადგა. 34 წლის ლილოს დარჩენა-გადადგომის საკითხს უახლოეს დღეებში კლუბის პრეზიდენტი გადაწყვეტს. იმასაც ამბობენ, იგი უკვე ახალ მწვრთნელს ეძებსო. არ არის გამორიცხული, მან გერმანელი იუპ ჰეინკესი მიიწვიოს, რომელიც ადრე „ტენერიფეს" და „რეალს" თავკაცობდა, სულ ახლახან კი „ბენფიკას" მწვრთნელის პოსტი დატოვა.**

**რუმინეთის** ჩემპიონ ბუქარესტის „დინამოს" მწვრთნელი კორნელ დინუ წარუმატებელი შედეგების გამო გაათავისუფლეს. გუნდი ვერც ჩემპიონატში წარმატებული თამაშით დაიკვეხნის და ჩემპიონთა ლიგიდანაც ადრეულ ეტაპზე გავარდა. თავის მხრივ დინუმ კლუბის ხელმძღვანელობას დასდო ბრალი, გუნდს საჭირო ფინანსურ დამხარებას ვერ უწევდნენო. „დინამოს" პრესატაშის ცნობით, ახალ მწვრთნელს დირექტორატი რამდენიმე დღეში შეარჩევს.

**ესპანელმა ნახევარმცველმა ტონი ველამასანმა ოლიმპიადაზე ტრავმა მიიღო და სულ მცირე, ერთ თვეს ვერ ითამაშებს. „ესპანიოლის" ფეხბურთელი ფინალში დაშავდა. არადა, მას რამდენიმე ევროპული კლუბი ეპატიჟებოდა. „ძალიან მსურდა კლუბში დაბრუნება და ჩემპიონატში თამაში. აგენტმა მაცნობა, რომ სხვა გუნდებიც მიწვევდნენ, თუმცა არ გამიმართლა" — განაცხადა თავად ტონიმ.**

**ესპანელმა** მეკარემ იკერ კასილიასმა ფირმა „რიბოკთან" სპონსორული კონტრაქტი გააფორმა, რის შედეგადაც 19 წლის გოლკიპერი სამ წელიწადში მილიონ გირვანქას მიიღებს. „რეალის" კარის დარაჯი ფირმის ახალ სამოსსა და აქსესუარს ჩაიცვამს, ბუცებს კი საგანგებოდ კენგურუს ტყავისგან შეუკერავენ. გაზეთი „მარკა" აღნიშნავს, რომ კასილიასზე ძვირი სპონსორული კონტრაქტი დღემდე ესპანელთაგან მხოლოდ რაულს გაუფორმებია.



# პაბლო აიმარი არგენტინაში საუკეთესოა

**არგენტინის** ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ჩემპიონატის წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად გამოკითხვა მოაწყო. რეფერენდუმში მონაწილე ჟურნალისტებმა 1999-2000 წლების სეზონის რჩეული მოთამაშე დაასახელეს. საპატიო აღიარება ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტის" ნახევარმცველმა პაბლო აიმარმა მოიპოვა.

1979 წელს რიო კუარტოში დაბადებული აიმარი ახლა „რივერის" ერთ-ერთი საამაყო ახალგაზრდა ფეხბურთელია. არგენტინულ კლუბს ევროპელი სელექციონერები მოსვენებას არ აძლევენ, ნახევარმცველის „ბებერ კონტინენტზე" გადაყვანა სურთ, მაგრამ „რივერ პლეიტის" ხელმძღვანელობა ჯერჯერობით ურჩობს და პაბლოს არსად უშვებს. აიმარი მეტად ნიჭიერი ფეხბურთელია, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად უკვე ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახეს და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზეც ითამაშა.

არგენტინელმა ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო მწვრთნელიც დაასახელეს. ეს კასელოს ბიანკია, რომელმაც „ბოკა ხუნიორსთან" ერთად ლიბერტადორესის თასი მოიგო. აღვნიშნოთ, რომ ბიანკის ევროპაში მუშაობის გამოცდილებაც აქვს — იგი ადრე „რომაში" მოღვაწეობდა.

ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში კი ეს ფეხბურთელები მოხვდნენ: ბონანო, იბარა, ტუციო, სამუელი, არუაბარენა, კლაუდიო ხუსაინი, ბერნარდი, კამბიასო, აიმარი, ანხელი და სავიოლა.

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. IX ჯგუფი

# ინგლისი vs გერმანია

შესარჩევი ეტაპის წილისყრა ხეირიანად დამთავრებული არ იყო და მთელი მსოფლიო ამ თამაშზე ალაპარაკდა. მაშინ არავინ უწყოდა, რომ ისედაც უმნიშვნელოვანესი მატჩი სამუდამოდ შევიდოდა ფეხბურთის ისტორიაში.

თუ ინგლისი მოიგებს, სტადიონი დაინგრევა; თუ გერმანია მოიგებს — მაინც სტადიონი დაინგრევა. „სარბიელის“ მკითხველებმა ისიც იციან, რომ „უემბლის“ ასეთი ხვედრი არც ამ მატჩის ფრედ დამთავრებისას ასცდება.

ბოლო მატჩი ძველ „უემბლიზე“...



მეჰმეთ შოლის და კარსტენ იანკერის „უემბლიზე“ თამაში სათუოა

## ფიოლერი შეაშინეს

**გერმანიის** ეროვნული ნაკრების თავკაცი რუდი ფიოლერი საგონებელშია ჩავარდნილი. ამის მიზეზი კი გუნდის ორი ფეხბურთელი, ბაიერნელები — მეჰმეთ შოლი და კარსტენ იანკერი არიან.

გუშინ გერმანელები ორდღიანი ვარჯიშის შემდეგ საწვრთნელ ბაზა ნოიისენბურგიდან აიყარნენ და ნისლიან ალბიონს მიაშურეს, სადაც შაბათს „უემბლიზე“ ინგლისელებთან მეტად პრინციპული მატჩი ელით. მეჰმეთ შოლიც თვითმფრინავში ჩაჯდა, ოღონდ ნაკრების ერთ-ერთ ექიმ ჰანს მიულერ-ვოლფარტთან ერთად ლონდონის ნაცვლად მიუნხენში ჩაფრინდა. იქაურ პრესტიჟულ კლინიკაში შოლს ტომოგრაფიული გამოკვლევა უნდა ჩაუტარონ. გერმანიის ნაკრებისა და „ბაიერნის“ შემტევ ნახევარმცველს ბოლო დროს მუხლი აწუხებს. სწორედ სამედიცინო შემოწმების შემდეგ გადაწყდება შოლის ამბავი. თუ ექიმები ნებას დართავენ, იგი გუნდს დღეს შეუერთდება.

ასევე ტრავმირებულია კარსტენ იანკერიც. მან წინა შაბათს ბუნდესლიგის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ჰანზასთან“ ფეხის თითი იტკინა, თანაც ისე, რომ თავიდან ვარჯიში კი არა, სიარულიც უჭირდა. სავსებით შესაძლებელია, ფიოლერმა ისიც მოისაკლისოს „უემბლიზე“, რომელიც ამ მატჩის მერე სარეკონსტრუქციოდ იხურება.

„შოლი და იანკერი გუნდისთვის ძალიან დიდი ძალა არიან. ამ ორი ფეხბურთელის არყოფნა აუნაზღაურებელი დანაკლისია, თუმცა მათი გამოჯანმრთელების იმედი ჯერაც არსებობს“ — შეშფოთებული და ცოტა შეშინებულიც ჩანდა ინგლისში გამგზავრებამდე გერმანელთა დროებითი თავკაცი.

იანკერის ტრავმამ ალბათ გაახარა ევრო 96-ის გმირი ოლივერ ბირჰოფი. იტალიური „მილანის“ თავდამსხმელი, რომელიც ამ ზაფხულს ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებს კაპიტნობდა, ფიოლერის გამწვრთნელების შემდეგ ძირითადშიც ვეღარ ხვდება. საბერძნეთის ნაკრებთან შეხვედრისას ბირჰოფი თადარიგში იყო, ახლა კი...

„როგორც ვატყობ, ძირითად შემადგენლობაში თამაშის შანსი მეძლევა, რომელიც უნდა გამოვიყენო. წლეულს კარგ ფორმაში ვარ. ეს „მილანში“ ჩატარებულ მატჩებშიც გამოჩნდა და ვეცდები, ლონდონშიც დავამტკიცო“ — იმედიანად ესაუბრა თავით თამაშით განთქმული ფეხბურთელი ჟურნალისტებს.

ბირჰოფი შაბათს ნამდვილად ძირითადში იქნება (თუ ტრავმა არ მიიღო), ეს ამბავი თავად ფიოლერმაც დაადასტურა. იგი ასევე დაშავებულ ალექსანდრ ციკლერს შეცვლის. ისე, არაა გამორიცხული, ბირჰოფმა შაბათს ძირითადში ადგილთან ერთად ნაკრების კაპიტნობაც დაიბრუნოს. ოლივერს ამის დიდი იმედი ჰქონია.

სხვა მხრივ, გერმანიის ნაკრებში ახალი არაფერია. გუნდი თითქმის იგივე შემადგენლობით ემზადება ინგლისელებთან მატჩისთვის, როგორითაც ერთი თვის წინ საბერძნეთის ნაკრებს დაუხვდა. თუ ციკლერს არ ჩავთვლით, მხოლოდ ის შეიცვალა (შოლსა და იანკერზე ჯერჯერობით თავი შევიკავოთ), რომ არ იქნება ასევე ტრავმირებული იორგ ჰაინრიხი. სამაგიეროდ, ფიოლერმა გუნდში დააბრუნა ინგლისური „ლივერპულის“ ნახევარმცველი კრისტიან ციგე, რომელიც ნაკრებში წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მერე აღარ გამოჩენილა.

და კიდევ ერთი. ზემოთ რუდი ფიოლერის დროებითი თავკაცობა აღვნიშნეთ. თუ ინგლისელებთან მატჩი მოიგეთ, ჩათვალეთ, რომ ეს საკითხიც გადაწყვეტილია, დაუმზე ხმას აღარავინ ამოიღებსო, ამბობენ გერმანიაში. თუმცა ეს აზრი გუშინ თავად ფიოლერმა უარყო, რომელმაც გერმანულ ტელეკომპანია „SAT1“-თან საუბრისას განაცხადა, რომ ნაკრების გაძღოლას მხოლოდ წინასწარ დათქმულ ვადამდე ანუ 1 ივნისამდე აპირებს.

**ვანო ოქრობირიძე**

## ჰამანმა ოუენი შეაცდინა

**გუშინ** ლივერპულელმა ქომაგებმა გაზეთ „მირორში“ გამაოგნებელი ცნობა ამოიკითხეს: მაიკლ ოუენს კარიერის გაგრძელება კონტინენტზე სურს.

„დღეს აღარ არიან ფეხბურთელები, რომლებიც მშობლებს ბავშვობაში რომელიმე კლუბში მიჰყავთ და 35 წლისანი აქვე ასრულებენ თამაშს — ამბობს ოუენი, რომელიც 11 წლისა იყო, როცა პირველად ფეხი შედგა „ლივერპულის“ ბავშვთა სკოლაში — დიდი სურვილი მაქვს, სხვაგანაც ვსინჯო ბედი, უცხოურ კულტურასა და ხალხს გავეცნო. ეს საინტერესოცაა და გამოცდილების მიღებაშიც დამეხმარება. თავის დროზე ჩემი მეგობარი დიდიც ასე მოიქცა, გერმანია მიატოვა და ინგლისში გადმოვიდა. ამით მას არაფერი დაუკარგავს. ესპანეთში ან იტალიაში წასვლაც მან მირჩია“.

ეს დიდი ვინ ოხერია, ოუენზე ამხელა გავლენა რომ აქვსო, იკითხავთ. ვინ და დიტმარ ჰამანი, ოუენის თანაგუნდელი, 1998 წელს მიუნხენის „ბაიერნიდან“ ჯერ „ნიუკასლში“, შემდეგ „ლივერპულში“ მოხვედრილი. რაც შეეხება ოუენის დარწმუნებას, ჰამანს ერთი ისეთი არგუმენტი აქვს, ქვას გახეთქავს: „შეხედეთ საფრანგეთის ნაკრებს. ფრანგთა უმრავლესობა ინგლისში, ესპანეთსა და იტალიაში თამაშობს. მერე იკრიბებიან ერთად და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები ხდებიან. გერმანიაც ასე არ იყო 1990-ში? ჩვენი საუკეთესო მოთამაშეები იტალიურ კლუბებში გამოდიოდნენ“. მაიკლ ოუენმა თანაგუნდელის ეს მოსაზრება ასე განავრცო: „სანაკრებო დონეზე თამაშისას სამშობლოში მიღებული გამოცდილება საკმარისი არაა, სხვათა ფეხბურთის ცოდნაც აუცილებელია“.

გულგახეთქილი ლივერპულელი ქომაგები საკუთარ დარდთან მარტო დავტოვოთ, დიტმარ ჰამანის ნააზრევის რევიზიასაც მოვერიდოთ და ინგლისი-გერმანიის მატჩს მივხედოთ, მით უმეტეს, რომ ქვემოთ ძირითადად ისევ ოუენზე გვექნება საუბარი.

კევინ კიგანი ჰამან-ოუენის თეორიას არ იცნობს, რის გამოც ნაკრებში ერთადერთი ლეგიონერი — სტივ მაკმანამანი მიუწვევია (ისე, მაკმანამანის გარდა ინგლისელები სხვაგან, მგონი, არც თამაშობენ). სამაგიეროდ, კიგანმა კარგად იცის, რომ თუკი ვინმე გერმანიას გოლს გაუტანს, ასეთი ალბათ ოუენი იქნება.

მწვრთნელმა როგორღაც თქვა, ინგლისში №1 თავდამსხმელი ალან შირერი არისო. მაგრამ რაკი შირერმა ნაკრებს ზურგი შეაქცია, ლივერპულელი ყმაწვილის სათადარიგოდ ყოფნა აღარ ივარგებს და კიგანს მტკიცედ გადაუწყვეტია, რომ ოუენის არგამოყენება დანაშაულია.

„მიკი მაუსს“ სხვებზე მეტად ამგვარი ტაქტიკა მოსწონს: 4-4-2. და რაკი ეს სქემა ორ თავდამსხმელს ითვალისწინებს, ოუენს მანჩესტერელი ენდი კოული შეუწყვილდება. აქ არ იქნება, ერთი თვის წინანდელი საფრანგეთ-ინგლისის ამხანაგური შეხვედრა არ გავიხსენოთ. მაშინ ენდი კოულმა ვაჟკაცურად იბრძოლა, ბლომად სახიფათო მომენტებიც შექმნა, გოლი კი ვერ შეაგდო. მატჩის მიწურულს კიგანმა ოუენი შეუშვა და მისი ფაქტობრივად პირველივე შეხება ბურთთან ფაბიენ ბარტეზის კარის აღებით დასრულდა. იმ თამაშის მეორე დღეს ინგლისურ პრესაში ასეთი სათაური გაჩნდა: ოუენი თუ კოული? როგორც კიგანის გადაწყვეტილებამ გვიჩვენა — ორივე ერთად. კიგანმა დაამატა: „გერმანიასთან შინ ერთი თავდამსხმელით თამაში დაუშვებლად მიმაჩნია. ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიგოთ. სხვა შედეგს გულშემატკივრები არ გვაპატიებენ და ვერც ჩვენ ვაპატიებთ საკუთარ თავს... მაიკლი და ენდი ამჟამად საუკეთესო თავდამსხმელები არიან ინგლისში და ვფიქრობ, მათი შეწყვილებით ნებისმიერ მეტოქეს უდიდეს პრობლემებს შევუქმნით“.

კიგანმა ემილ ჰესკი და კევინ ფილიპსიც ძალიან აქო, თუმცა ეჭვს არ იწვევს, ისინი მხოლოდ სათადარიგოებად ეყოლება.

მწვრთნელის გადაწყვეტილებას ოუენი, ცხადია, დიდი კმაყოფილებით შეხვდა: „ფრანგებთან მხოლოდ 15 წუთი ვითამაშე და დავამტკიცე, რომ მცირე დროშიც ბევრი რამის გაკეთება შემიძლია. გერმანიასთან სასტარტო შემადგენლობაში ყოფნით გუნდს გაცილებით მეტ სარგებლობას მოვუტან. გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ“.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS

მაიკლ ოუენი ბიშემ ების საწვრთნელ ბაზაზე ემზადება



ფერნანდო იერო ნაკრებს უბრუნდება

## თორმეტი წელი უფეხბურთოდ

**თორმეტწლიანი** მომქანცველი მოგზაურობის შემდეგ მადრიდში დიდი ფეხბურთი ბრუნდება. უცნაურზე უცნაური განცხადებაა, არა? დიახ, ასეა, მაგრამ რა ჩვენი ბრალია, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას 1988 წლის მერე სანაკრებო მატჩის დედაქალაქში გამართვა არ უნებებია. ის ბოლო შოტლანდიასთან ამხანაგური მატჩი გახლდათ.

1988 წლიდან მოყოლებული, ესპანეთმა შვიდჯერ მიიღო მონაწილეობა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპზე და შინ ჯამში 31 შეხვედრა გამართა. გეოგრაფიულად მატჩები ასე განაწილდა: სევილიაში 20 თამაში, ვალენსიაში — 2, თითოთითოც ტენერიფეში, ალიკანტეში, ვალიადოლიდში, ხიხონში, გრანადაში, ელჩეში, ვილიარეალში, ბადახოსსა და ალბასეტეში. ამ ხნის მანძილზე „სანტიაგო ბერნაბეუ“ ამხანაგური მატჩებისთვისაც არ გამოუყენებიათ, და, როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, განსაკუთრებით განებივრებულნი სევილიელები იყვნენ.

ძლივს — თქვა ფერნანდო იერომ და ამ სიტყვაში ნაკრების მადრიდში დაბრუნებასთან ერთად ნაკრებში საკუთარი დაბრუნებაც იგულისხმა.

„ვალიადოლიდან“ „რეალში“ ახლად გადასული იერო ნაკრებში პირველად 1989 წელს მიიწვიეს. ესპანეთმა პოლონეთს 1:0 მოუგო ამხანაგურად, მატჩი კი ლა კორუნიაში გაიმართა. იერომ ნაკრებში სულ 73-ჯერ ითამაშა და კარგა ხანია, მისი კაპიტანიცაა. თუმცა ბოლო დროს კაპიტნის სამკლავურსაც ხშირად უწევს ხელიდან ხელში გადასვლა, რისი მიზეზიც რეალელის გახშირებული ტრავმებია: ევრო 2000-ზე სლოვენიელთა წინააღმდეგ რომ ითამაშა, მომდევნო მატჩები გამოტოვა. მას ასევე არ მიუღია მონაწილეობა სამარცხვინოდ წაგებულ ამხანაგურ შეხვედრაში გერმანიასთან და შესარჩევი ეტაპის პირველ ტურში ბოსნიასთან.

„იერო ბრწყინვალე პიროვნება და ჩინებული ფეხბურთელია. ის კვლავაც ნაკრების ლიდერი იქნება ისევე, როგორც აქამდე“ — ამ სიტყვებით მიესალმა ხოსე ანტონიო კამაჩო კაპიტანს.

იერო 32 წლისაა, ზურგს დიდი გამოცდილება უმაგრებს და მწვრთნელის საქებარ სიტყვებს პირდაპირი მნიშვნელობით არ იგებს: „კაპიტანი იმიტომ ვარ, რომ ნაკრებში ყველაზე ბევრჯერ მითამაშია, ლიდერობისა კი რა მოგახსენოთ — კაპიტნობა და ლიდერობა ხშირად ერთი და იგივე არაა. ისრაელთან მატჩი ჩემთვის განსაკუთრებული იქნება. რამდენი წელი ველოდი, რომ მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ერთგული მადრიდელი ქომაგების თვალწინ ნაკრებს გამოვუძღვებოდი.“

**გიორგი დარჯანია**



ერთ დროს თანაგუნდელები: ხელშეუხებელი შტეფან ეფენბერგი (მარცხნივ) და „ბაიერნიდან“ მოკვეთილი მარიო ბასლერი

# ქალის ცემა ძვირი სიამოვნებაა

## რა დააშავა მარიო ბასლერმა?

**მეტისმეტად** ძვირი უჯდება მიუნხენის „ბაიერნის“ კაპიტანს, შტეფან ეფენბერგს შაბათს დისკო-ბარ „P1“-ში ხელის მოქნევა. ფეხბურთელი კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ დაიბარა და კარგა ხანს ესაუბრა. თუ რაზე, ალბათ, თავადაც მიხვდებით. წარსულში სახელგანთქმულმა თავდამსხმელმა ეფენბერგი თავგასულობისთვის გაკიცხა, მერე კი გუნდის მთავარ მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდთან ერთად ჭკუა დაარიგა. „ეფე“ ასე იოლად ვერ გადარჩა. „შენ ჯარიმას გადაიხდი“ — უთხრა რუმენიგემ შეხვედრის ბოლოს შაბათის „გმირს“.

„გუნდის წევრების ასეთი საქციელი „ბაიერნის“ ღირსებას ბღალავს, ამის უფლება კი არავის აქვს. დღევანდელმა შეხვედრამ დამარწმუნა, რომ ეფენბერგი გულწრფელად ნანობს ჩადენილ დანაშაულს. მან შეიგნო, რომ ცუდად მოიქცა. მთავარი ესაა“ — უთხრა ჟურნალისტებს რუმენიგემ, რომელმაც ჯარიმის თანხა არ დაასახელა, თუმც ის კი თქვა, ეფენბერგი იმდენს გადაიხდის, რომ ხულიგნობის სურვილი სხვა ფეხბურთელებსაც გაუქრებათო. მოგვიანებით, გაზეთმა „ბილდმა“ მაინც გაიგო, რომ „ბაიერნის“ მეათე ნომერს კლუბი ხელფასიდან 50 ათას მარკას დაუქვითავს.

ვისაც გუშინდელი „სარბიელი“ არ წაუკითხავს, საქმეში მოკლედ გავარკვევთ. შაბათს მთვრალი გერმანელი სუპერვარსკვლავი მეუღლითურთ „P1“-ში ჩავიდა, სადაც ერთ-ერთ მაგიდასთან მსხდომ უცნობებს ადგილის განთავისუფლება მოსთხოვა. მაგიდის წევრებმა „ეფეს“ ნათქვამი ერთ ყურში შეუშვეს და მეორედან გამოუშვეს. ფეხბურთელმაც იქ მჯდომ ერთ-ერთ მანდილოსანს სახეში ისეთი უთავაზა, ქალბატონი საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა.

ეფენბერგის საქმეს ახლა პროკურატურა იძიებს, სადაც უკვე საკმაო სამხილები შეუგროვებიათ. უახლოეს ხანში სასამართლოც გაიმართება. წინასწარი ინფორმაციით, ბავარიელს დაახლოებით 390 ათასი გერმანული მარკის გადახდა მოუწევს. ამასობაში ერთი ამბავიც გაცხადდა: „P1“-დან გაქცეული ეფენბერგი შინ კი არ წასულა, დისკო-ბარ „მაქსიმილიანეში“ გადაუნაცვლებია.

მოდით, ახლა 1999 წლის 12 ოქტომბერი გავიხსენოთ. იმ დღეს „ბაიერნის“ ფეხბურთელი მარიო ბასლერი გუნდის სათადარიგო მეკარე სვენ შოიერთან ერთად რესტორანში შევიდა. მეორე დღეს კი ერთ-ერთ მიუნხენურ გაზეთში „სუპერმარიოს“ ფოტო დაიბეჭდა, რომელზეც ბასლერი კათხა ლუდით ხელში გამოუჭენებიათ.

იცით, რა მოჰყვა ამას? მარიო ბასლერი „ბაიერნის“ ხელმძღვანელობამ გუნდიდან გააგდო, ასეთი ფეხბურთელი არ გვჭირდებაო. ოტმარ ჰიცფელდმა მაშინ თქვა, ბასლერმა დისციპლინა უხეშად დაარღვია, ამას კი არავის შევარჩენთო.

„რატომ აპატიეს ეფენბერგს, ნუთუ იმიტომ, რომ აქილევსის მყესის ოპერაცია აქვს გაკეთებული და თამაში არ შეუძლია?“ — ირონიულად კითხულობს გუშინდელი „ბილდი“.

ამას ჰიცფელდმა ასე უპასუხა: „ეს ორი სრულიად სხვადასხვა შემთხვევაა. ეფენბერგი მეუღლესთან ერთად იყო, დროს ატარებდა. ჩვენ გვჯერა მისი. იგი ამბობს, რომ თავს იცავდა და ხელი შემთხვევით გაარტყა ქალს. ალბათ, იკითხავთ, მაშინ რატომღა დააჯარიმეთო. რატომ და გვიან რომ წავიდა ბარში, იმიტომ“.

„ბილდმა“ ეფენბერგთან დაკავშირებით კომენტარი ბასლერსაც სთხოვა. „ეფეს რომ არ გააგდებდნენ, ამას რა მიხვედრა უნდოდა. კარგად მახსოვს, მე რომ გუნდიდან გამიშვეს, რუმენიგემ დამიბარა და მითხრა, ჩვენ მკაცრად განსაზღვრული პრინციპები გვაქვს, რომლებსაც ვერ ვუღალატებთ. შენ დისციპლინა დაარღვიე, ამიტომ უნდა წახვიდეო. როგორი მკაცრად განსაზღვრული პრინციპებიც აქვთ, ახლა გამოჩნდა“ — თქვა მან.

„ბაიერნი“ თავადაც ხვდება, რომ უსამართლოდ იქცევა. ბასლერი რესტორანში შევიდა, კათხა ლუდი დალია და ამის გამო ლამის საფეხბურთო კარიერა დაენგრა. ეფენბერგი ბარში ნასვამი ჩავიდა, იქ ქალს სცემა, კიდევ დალია, მერე კი პოლიციას სხვა ბარში გაექცა და ღრეობა გააგრძელა. მიუხედავად ამისა, მხოლოდ 50 ათასი მარკით დაჯარიმდა. „ბაიერნმა“ ეს იმიტომ გააკეთა, რომ სხვა გზა არ აქვს. კლუბმა ბოლო მატჩები წააგო, ახლა დაშავებული ვარსკვლავების გამოჯანმრთელების იმედზეა, ეფენბერგი კი მათ შორის პირველია. იგი დღესდღეობით ხელშეუხებელია — ფიქრობენ დღეს გერმანიაში.

შეიძლება ითქვას, შტეფან ეფენბერგი მკაცრად დაისაჯა, მაგრამ მაინც იოლად გამოძვრა. ეგ როგორ გავიგოთო, იკითხავთ. როგორ და კაცს რომ ერთი სილა ლამის ნახევარი მილიონი მარკა დაუჯდება (50 ათასს სამომავლოდ გადასახდელი 390 ათასი დაუმატეთ), მკაცრად დასჯაა, აბა, რა არის. თუმცა ახლა ბასლერი გაიხსენეთ და სასჯელის სიმსუბუქეშიც დარწმუნდებით.

**ვანო ოქროპირიძე**

# მწვრთნელთა დუმილი

## გარკვეული ჯერ არაფერია

**მარჩელო ლიპი** „ინტერის“ მწვრთნელი აღარაა, მოხსნეს. ამიტომ საუბარი ესპანეთიდან დავიწყოთ: ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთი გოლიათი „ბარსელონა“ ახალ სეზონში ცუდად თამაშობს. ჩემპიონთა ლიგაში სტამბოლში „ბეშიქთაშთან“ 0:3 დამარცხება და შემდეგ შინ, „კამპ ნოუზე“ „მილანისგან“ ნაწვნევი 0:2 ამის დასტურია. კატალონიელებს ახალი პრეზიდენტი და ახალი მწვრთნელი ჰყავთ. მწვრთნელი, ლორენს სერა ფერერი უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტებს არ განეკუთვნება და ამ წუთას ისე ჩანს, რომ ამ კატეგორიაში შესვლას ძალიან ბევრი აკლია, მაგრამ პრეზიდენტი ხუან გასპარი მას ენდობა, ყოველ შემთხვევაში საჯაროდ.

ერთი სიტყვით, როგორც კი იტალიაში ხმა დაირხა, ლიპი „ინტერის“ მწვრთნელი აღარ არისო, ესპანეთში მის „ბარსელონაში“ შესაძლო გადასვლაზე აგორდა ჭორი. ის, რომ გასპარი ხმამაღლა სერა ფერერს ენდობა, ბევრს არაფერს ნიშნავს — კლუბების პრეზიდენტთა შორის ერთის თქმა და მეორის ფიქრი კარგ ტონადაც კი ითვლება.

ამბობენ, ბარსელონიდან ლიპის უკვე დაურეკეს, მან კი დრო სთხოვაო. ხმამაღლა კი:

„როდესაც „იუვენტუსიდან“ წავედი, სამი თვის მანძილზე არავის არაფერზე დაველაპარაკებივარ. ახლა კიდევ უფრო მეტი ხნით ვაპირებ დადუმებას“ — განაცხადა უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელმა.

„ინტერი“ კი სამშაბათ საღამოს შემდეგ უმწვრთნელოდაა. მოკლედ გავიხსენოთ, რა მოხდა: მილანელებმა, რომელთაც სეზონის წინ 85 მილიონი დოლარი ახალი ფეხბურთელების შეძენაზე დახარჯეს, უხეირო შედეგებს ერთიმეორის მიყოლებით აგროვებენ. ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდნენ, რადგან შესარჩევი ეტაპიდან შვედურმა „ჰელსინგბორგმა“ გამოთიშა, ხოლო შემდეგ, იტალიის პირველობის პირველივე დღეს, „რეჯინასთან“ სტუმრად 1:2 წააგეს. ამით აღშფოთებულმა ლიპიმ პრეს-კონფერენციაზე ფეხბურთელებს სულ განებივრებული ბავშვები უწოდა და დასძინა, მე რომ პრეზიდენტის, მასიმო მორატის ადგილზე ვიყო, მწვრთნელს მოვხსნიდიო.

მოხსნეს კიდეც. როგორც „ინტერის“ ტექნიკურმა დირექტორმა გაბრიელე ორალიმ განაცხადა, მორატიმ მწვრთნელი დაიბარა და სცადა გაერკვია, რამდენად შეძლებდა ის ბევრ, მდიდარ და სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე მოთამაშესთან ურთიერთობის გაგრძელებას. როგორც გაირკვა, ეს შეუძლებელი იყო.

დღეს მილანელებმა რუმინეთის და საქართველოს ნაკრებებს უნდა უძღვნან დიდი მადლობა. შაბათს „სკუადრა აძურა“ რუმინელებს ეთამაშება, ოთხშაბათს ქართველებს. ამის გამო იტალიის ჩემპიონატი შეჩერებულია და 14 ოქტომბერს განახლდება, მანამდე კი „ინტერის“ შეფობამ იქნებ მოიფიქროს, ვინ გაუძღვება გუნდს ამიერიდან. ამწუთას ფეხბურთელებს ასისტენტი მწვრთნელი ნარჩიკო პეცოტი და ახალგაზრდულის თავკაცი ჯუზეპე ბარეზი ავარჯიშებენ, გაზეთები კი წერენ, რომ ლიპის ან ყოფილი არგენტინელი ვარსკვლავი, დღეს ურუგვაის ნაკრების მწვრთნელი დანიელ პასარელა ანაც იტალიის ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელი მარკო ტარდელი შეცვლის.

ამრიგად, მორატის ხუთნახევარ წელიწადში მეექვსე მწვრთნელის დანიშვნა უწევს, მაგრამ განა მამამისი, „დიდი ინტერის“ დროინდელი პრეზიდენტი ანჯელო მორატიც ასე არ იყო? 50-იან წლებში, ელენიო ერერას დანიშვნამდე მან ხუთ წელიწადში ექვსი მწვრთნელი გაანთავისუფლა თანამდებობიდან.

ახლა კი, თქვენი ნებართვით, ისე, ინტერესისთვის, გავიხსენოთ ის ხუთი სპეციალისტი, რომლებიც შვილმა მორატიმ 1995 წლის შემდეგ დაიფრინა:

1995 წლის ზაფხულში ოტავიო ბიანკი ინგლისელმა როი ჰოჯსონმა შეცვალა, რომელიც 1997 წლამდე დამკვიდრდა თანამდებობაზე. შემდეგ იყო ლუიჯი სიმონი, რომლის ხელშიც „ინტერს“ საქმეები თითქოს კარგად წაუვიდა, მაგრამ მეორე სეზონის შუაში, ზუსტად იმ დღეს, ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელად რომ დაასახელეს, სიმონიმ სამსახური დაკარგა და მის მაგივრად საქმე რუმინელმა მირჩია ლუჩესკუმ ჩაიბარა, თუმცა იმ სეზონის დამთავრებაც არ აცალეს.

ბოლოს კი იყო ლიპი, რომელსაც კანონის თანახმად, ამ ჩემპიონატის განმავლობაში სხვა იტალიურ გუნდში მუშაობა ეკრძალება.

გუშინ მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ „ინტერის“ ახალ მწვრთნელს ორშაბათს დაასახელებს.

**ბაჩუნა ძიძია**



**მარჩელო ლიპი**

*დაიბადა 1948 წლის 11 აპრილს ვიარეჯოში*

*1970 — თამაში დაიწყო გენუის „სამპდორიაში“*

*1971 — 17 თებერვალს ჰქონდა დებიუტი იტალიის 23-წლამდელთა ნაკრებში. ითამაშა ორი მატჩი „სკუადრა აძურას“ მეორე გუნდში*

*1981-82 — თამაშობდა „პისტოიეზესა“ და „ლუკეზეში“.*

*სულ სერია A-ში ჩაატარა 239 მატჩი, გაიტანა 7 გოლი*

*სამწვრთნელო კარიერა:*

*1984-85 — „სამპდორიას“ ახალგაზრდული გუნდი*

*1985-86 — სამოყვარულო ლიგის „პონტედერა“*

*1986-87 — „სიენა“*

*1987-88 — „პისტოიეზე“*

*1988-89 — „კარარეზე“*

*1989-91 — სათავეში ჩაუდგა სერია A-ს „ჩეზენას“, 12 თვის შემდეგ დაინიშნა ბერგამოს „ატალანტას“ მთავარ მწვრთნელად*

*1991-92 — სერია B-ს „ლუკეზეს“ მწვრთნელი*

*1992-93 — ბრუნდება „ატალანტაში“*

*1993-94 — გახდა ნეაპოლის „ნაპოლის“ თავკაცი*

*1994-95 — სათავეში ჩაუდგა ტურინის „იუვენტუსს“, მოაგებინა უეფას თასი*

*1995-96 — ჩემპიონთა ლიგის ფინალში „იუვენტუსი“ პენალტებით ამარცხებს ამსტერდამის „აიაქსს“*

*1996-97 — „იუვენტუსთან“ ერთად იგებს იტალიის ჩემპიონატს, ევროპის სუპერთასს და საკონტინენტთაშორისო თასს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ფინალს აგებს დორტმუნდის „ბორუსიასთან“ 1:3*

*1997-98 — ლიპის თავკაცობით „იუვენტუსი“ კვლავაც იტალიის ჩემპიონია, მაგრამ კვლავ აგებს ჩემპიონთა ლიგის ფინალს, ამჯერად მადრიდის „რეალთან“ 0:1*

*1999 — 7 თებერვალს „იუვენტუსი“ 2:4 აგებს „პარმასთან“, რის შემდეგაც ლიპის თანამდებობიდან ათავისუფლებენ*

*1999 — ინიშნება მილანის „ინტერის“ მთავარ მწვრთნელად*

*1999-2000 — მისი თავკაცობით „ინტერი“ მეოთხე ადგილზე გადის ჩემპიონატში და აგებს ორმატჩიან დუელს იტალიის თასზე რომის „ლაციოსთან“*

*2000 — აგვისტოში „ინტერი“ სამარცხვინოდ ვარდება ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპიდან. უსახურმა შვედურმა „ჰელსინგბორგმა“ მარჩელო ლიპის სამწვრთნელო თანამდებობა შეარყია*

*2000 — 1 ოქტომბერს „ინტერი“ რეჯო კალაბრიაში მარცხდება „რეჯინასთან“. მასიმო მორატის მოთმინების ფიალა აივსო*

*2000 — 3 ოქტომბერს ათავისუფლებენ „ინტერის“ მწვრთნელობიდან*

# სექტემბრის ანბანი

არის ინგლისში ასეთი კაცი — ენდრიუ მორტონი, რომლის კალამსაც ან გარდაცვლილი პრინცესა დაიანას ბესტსელერად ქცეული ბიოგრაფია ეკუთვნის. ეს მისტერ მორტონი ამას წინათ დამჯდარა და ცნობილი ინგლისური წყვილის — ვიქტორია ადამსისა და დევიდ ბექემის ამბავი დაუწერია. წიგნი სულ მალე გამოქვეყნდება და როგორც ვარაუდობენ, უზარმაზარ მოგებას მოიტანს.

ბელგიის საპორტო ქალაქ ანტვერპენის მერმა თავის გამგეობაში მყოფ ტერიტორიაზე სალამოობით ფეხბურთის თამაში აკრძალა. ჩემპიონატის მატჩში „ანტვერპენი“ — „ანდერლეხტი“ სტუმრებმა გაიმარჯვეს, გულშემატკივრებმა კი იჩხუბეს. 23 ადამიანი დაშავდა. მერის აზრით, ხულიგნების მხილება შებინდებამდე უფრო ადვილია, ვიდრე მერე.

გავრცელებული ტრადიციაა, მსოფლიოში ცნობილი ხალხი დიდ ფირმებთან სარეკლამო კონტრაქტებს აფორმებს. პლანეტის უძვირესი მოთამაშე ლუიშ ფიგუ ამიერიდან ერთ-ერთ პორტუგალიურ ბანკს გაუკეთებს რეკლამას. გარიგების ფინანსური მხარე არ გაუმხელიათ, ის კი თქვეს, „რეალის“ ლეგიონერს ბანკის მფლობელთა შორის განევრიანება სურდაო.

დიეგო მარადონა ავარიაში მოჰყვა, თუმცა მისი ახლო მეგობრის, გილერმო კოპოლას თქმით, საშიში არაფერია და დიდ არგენტინელს მხოლოდ ფეხი დაეჟეჟა. დიეგო არმანდომ ღამით ჰავანაში ავტომანქანით გასეირნება მოისურვა. წვიმდა, ქუჩაც ნახევრად ჩაბნელებული იყო. ჰოდა, მარადონაც „ჯიპით“ ტურისტულ ავტობუსს შეასკდა.

ერთსა და იმავე გუნდში 10 წელი თამაში ჩვენს დროში მართლაც იშვიათია, თანაც უცხოელის: 9 სექტემბერს ბრაზილიელმა ალდაირმა იტალიურ „რომაში“ თამაშის ათწლიანი იუბილე აღნიშნა.

ვინ იცის, ეგებ ცოტა ხანში მსოფლიო ფეხბურთში ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდეს. ალენ დელონი „ვიტორიაში“ თამაშობს და საუცხოო მონაცემებიც აქვს. იგი 21 წლისაა და შესაძლოა ბრაზილიის ნაკრებშიც მიიღოს მიწვევა. დიდი ფრანგი მსახიობით მოხიბლულმა მავანმა ბრაზილიელმა მანდილოსანმა, 1979 წელს რომ მოილოგინა, პირმშოს ალენ დელონი დაარქვა.

ზეპ ბლატერი ოლიმპიურ თამაშებზე ჩავიდა, ვიქტორიას შტატის სპორტის მინისტრს შეხვდა და ერთი საიდუმლოც გაუმხილა. კერძოდ, ფიფას თავკაცი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სტრუქტურის შეცვლას აპირებს და თუ თავისი გაიტანა, 2006 წლიდან ოკეანეთის წარმომადგენელი ყოველგვარი გადათამაშების გარეშე გავა მუნდიალზე.

თაღლითობთ და ჩაწყობილ მატჩებს თამაშობთო — ფიფამ პერუს ჩემპიონ „უნივერსიტარიო დე დეპორტივოს“ ხელმძღვანელობა ამხილა და გუნდს 2002 წლამდე ყოველგვარი საერთაშორისო მატჩების გამართვა აუკრძალა. კლუბი სამხრეთ ამერიკის ლიბერტადორესის თასსაც ჩამოშორდა და ვერც ამხანაგურ შეხვედრებს ჩაატარებს. განრისხებული ქომაგები კლუბის პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ.

ინგლისის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფორვარდ მაიკლ ოუენს, რომელიც ამჟამად პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირია, მიაჩნია, რომ მისი კლუბი ქვეყნის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს“ სულ მცირე ორი სეზონი ვერ შეებრძოლება და კონკურენციას ვერ გაუწევს. „დღეს ინგლისში საუკეთესო გუნდი „იუნაიტედია“ — აცხადებს ყმაწვილი ბრიტანელი.

კამერუნმა ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიპოვა. სიდნეურ ფინალში აფრიკელებმა ესპანელები დაჯაბნეს. მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა, გამარჯვებული ვერც დამატებით დროში გამოვლინდა, პენალტები კი უფრო ზუსტად კამერუნელებმა დაარტყეს — 5:3. სიდნეის სტადიონზე შეხვედრის სანახავად 98200 ქომაგი მივიდა.



REUTERS

დიეგო მარადონა ავარიას გადაურჩა და ახლა დიეგო მარადონაზე წიგნს კითხულობს

ლევერკუზენის მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა ოფიციალურად განაცხადა: „მორჩა, 2001 წლის 1 ივნისიდან გერმანიის ეროვნულ ნაკრებს ჩავიბარებ, ამ გადაწყვეტილებას ვერავინ შემაცვლევინებს“.

მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ 2002 წლის ივლისიდან, ალბათ, სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის წარმოებით სახელგანთქმული ამერიკული ფირმა „ნაიკი“ შემოსავს. გრანდიოზული ხელშეკრულების გაფორმებაზე მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. წინასწარი ინფორმაციით, კონტრაქტი 15-წლიანი იქნება. ამით პლანეტის უმდიდრესი კლუბის სალარო კიდევ 300 მილიონი გირვანქით შეივსება.

ნეიშენალ ლოთერი, ანუ ეროვნული ლატარია, კვირაში ორჯერ — ოთხშაბათობით და შაბათობით თამაშდება. მთელი ბრიტანეთი 49-დან 6 ციფრის გამოცნობასა და ჯეკ პოტის მოხსნას ცდილობს. სექტემბრის ერთ-ერთი გათამაშება 46 წლის მაიკლ ლინჩმა მოიგო. ფეხბურთის გულშემატკივართათვის ეს კაცი იმითაცაა საინტერესო, რომ იგი „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტნის, როი კინის ბიძაა. 2,8 მილიონი გირვანქა ერთ დღეში — ეს მისი დისშვილის წლიურ ხელფასზე 100 ათასი გირვანქით მეტია.

ოლიმპიადით კიდევ უფრო დამძიმებულმა კალენდარმა სერია A-ს მალალჩინოსნებს ერთი შეხედვით უცნაური გადაწყვეტილებისკენ უბიძგა. იტალიის ჩემპიონატის ახალი სეზონი ჩვეულზე გვიან, სექტემბრის ბოლო დღეს დაიწყო. საფეხბურთო სეზონი გახურებულია. ქომაგსაც რაღა დარჩენია? ტელევიზორთან მოკალათდეს, ანაც სტადიონზე მივიდეს.

პრიმერადივიზიონის პირველ ტურში ერთმანეთს „რეალი“ და „ვალენსია“ შეხვდნენ. ჩემპიონთა ლიგის ფინალის მონაწილეთა ამჯერად შინაური პაექრობა „სამეფო კლუბმა“ მოიგო. საერთოდ საინტერესოა, რა მოხდება ახალ სეზონში? დაიცავს ტიტულს „დეპორტივო“? ან იქნებ „ატლეტიკოს“ დარი სახელოვანი გუნდი გავარდეს? რას შემოგვთავაზებენ „რეალი“ და „ბარსა“, ანაც ექტორ რაულ კუპერის ჩინებული „ვალენსია“? ამ კითხვებს ახალი სეზონი გასცემს პასუხს და ჩვენც თავს შევიქცევთ, შედეგს კი საბოლოო ცხრილში ვნახავთ.

ჟაკ შირაკმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები გვერდში ამოიყენა და მათთან დიდი სამახსოვრო ფოტო გადაიღო. ვერსალის სასახლეში ფეხბურთელებს მათი ლამაზი მეუღლეებიც უმშვენებდნენ მხარს. ამ ღირსშესანიშნავი დღიდან სულ მალე ლორან ბლანმა და დიდიე დეშამპმა საფრანგეთის ნაკრებში უკანასკნელი მატჩი ჩაატარეს (ინგლისთან 1:1) და ეროვნულ გუნდს გამოეთხოვნენ.

რობერტო კარლოსმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ოფიციალურად დაადასტურა, რომ სხვადასხვა გუნდებიდან უამრავი მაცდური წინადადება მიიღო, მაგრამ მაინც „რეალის“ ერთგული დარჩა. 27 წლის ბრაზილიელს „სამეფო კლუბთან“ კონტრაქტი ხუთი წლის შემდეგ უმთავრდება. თუ მანამდე მის ყიდვას ვინმე მოისურვებს, სანაცვლოდ „რეალს“ 80 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.

სერ ალექს ფერგიუსონმა ახლახან გაამხილა, რომ ზინედინ ზიდანის „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადაყვანის ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან. იგი ფრანგით თურმე რამდენიმე წლის წინ დაინტერესდა, როცა ყველასთვის უცნობი ფეხბურთელი „ბორდოში“ თამაშობდა, თუმცა მისი ინგლისში გადაბირება ვერ მოახერხა. მწვრთნელი აღიარებს, რომ ეს მისი უდიდესი შეცდომა გახლდათ.

ტრანსფერი სავსებით რეალურია და თუ ასე მოხდა, კლაუდიო კანიჯა გიორგი ნემსაძის თანაგუნდელი გახდება. „დანდის“ მწვრთნელმა ივანო ბონეტიმ გადაწყვიტა, 33 წლის არგენტინელი შოტლანდიაში სათამაშოდ მიიწვიოს. 1990 და 1994 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილე, იტალიის მუნდიალის ვერცხლის მედლის მფლობელი ახლა თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს, ისე კი ბერგამოს „ატალანტაში“ ირიცხება.

უემბლის ავსტრალიური „მალტი პლექს კონსთრაქშენი“ ააგებს. ამ კომპანიამ სიდნეიში 110-ათასიანი სტადიონი ააშენა. ინგლისელთა საამაყო არენა 2004 წელს მზად უნდა იყოს. ძველ ლეგენდარულ „უემბლიზე“, რომელიც 1923 წელს გაიხსნა, ბოლო მატჩი 7 ოქტომბერს გაიმართება — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა ინგლისსა და გერმანიას შორის.

ფიფას გენერალური მდივნის, მიშელ ზენ-რუფინენის განცხადებით, გამორიცხული არაა, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის რამდენიმე მატჩს ჩრდილოეთ კორეამ უმასპინძლოს. „ბოლოდროინდელ მოვლენებს თუ გადავავლებთ თვალს, ეს სავსებით ლოგიკურად მეჩვენება, თუმცა იოლი მოსაგვარებელი საქმე არ იქნება“ — აღნიშნა მდივანმა.

ქორწილიდან 14 თვის შემდეგ მარკ ბოსნიჩი და მისი ფეხმძიმე მეუღლე შესაძლოა გაიყარონ. მოდელი სარა ჯარერტი აცხადებს, რომ ბოსნიჩთან ცხოვრება აღარ შეუძლია. მისი თქმით, სერბული წარმოშობის ავსტრალიელი გაუწონასწორებელი პიროვნებაა.

ღვთის წყალობამ და „ბოინგის“ პილოტთა სიმარჯვემ მადრიდის „რეალი“ დაღუპვას გადაარჩინა. „სამეფო კლუბი“ გერმანიაში „ლევერკუზენთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის ჩასატარებლად მიფრინავდა. ჰაერში თვითმფრინავი გაფუჭდა და 11 ათასი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. საბედნიეროდ, მიწაზე არ დანარცხებულა, 5 ათას მეტრზე ყველაფერი მოწესრიგდა. შეშინებულმა „რეალმა“ მეორე დღეს „ლევერკუზენს“ მაინც მოუგო.

ყურებს არ დავუჯერე, ეს ამბავი რომ გავიგე — თქვა ათლელ სტილმა. ვინ ოხერიაო, იკითხავთ. ეს კაცი ჯანლუკა ვიალის აგენტია, ვიალი კი 1998 წლიდან „ჩელსის“ მწვრთნელი იყო. ახლა იგი დროებით უმუშევარია -- სექტემბერში არასასურველი შედეგების გამო ლონდონური კლუბიდან დაითხოვეს. მის ნაცვლად „ჩელსიში“ მეორე იტალიელი, კლაუდიო რანიერი მიიწვიეს.

შალკეს ბელგიელი ფორვარდი ემილ მპენზა ავარიაში მოჰყვა, თუმცა სერიოზულად არ დაშავებულა. არადა, ფეხბურთელმა „ფერარი“ კონსერვის ქილასავით დაჭეჭყა. ორი წლის წინ მან ასეთივე დღეში ჩააგდო „პორშე“, მაგრამ ამას ვინ ჩივის — მთავარი ხომ ადამიანის სიცოცხლეა.

ჩემს ძირითად შემადგენლობაზე ერთ სიტყვასაც არ ვიტყვი, მიჯობს, პრესაში თამაშების მიმოხილვა იწერებოდეს, ვიდრე იმ ცნობილ მოთამაშეთა გულისწყრომის ამბავი, რომლებიც სათადარიგო სკამზე დავსვი. „იუვენტუსში“ მხოლოდ ვარსკვლავები არიან და რომელიმე მათგანს ყოველ შეხვედრაში მოუწევს თადარიგში ყოფნა — განაცხადა „ბებერი ქალბატონის“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ.

ცოტაა თუ ბევრი მაისამდე? ვისთვის როგორ. ფეხბურთის ქომაგს კი მოსაწყენად და დღეების სათვლელად სად სცალია. ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონი დაიწყო, წინ „სან სირო“ მოჩანს. ვინ იპაექრებს საკლუბო ტურნირის მთავარ მატჩში, აქედან ძნელი მისახვედრია. შანსი რამდენიმე გუნდს აქვს. ერთი რამ უკვე ცხადია — ფინალში „სან სიროს“ ერთ-ერთი მკვიდრი „ინტერი“ ვერ ითამაშებს, ლიპის გუნდმა ლიგაში ადგილი უსახელო „ჰელსინგბორგს“ დაუთმო.

ძალა არ შეგწევთ, კლუბებს მნიშვნელოვანი საერთაშორისო მატჩებისთვის ნაკრებში ფეხბურთელები გააშვებინოთო — გალანძღა ნიგერიის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელმა ჯო ბონფრერემ ფიფას დიდმოხელენი. მან განსაკუთრებით აუგად „არსენალი“ მოიხსენია.

წარსულში „ლაციოს“ მწვრთნელმა და პრეზიდენტმა დინო ძოფმა ახლა რომაული კლუბის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ჩაიბარა. იტალიის ნაკრებიდან წასული პაპა დინოსთვის „ლაციოს“ კარი ყოველთვის ღია იყოო, აღნიშნა სერჯო კრანიოტიმ, იტალიის ჩემპიონთა პრეზიდენტმა და თავად ძოფის მეგობარმა.

ჭორები, თითქოს „რეალი“ სტივ მაკმანამანის გაყიდვას აპირებდეს, ალბათ, საბოლოოდ გაიფანტება. ვისენტე დელ ბოსკემ ინგლისელი „სამეფო კლუბის“ განაცხადში შეიყვანა. ბრიტანელს ძალიან არ უნდოდა მადრიდიდან წასვლა და აისრულა კიდეც სანადელი.

ხორხე ვალდანო მადრიდის „რეალის“ დირექტორად დაინიშნა. „სამეფო კლუბის“ ყოფილმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ვალდანო „რეალში“ სპორტულ საკითხებს, აგრეთვე კლუბსა და მასმედიას შორის ურთიერთობას მოაგვარებს. არგენტინელს საფეხბურთო გამოცდილებასთან ერთად ჟურნალისტური პრაქტიკაც აქვს.

ჯოჯოხეთს დაეხსნა — „ინტერში“ გატარებული ორწლიანი უიღბლო ხანა უკვე წარსულია. 1993 წლის მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი რობერტო ბაჯო ამიერიდან „ბრეშას“ ღირსებას დაიცავს. რობერტოს აპენინის სამ ტიტულიან გუნდში — „მილანში“, „იუვენტუსსა“ და „ინტერში“ უთამაშია. იგი იტალიის ორგზის ჩემპიონი, ორჯერაც უეფას თასის მფლობელი.

ჰეგემონია ქალთა ფეხბურთში სულ მცირე ოთხი წლით დამხობილია. ამერიკელი მანდილოსნები ოლიმპიადაზე ნორვეგიამ დაამარცხა.

## შვედეთი

22-ე ტური: ჰალმსტადი — ჰაკენი 4:1; ტრელებორგი — ელფსბორგი 4:1; ფრიოლუნდა — ნორჩიოპინგი 0:1; აიკ — იორგრიტე 0:1; ჰელსინგბორგი — იორებრო 2:2; გიოტებორგი — ჰამარბი 3:1; სუნდსვალი — გაის 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 22 | 14 | 4 | 4 | 42:21 | 46 |
| აიკ | 22 | 12 | 4 | 6 | 33:25 | 40 |
| ჰელსინგბორგი | 22 | 12 | 3 | 7 | 43:25 | 39 |
| ელფსბორგი | 22 | 12 | 2 | 8 | 38:33 | 38 |
| გიოტებორგი | 22 | 9 | 8 | 5 | 35:27 | 35 |
| იორგრიტე | 22 | 10 | 3 | 9 | 28:25 | 33 |
| ნორჩიოპინგი | 22 | 7 | 10 | 5 | 35:23 | 31 |
| იორებრო | 22 | 8 | 6 | 8 | 37:33 | 30 |
| ტრელებორგი | 22 | 7 | 8 | 7 | 23:23 | 29 |
| ჰამარბი | 22 | 7 | 6 | 9 | 25:32 | 27 |
| სუნდსვალი | 22 | 6 | 7 | 9 | 28:34 | 25 |
| ჰაკენი | 22 | 3 | 11 | 8 | 30:40 | 20 |
| გაის | 22 | 2 | 8 | 12 | 19:37 | 14 |
| ფრიოლუნდა | 22 | 2 | 6 | 14 | 15:53 | 12 |

## უნგრეთი

XI ტური

A ჯგუფი

დუნაფერი — ტატაბანია 2:5; ნიირშეგი — შოპრონი 1:2; ჰონვედი — ფერენცვაროში 1:2; დიორ ეტო — ჰალადაში 2:2; დუნაფერი — ჰონვედი 5:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 11 | 6 | 4 | 1 | 29:16 | 22 |
| ტატაბანია | 11 | 6 | 4 | 1 | 23:15 | 22 |
| დიორ ეტო | 11 | 5 | 2 | 4 | 16:16 | 17 |
| შოპრონი | 11 | 5 | 1 | 5 | 18:20 | 16 |
| ფერენცვაროში | 11 | 4 | 3 | 4 | 19:19 | 15 |
| ჰონვედი | 11 | 2 | 5 | 4 | 16:18 | 11 |
| ნიირშეგი | 11 | 3 | 0 | 8 | 8:16 | 9 |
| ჰალადაში | 11 | 2 | 3 | 6 | 12:21 | 9 |

B ჯგუფი

უიპეშტი — მტკ 1:4; ნადიკანიჟა — დებრეცენი 1:3; ვაშაში — პეჩი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მტკ | 10 | 7 | 3 | 0 | 23:6 | 24 |
| უიპეშტი | 11 | 5 | 3 | 3 | 26:16 | [illegible] |
| დებრეცენი | 11 | 5 | 2 | 4 | 19:15 | 17 |
| ვაშაში | 11 | 4 | 4 | 3 | 15:9 | 16 |
| ვიდეოტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 14:15 | 15 |
| ზალაეგერსეგი | 11 | 2 | 7 | 2 | 9:15 | 13 |
| ნადიკანიჟა | 10 | 2 | 2 | 6 | 9:25 | 8 |
| პეჩი | 11 | 1 | 2 | 8 | 5:19 | 5 |

## უკრაინა

მე-10 ტური: მეტალურგი — ტავრია 0:0; სტალი — ზაპოროჟიე 1:2; შახტარი — დინამო 1:1; მეტალისტი — დნიპრო 0:1; ნივა — კარპატი 5:2; კრივბასი — მარიუპოლი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 9 | 6 | 2 | 1 | 19:9 | 20 |
| დნიპრო | 10 | 6 | 2 | 2 | 11:8 | 20 |
| შახტარი | 8 | 6 | 1 | 1 | 26:7 | 19 |
| მეტალურგი | 9 | 5 | 2 | 2 | 11:9 | 17 |
| კარპატი | 10 | 5 | 0 | 5 | 17:14 | 15 |
| ტავრია | 9 | 4 | 3 | 2 | 12:9 | 15 |
| მარიუპოლი | 10 | 4 | 3 | 3 | 11:11 | 15 |
| ცსკა | 9 | 3 | 4 | 2 | 10:7 | 13 |
| ზაპოროჟიე | 10 | 4 | 1 | 5 | 12:16 | 13 |
| მეტალისტი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:15 | 12 |
| კრივბასი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:11 | 11 |
| ნივა | 10 | 2 | 3 | 5 | 12:20 | 9 |
| სტალი | 10 | 1 | 1 | 8 | 7:19 | 4 |
| ვორსკლა | 9 | 0 | 1 | 8 | 2:14 | 1 |

## არგენტინა

მე-9 ტური: ბოკა ხუნიორსი — ლანუსი 3:2; ნიუელს ოლდ ბოიზი — რასინგი 1:1; არგენტინოს ხუნიორსი — ურაკანი 1:1; ჩაკარიტა ხუნიორსი — რივერ პლეიტი 1:0; ხიმნასია ლა პლატა — ბელგრანო 2:2; ინდეპენდიენტე — ესტუდიანტესი 0:1; ტალერესი — როსარიო სენტრალი 2:0; უნიონი — ალმაგრო 3:0; სან ლორენსო — ველეს სარსფილდი 0:1; ლოს ანდესი — კოლონი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 9 | 7 | 2 | 0 | 22:9 | 23 |
| რივერ პლეიტი | 9 | 6 | 2 | 1 | 20:8 | 20 |
| ლა პლატა | 9 | 5 | 3 | 1 | 19:15 | 18 |
| ტალერესი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:10 | 17 |
| სან ლორენსო | 9 | 5 | 1 | 3 | 16:9 | 16 |
| ურაკანი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:8 | 15 |
| ესტუდიანტესი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:7 | 15 |
| კოლონი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:10 | 14 |
| ველესი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:8 | 13 |
| ოლდ ბოიზი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:9 | 12 |
| ჩაკარიტა | 9 | 3 | 3 | 3 | 6:8 | 12 |
| უნიონი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:10 | 9 |
| ლოს ანდესი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:20 | 9 |
| არგ. ხუნიორსი | 8 | 1 | 5 | 2 | 8:9 | 8 |
| ლანუსი | 9 | 2 | 1 | 6 | 13:16 | 7 |
| ინდეპენდიენტე | 9 | 1 | 4 | 4 | 6:10 | 7 |
| ბელგრანო | 9 | 0 | 7 | 2 | 10:13 | 7 |
| როსარიო | 9 | 0 | 4 | 5 | 9:17 | 4 |
| ალმაგრო | 9 | 0 | 4 | 5 | 4:13 | 4 |
| რასინგი | 8 | 0 | 3 | 5 | 4:14 | 3 |

# ტქბილი ფლავი რომელმაც საქართველო ერთი კვირა გამოკვება

## ქვეყნის გამომჩენ და ხალხის გამხარებელ სპორტსმენებთან პირის გატეხვა ისედაც სახელგატეხილ მთავრობას მთლად უსახელოდ დატოვებს

***სიდნეის ოლიმპიადის პირველივე დღეშ ჩვენი გუნდიდან მედლის მოპოვების რამდენიმე ისეთი რეალური კანდიდატი შეიწირა, ვიფიქრეთ, ატლანტაში აღებული ორი ბრინჯაოს მედალიც სანატრელი გაგვხდომია და ეგ არისო. მაგრამ გავიდა მეორე დღეს ოლიმპიურ ტატამზე გიორგი ვაზაგაშვილი და მესამე ადგილის დკავებით იმედის ნაპერწკალი გაგვიღვივა. ასე დაიწყო ქართველ ოლიმპიელთა „ბრინჯაოს ხანა" ავსტრალიაში, რომელსაც სათავე გიორგიმ დაუდო, თუმცა მეორე მედლამდე ერთი კვირა გავიდა, მტანჯველი და დამღლელი მოლოდინით სავსე დღეები. მოგვიანებით მას კიდევ ხუთმა თანამემამულემ დაუმშვენა მხარი ოლიმპიური კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე. სამწუხაროდ, უფრო ზემოთ შედგომა ვერავინ მოახერხა. ამიტომაც ხუმრობს ვაზაგაშვილი, რა ხელზე ავიღე ეს ბრინჯაო, ოქროთი ან ვერცხლით მაინც დამეწყოო.***

**ისე,** ხუმრობა იქით იყოს და, რომ გვაგონდება, რამდენჯერ დაჩაგრეს ეს ბიჭი უცხოეთში და, ვაღიაროთ, შინაც, მის მიერ მედლის მოპოვება სამართლის ზეიმი გვგონია. თუმცა მსაჯთა უნამუსობას ვერც სიდნეიში ასცდა. ეგ კი არა, რომ არ ევაჟკაცა, ბრინჯაოსაც ართმევდნენ. სწორედ მტკიცე ხასიათის წყალობით დაიძვრინა თავი ურთულესი სიტუაციიდან ჰოლანდიელ კალკენთან შეხვედრაში და ბრძოლა გამარჯვებამდე მიიყვანა. გიორგი ახლა გორში, თავის მშობლიურ სოფელ ფლავში ცდილობს ოლიმპიური დღეების დაძაბულობისგან განტვირთვას, თუმც „სარბიელთან" სასაუბროდ თბილისში ჩამოსვლა არ დაზარებია. პირველი სიტყვა, როგორც პირველ მედალოსანს, მას დავუთმეთ.

— პირველ რიგში დიდ მადლობას ვუხდი ყველა გულშემატკივარს, რომლებიც მქომაგობდნენ. აგრეთვე იმ ხალხს, ვინც ხელი შემიწყო მომზადებაში. როგორც კი დამთავრდა შეხვედრა მესამე ადგილისთვის, მაშინვე გამომცეს ჯანო ბაგრატიონის მისალოცი ფაქსი. თანასოფლელები, მეგობრები, ახლობლები პირდაპირ იქ მირეკავდნენ და მილოცავდნენ. აქ ჩამოვედი და მთელი სოფელი აეროპორტში დამხვდა. ამის დავიწყება შეუძლებელია.

ოლიმპიური თამაშებისთვის ოთხი წელიწადი ვემზადებოდი. ვფიქრობ, მედლის მოსაპოვებლად ყველაფერი გავაკეთე, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული. მართალია, მეტი შემეძლო და შანსიც მქონდა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — მსაჯის შეცდომა თუ მიკერძოება ჩემი მეტოქისადმი. მხედველობაში მაქვს ნახევარფინალში გასასვლელი შეხვედრა იტალიელ ჯიროლმო ჯოვინაცოსთან. ბრაზილიელმა შუამავალმა მსაჯმა ჭიდაობა გააჩერა. მე დავემორჩილე, მეტოქემ კი ილეთი გამიკეთა, რაც არბიტრმა, ყველასთვის მოულოდნელად, იპონით შეაფასა. ეს უკანონობა იყო. სხვათა შორის, მას გვერდითი მსაჯი არ დაეთანხმა, მაგრამ... ის დაინტერესებული იყო ჩემი წაგებით და ამიტომ გააკეთა ასე. სხვა მხრივ, ფინალში გასასვლელად მზად ვიყავი. სხვათა შორის, ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაც მან განსაჯა და ობიექტური არც მაშინ იყო.

**— რას გერჩოდათ, რატომ იყო დაინტერესებული თქვენი წაგებით?**

— საქმე ის არის, რომ ჯოვინაცომ მანამდე მოუგო ბრაზილიელს. ამ შეხვედრაში თუ გავიმარჯვებდი, მაშინ ის ბრაზილიელი საერთოდ ეთიშებოდა ტურნირს. ვფიქრობ, ყველაფერი ცხადია. სამწუხაროდ, ჯოვინაცომ ზედიზედ მეორე ოლიმპიადაზე გადამიღობა მედლისკენ მიმავალი გზა...

**— საბედნიეროდ, ამჯერად ხელცარიელი არ დარჩით. არადა, ეს მედალი მაშინ აიღეთ, როცა რამდენიმე ფავორიტის მარცხმა ლამის იმედი გადაგვიწურა.**

— ამ დროს ფავორიტების მარცხით მართლაც ყველა აღელვებული იყო. ჩემგან მედალს კი ელოდნენ, მაგრამ თან ეშინოდათ, ვაითუ, სხვებივით ხელცარიელი დარჩესო. ეს მეც დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მედალი მეც ძალიან მჭირდებოდა — მე ხომ მეორე ოლიმპიადაზე გამოვდიოდი. არ ვფიქრობდი არც ჯილდოებზე, არც პრემიებზე, უმთავრესი ოლიმპიური მედალი იყო. ამიტომ ვღელავდით მეც და სხვებიც. ჩემს შეხვედრას ვან კალკენთან მთელი ქართული დელეგაცია დაესწრო. მახსოვს, პირველ რიგში ისხდნენ კახი ასათიანი, ნონა გაფრინდაშვილი... რომ გავიმარჯვე, ყველა სიხარულისგან ტიროდა. ამ მედალმა გუნდი გაამხნევა.



დაუვიწყარი წუთი სიდნეის ტატამზე: ეს-ესაა, გიორგი ვაზაგაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

**— მოგება თქვენც და მწვრთნელმაც ძალიან ემოციურად გამოხატეთ.**

— სხვა დროს შეიძლება ასე არ ყოფილიყო, მაგრამ ტატამზე ისეთი სიტუაცია შეიქმნა...

როგორც გითხარით, ვან კალკენთანაც იგივე მსაჯი იყო, ბრაზილიელი. ჯერ ჩემი ილეთი მეტოქეს ჩაუთვალეს, მერე სუფთა გდება არ შემიფასეს, იქვე ტყუილად გამაფრთხილეს კიდეც. ვგრძნობდი, ძალიან ვიჩაგრებოდი, კისრიდან მხსნიდნენ მედალს და აბა, როგორი საქმეა? დამთავრებამდე 54 წამით ადრე გვერდით მსაჯებს ქულა რომ არ მოეცათ, ბრაზილიელი ალბათ ისევ გამაფრთხილებდა.

**— 54 წამის გასვლის მერე ალბათ ფლავშიც არანაკლები ამბავი ატყდებოდა, ვიდრე დარბაზში...**

— მინდა, კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა ჩემს მშობლიურ სოფელს, რომელმაც ჩემთან ერთად იზეიმა ეს გამარჯვება. იქ დღემდე არ შეწყვეტილა ქეიფი და მოლოცვები.

**— მთავრობამაც ჩვენი ყოფის კვალობაზე გულუხვი ჯილდო დათქვა.**

— 20 ათასი დოლარი ქართველ სპორტსმენისთვის ნორმალური თანხაა. მართალია, დაქვითვების მერე 16 ათასს მივიღებთ, მაგრამ ცოტა არც ეს არის. მთავარია, დროულად მოგვცენ. სიდნეიში წასვლის წინ ქალაქის მერი ბინებსაც შეგვპირდა. იმედია, პირს არ შეირცხვენენ, რაც ჩვენთვის დიდი სტიმული იქნება.

**— ეს წარმატება თქვენს პირად ან სპორტულ ცხოვრებაში რამეს ხომ არ შეცვლის?**

— ჯერჯერობით არაფრის შეცვლას არ ვაპირებ არც პირად ცხოვრებაში და არც სპორტულ კარიერაში. არ მინდა, სხვა საქმეში ჩავება. სპორტიდან წასვლაზე არ ვფიქრობ. მსურს, ივლისში მიუნხენში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვიდე. მანამდე ევროპის პირველობაა, მაგრამ ის შეიძლება გამოვტოვო.

**— რატომ?**

— მაისში ტარდება და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დასვენებას ვერ მოვასწრებ.

**— გიორგი, ის დრო მინდა გავიხსენო, როცა საქართველოდან მიდიოდით. მაშინ, რომ იტყვიან, თვითმფრინავის ტრაპიდან მოგხსნეს. ხომ არ ნანობთ აქ დარჩენას. იქნებ მოგაჩნიათ, რომ მაინც წასვლა სჯობდა და სიდნეიშიც მეტს მიაღწევდით?**

— იმ პერიოდში, რომელზეც მეკითხებით, ნამდვილად წავიდოდი საბერძნეთში. ცხადია, იქ უკეთესი პირობები მექნებოდა მოსამზადებლად, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სიდნეიში უფრო უკეთ გამოვიდოდი. თანაც, მეტის მიღწევა ახლაც შემეძლო. რომ წავსულიყავი, მოვშორდებოდი ჩემს ხალხს და სრულიად უცხო გარემოში მოვხვდებოდი, რაც ძნელი იქნებოდა. ამიტომ აქ დარჩენას ნამდვილად არ ვნანობ. თუ შეპირებული პრემია და ჯილდოები მოგვცეს, მთლად უკეთესი. ხოლო თუ მოგვატყუეს, მაშინ კეთილი ინებონ და განთავისუფლების ფურცლები დაგვირიგონ. უცხოეთში წასვლა არც მერე იქნება გვიანი.

**— ამ წარმატებას სპორტსმენთა უმრავლესობის დარად თქვენც ვინმეს უმღვნით თუ –**

— პირველი, საქართველოს ჩემპიონობისთვის აღებული მედლიდან მოყოლებული დღემდე ყველაფერს მამაჩემს ვუძღვნი. ის რომ არ ყოფილიყო, დღეს მე სპორტსმენი არ ვიქნებოდი. მამა ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარია და ყველაზე მეტი ამაგიც მიუძღვის. იყო პერიოდი, როცა ოჯახში გვიჭირდა, მაგრამ ყველანი ყველაფერს იკლებდნენ, ოჯახისთვის საჭირო რალაცეებს ყიდიდნენ და მე არაფერს მაკლებდნენ. ჩემთვის გაჭირვება არ არსებობდა. ყოველნაირად ხელს მიწყობდნენ კვებით, ფინანსურად თუ სხვა მხრივ. მამაჩემი სულ უკან დამდევდა, თვითონ მავარჯიშებდა. მთელი ეს წლები მე შემომწირა და უფლება არა მაქვს, წარმატება სხვას ვუძღვნა.

**— სიდნეიდან დაბრუნებულს მამა როგორ შეგხვდათ?**

— სავსებით ჩვეულებრივად. არაფერი განსაკუთრებული ჩვენს შეხვედრაში არ ყოფილა. ალბათ, გულში სხვაზე მეტად უხაროდა, მაგრამ გარეგნულად ეს არ გამოუხატავს.

**— სულ კუდში დევნა რატომ გჭირდებოდათ, არ გიყვარდათ ძიუდო?**

— ვარჯიშებზე ცოტა ზარმაცი ვიყავი და ზოგჯერ დარბაზში მისვლაც მეზარებოდა. თანაც ბავშვი ბავშვია და მეც მინდოდა თანატოლებთან თამაში, გართობა... მამაჩემი მკაცრად მადევნებდა თვალყურს.

**— ახლა ხომ არ იზარმაცებს აწ უკვე ოლიმპიური პრიზიორი?**

— ახლა არანაირი უფლება არა მაქვს, ვიზარმაცო.

**— დაბოლოს, მომავალ ოლიმპიადაზეც გამოხვალთ?**

— თუ ოლიმპიურმა კომიტეტმა და სპორტის დეპარტამენტმა ისე შეგვიწყეს ხელი, როგორც ამ ბოლო ხანებში, მაშინ ალბათ ათენის ოლიმპიადაზეც შევძლებ გამოსვლას.

**ირაკლი თავაძე**



66-კილოგრამიან ძიუდოისტთა კვარცხლბეკი: ფრანგი ვიცეჩემპიონი ლარბი ბენბოდაუდი, თურქი ჩემპიონი ჰუსეინ ოზქანი, ბრინჯაოსმედალოსნები — იტალიელი ჯიროლამო ჯოვინაცო და ქართველი გიორგი ვაზაგაშვილი



ბრინჯაოს მედალს ვაზაგაშვილს (მუქ კიმონოში) ჰოლანდიელი პიტერ ვან კალკენი ეცილებოდა

# ნაწვიმარზე, სოკოებივით

## ვარკეთილში ლელო ბლომად მოიკრიფა

მეოთხე წრე. I ტური
თბილისი
ვარკეთილის სტადიონი
2 ოქტომბერი

**უნივერსიტეტი 5:29 (0:19) დათვები**

უნივერსიტეტი: კობიაშვილი, კუთარაშვილი (ქარაბაძე), წიკლაური, ჯალაღონია, ბიტარაშვილი, აქააჯანიშვილი, გუნდიშვილი, გ. ჩქარეული, დანელია, ბარამიძე, კობახიძე, მჟავანაძე, მჭედლიშვილი, ჯაში, ჭუმბურიძე
ლ — ბარამიძე
დათვები: ნინიძე, გურეშიძე (მოლაშხია), ღლონტი, ბერიძე (რეხვიაშვილი), ზ. ლიპარტელიანი, გოგისვანიძე, სვანიძე, აბდალაძე, გიორგაძე, ნ. ძაგნიძე, ხონელიძე, ტყაბლაძე, მაჩიტიძე, დავლაძე, ჩუბინიძე
4ლ — ჩუბინიძე (3), სვანიძე
1ს — მაჩიტიძე. 3გ. — ნ. ძაგნიძე (2), მაჩიტიძე
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: გ. მიქაბერიძე

მეოთხე წრე. I ტური
თბილისი
ვარკეთილის სტადიონი
3 ოქტომბერი

**ყოჩები 31:20 (19:10) ასკ**

ყოჩები: კიკუაშვილი, ჩიქავა (ხოსროშვილი), ფირიაშვილი, ხურცილავა (გ. ხაბეიშვილი), თედორაძე, ჭელიძე, ცხვედიანი, კობახიძე, გიორხელიძე, ტრაპაიძე, იმნაძე (კ. მხეიძე), ბარძიმიშვილი, კაჭარავა, ცაგურია (გრუტკო), ხელაძე
5ლ — გიორხელიძე, თედორაძე, ცხვედიანი (2), იმნაძე
3გ — კობახიძე (3)
ასკ: სუჯაშვილი, ბალანჩივაძე (ჯანჯალაშვილი), ზირაქიშვილი (გახოკიძე), ანდრიასოვი, უჩავა, სვანიძე, მაისურაძე, დათუნაშვილი (ცხადაძე), აბულერიძე, სულთანიშვილი, სამსონაძე (ენუქიძე), მაღრაძე, კაპანაძე (თევზაძე), პინჩუკოვი, სამხარაძე (ჯაფარიძე)
4ლ — სვანიძე, უჩავა, სუჯაშვილი (2)
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: მ. კოროშინაძე



არმიელმა მიხეილ სუჯაშვილმა (ბურთით) „ყოჩებს“ ორი ლელო გაუტანა და წაგებულ თავისიანებს პრემიალური ქულაც შემატა

**მოხდა** რაიმე განსაკუთრებული? არაფერი ისეთი. „უნივერსიტეტმა“, ცხადია, წააგო და სატურნირო ცხრილის ფსკერზე ისე გამაგრდა, ძვრას ვერავინ უზამს. თუმცა, იმის თქმაც შეიძლება, რომ გუნდი კომპლექტდება და მომდევნო ჩემპიონატისთვის ემზადება. სამაგიეროდ, კვლავ იმარჯვა ბათუმის „დათვებმა“, თანაც ზღვისპირეთს ხუთი ქულით ხელდამშვენებული გაბრუნდა.

ამ წყვილში გამარჯვებულის გამოცნობა უიოლესი ამოცანა გახლდათ, ჩემპიონობის ფავორიტი ხუთეულის გამოკვეთილ აუტსაიდერს ხვდებოდა და ცხადი იყო, არ გაუჭირდებოდა მოგება, თანაც პრემიალური ქულის შემატებით. პრაქტიკულად უშანსო „უნივერსიტეტი“ კი ცდა ბედის მონახევრეობის იმედზეღა რჩებოდა. ერთი სიტყვით, ამ მატჩში სიურპრიზი თითქმის გამორიცხული იყო.

შეხვედრა დუნედ დაიწყო. ეს დატბორილი და ატალახებული მოედნის ბრალი უფრო იყო, ვიდრე გუნდების პასიურობისა. მორაგბეებს ძალიან უჭირდათ გადაადგილება და კომბინაციის სწრაფად გათამაშება. თუმცა, რამდენიმე წუთში მობურთალებმა შეზელილ გრუნტს ფეხი შეაჩვიეს და თამაშსაც სახეირო პირი დაეტყო.

ბურთს პირველნი ზღვისპირელები შეეხნენ და აქედან დაიწყო მათი უკანმოუხედავი შტურმი, რომელიც მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში და მეორის საწყის წუთებშიც გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე სტუმრებმა მასპინძლები საკუთარ ნახევარს მიაჯაჭვეს. მართალია, „დათვები“ ჩვეული სისწრაფით ვერ მოძრაობდნენ, მაგრამ ბურთს მოედნის მთელ სიგანეზე ხელით ათამაშებდნენ და სტუდენტებსაც გაუჭირდათ მძლავრი იერიშების მოგერიება. ერთ-ერთი ასეთი შეტევისას ჩუბინიძემ მარჯვენა ფლანგზე შურდულივით ჩაუქროლა უნივერსიტეტელ მცველებს და ამ მატჩში თავისი პირველი ლელო გაიტანა. „დათვები“ კვლავ უტევდნენ, მალე ისევ ჩუბინიძემ შემოურბინა მარდად სალელოე ხაზთან გამწკრივებულ მეტოქეებს და მასპინძელთა სალელოე მოედანი მეორედ დალაშქრა. ამის შემდეგ, დაახლოებით ათი წუთი, სიმძაფრე ჩაცხრა, მასპინძლები შეძლებისდაგვარად იცავდნენ თავს ბათუმელთა იერიშებისგან, მაგრამ ჩამომდგარი სიმშვიდე მალევე დაირღვა: ზღვისპირელთა მეშვიდე ნომერმა სვანიძემ სტუმართა კიდევ ერთი კომბინაცია ეფექტური გარღვევით დააგვირგვინა. პირველ ნახევარში საინტერესო აღარაფერი მომხდარა.

მატჩის მეორე ორმოცწუთეული ისევ „დათვების“ მწვავე შეტევებით დაიწყო. „უნივერსიტეტის“ დაცვამ ვერ გაუძლო მძლავრ დაწოლას, რაც მეოთხე გაშვებულ ლელოდ დაუჯდა, ბათუმელებმა კი გამარჯვებასთან ერთად პრემიალური ქულაც მოიპოვეს. მხოლოდ ამის შემდეგ გააქტიურდნენ სტუდენტები, მაგრამ ერთობ უფანტაზიოდ ირჯებოდნენ. იერიშები ძირითადად მოედნის ცენტრიდან იწყებოდა შერკინების ხაზის იმედით, სტუმრებს კი არ უჭირდათ ერთფეროვნად მოთამაშე მეტოქის შეჩერება. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდური შეტევისას ჭუმბურიძის ძალისხმევით უნივერსიტეტელმა ბარამიძემ შეძლო ბათუმელთა სალელოე მოედანში შეღწევა. არ ვიცი, სტუდენტთა ოსტატობას მივაწერო ეს ლელო თუ სტუმართა მოდუნებას, ალბათ, ორივეს ერთად.

მატჩის საბოლოო ანგარიში კი მაჩიტიძემ „დააზუსტა“ საჯარიმოთი და რამდენიმე წუთში საფინალო სასტვენიც გაისმა.

ტრავმებით გატანჯული არმიული კლუბი კი მომძლავრებულ „ყოჩებთან“ დამარცხდა. ანგარიშიდან და ლელოებიდან გამომდინარე, მატჩი თითქოს უინტერესო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. შეხვედრის პირველ ნახევარში არმიელები ასე თუ ისე უმკლავდებოდნენ მეტოქეს, „ყოჩების“ სამ ლელოს ორითაც უპასუხეს, მაგრამ მეორე ტაიმში უპირატესობა მთლიანად მასპინძლებს დაუთმეს და მატჩის მიწურულს მოდუნებულ მეტოქეს მხოლოდ პრემიალური ქულა დასცანცლეს. არმიელთა რბევა შეხვედრის დაწყებისთანავე გიორხელიძემ დაიწყო. მას არც თედორაძე ჩამორჩა და სტუმართა სალელოე მოედანი მეორედ დალაშქრა. კობახიძემ ორივე ლელო გარდასახა. ამის შემდეგ სტუმრები გამოცოცხლდნენ და „ყოჩების“ დაცვის ხაზის შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლეს კიდეც — სვანიძემ სალელოე მოედანზე შეაღწია და ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მაგრამ ცხვედიანმა უპირატესობა მალევე აღადგინა. ტაიმის ბოლოს კი არმიელმა უჩავამ მასპინძლებს უყურადღებობა არ აპატია და მატჩს ინტრიგა შეუნარჩუნა.

შესვენების შემდეგ „ყოჩებმა“ ტემპს უმატეს და მწყობრად შეუტიეს მეტოქეს. არმიელები ჯერ კი ახერხებდნენ მასპინძელთა იერიშების შეჩერებას, მაგრამ მონდომებამ და კლასმა თავისი გაიტანა. ჯერ იმნაძემ, ხოლო რამდენიმე წუთში ცხვედიანმა დაალელოვეს ასკ და გამარჯვებასთან ერთად პრემიალური ქულაც დაუბევეს თავისიანებს. ამის შემდეგ არმიელთა მწვრთნელებმა შეცვლებს მიმართეს, ძირითადი შემადგენლობის მობურთალებს დასვენების საშუალება მისცეს და ინერციითღა მიმდინარე მატჩში სათადარიგო მორაგბეები ჩართეს. უნდა ითქვას, რომ ცვლილებებმა გაამართლა. მართალია, მატჩის გადარჩენის არანაირი შანსი აღარ რჩებოდა, მაგრამ ახალმა ძალამ შეხვედრა გამოაცოცხლა. ბოლო დროს შედეგიანად მოთამაშე სუჯაშვილმა ზედიზედ ორჯერ შეძლო „ყოჩების“ დალელოვება და ასკ-ს პრემიალური ქულა შესძინა.

**ბაჩო სვანიძე**

**სატურნირო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 13 | 10 | 0 | 3 | 265-143 | 7 | 47 |
| ლოკომოტივი 1 | 11 | 10 | 0 | 1 | 261-142 | 4 | 44 |
| ყოჩები | 12 | 7 | 0 | 5 | 243-246 | 2 | 30 |
| ასკ | 13 | 3 | 1 | 9 | 195-273 | 2 | 14 |
| უნივერსიტეტი | 13 | 0 | 1 | 12 | 157-324 | 0 | 1 |

პ — პრემიალური ქულა
ასკ-ს დაკლებული აქვს ერთი ქულა

# ანდღულაძეს და გუგავას ჩემპიონატი დაასრულებინეს

**მორაგბეთა** ჩემპიონატის მესამე წრის მესამე ტურში ბათუმში „დათვებმა“ თბილისის „ლოკომოტივს 1“-ს უმასპინძლა. მატჩი, ზღვისპირელთა დამაჯერებელი გამარჯვებით რომ დასრულდა, მეტად უსიამოვნოდ დაიწყო — მეტოქეებს შორის გუნდური ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. საქართველოს ნაკრებისა და „ლოკომოტივი 1“-ის წევრს ნონო ანდღულაძეს ნუგზარ ძაგნიძე ისე შემოელახა, ბათუმელთა კაპიტანს ექიმთა დახმარება დასჭირდა. ანდღულაძე, ცხადია, მოედნიდან გააძევეს. ამ მატჩში კიდევ ერთ რკინიგზელ მობურთალს, ლექსო გუგავას დაატოვებინეს მინდორი. მიზეზი: მსაჯების გინება. საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა ახლახან დამნაშავეთ განაჩენიც გამოუტანა — ორივე გაძევებული მორაგბე თორმეტი კვირით მოიკვეთა, რაც იმას ნიშნავს, რომ წლევანდელი ჩემპიონატი მათთვის ბათუმური მატჩით დასრულდა და „ლოკომოტივი 1“-ს ამ დასჯილი დუეტის გარეშე მოუწევს პირველობისთვის ბრძოლა.

**ბაჩო სვანიძე**



ჯიმი ვასერსა და მის „ლოლას“ ჰიუსტონში ვერავინ აჯობა

# მონტოია ჯერ ლოლასია

**CART**

**კარტის** ჩემპიონატში ეტაპის მოგება ძალიან ბევრ, 20 ქულას იძლევა, ჩათვლა კი 12 ადგილს მოაქვს. ასე რომ, ყოველი რბოლა სატურნირო ცხრილში საგრძნობ ცვლილებებს იწვევს.

ჰიუსტონის ქუჩებში მოწყობილ ტრასაზე ყველას ამერიკელმა ჯიმი ვასერმა აჯობა. „ტოიოტას“ ძრავიანი მისი „ლოლა“ თანაგუნდელ ხუან მონტოიასაზე ორიოდ წამით ადრე მიიჭრა ფინიშთან. ეს წლეულს ჯიმის პირველი მოგებაა, მაგრამ ოცქულიანი მონაგარითაც სატურნირო ცხრილში მან მხოლოდ ერთი საფეხურით აიწია.

თანდათან იუმჯობესებს მდგომარეობას შარშანდელი ჩემპიონი — გაისად ფორმულაში, ფრენკ უილიამსის გუნდში ადგილდაბევებული მონტოია კიდევ ორი პოზიციით ამაღლდა და ორი ეტაპის წინ უიმედოდ ჩამორჩენილს, პრიზიორობის რეალური შანსიც გაუჩნდა.

რაც შეეხება წლევანდელი სეზონის გმირ ჟილ დე ფერანს, პოულის მოგებით მან სტარტი პირველმა კი აიღო, მაგრამ რბოლისას პრობლემები შეექმნა და დაუგეგმავმა, ზედმეტმა პიტსტოპმა მესამე ადგილზე გადაისროლა. მიუხედავად ამისა, ბრაზილიელმა პილოტმა ჰიუსტონში ნაშოვნი 14 ქულით უფრო განიმტკიცა ლიდერობა, რადგან უახლოესი მდევარი რობერტო მორენო მხოლოდ მე-11 იყო ფინიშზე.

კვლავ კრიზისშია კარტის ორგზის ტრიუმფატორი მაიკლ ანდრეტი. ფორმულის ექსჩემპიონ მარიო ანდრეტის ვაჟი გამარჯვებულს ორი წრით ჩამორჩა, რაც მისთვის ზედიზედ მეხუთე ჩავარდნაა და ორიოდე თვის წინ უპირობო ლიდერი სადღეისოდ უკვე მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

ეროვნებათა თასზე (ასეთი ჩათვლაც არსებობს) 299 ქულით წინ ბრაზილიაა. ამერიკელი (230) და კანადელი (208) მრბოლები სამხრეთამერიკელებს ბევრად ჩამორჩებიან.

ჩემპიონატის ბოლომდე ორი ეტაპიღა დარჩა.

**გია ახალაძე**

**FEDEX CART**

მე-18 ეტაპი
ჰიუსტონი, აშშ
TEXACO GRAND PRIX
100 წრე — 244,6 კმ

1. ჯიმი ვასერი (ლოლა — ტოიოტა) — 1:59.05 (საშ. სიჩქარე 123,3 კმ/სთ);
2. ხუან მონტოია (ლოლა — ტოიოტა) — ჩამორჩა 1,91 წამით;
3. ჟილ დე ფერანი (რეინარდ — ჰონდა) — 2,32;
4. პოლ ტრეისი (რეინარდ — ჰონდა) — 2,73;
5. ჰელიო კასტრონევეში (რეინარდ — ჰონდა) — 8,34;
6. კრისტიან ფიტიპალდი (ლოლა — ფორდი) — 15,32;
7. ადრიან ფერნანდესი (რეინარდ — ფორდი) — 17,28;
8. შინჯი ნაკანო (რეინარდ — ჰონდა) — 21,42;
9. ორიოლ სერვა (რეინარდ — ტოიოტა) — 25,83;
10. ტონი კანაანი (რეინარდ — მერსედესი) — 31,46;
11. რობერტო მორენო (რეინარდ — ფორდი) — 1 წრით;
12. ალექს ბარონი (ლოლა — ფორდი) — 1 წრით.

**საერთო ჩათვლა**

1. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია) — 153 ქულა; 2. პოლ ტრეისი (კანადა) — 134; 3. რობერტო მორენო (ბრაზილია) — 131; 4. მაიკლ ანდრეტი (აშშ) — 127; 5. ადრიან ფერნანდესი (მექსიკა) — 127; 6. ხუან მონტოია (კოლუმბია) — 122; 7. კენი ბრაკი (შვედეთი) — 118; 8. ჰელიო კასტრონევეში (ბრაზილია) — 117; 9. ჯიმი ვასერი (აშშ) — 117; 10. კრისტიანო და მატა (ბრაზილია) — 100.

# მოხვედთ გამარჯვებით?!

**ოლიმპიადიდან** სამშობლოში გმირებად, უპირველეს ყოვლისა, ჩინელები დაბრუნდნენ. პეკინის აეროპორტში სპორტსმენები ის იყო, თვითმფრინავიდან ჩავიდნენ, რომ გირლიანდებისა და ყვავილების ტყვეობაში აღმოჩნდნენ. ასობით ბავშვი და სტუდენტი, სხვაც ბევრი უხვად ხარჯავდა ემოციებს, იქნევდა ქაღალდის დროშებსა და ავტოგრაფებზე ნადირობდა. „ამგვარ დახვედრას ნამდვილად არ ველოდი — აღიარა ძიუდოს ჩემპიონმა ტანგ ლინმა — ხელმოწერაში კარგად გავივარჯიშე“. ორიოდე საათის შემდეგ ოლიმპიელები თავად სახელმწიფოს მეთაურმა, ძიან ძემინმა მიიღო პეკინის ტიანანმენის მოედანზე მდებარე ხალხის დიდ სასახლეში. ვიცე-პრემიერმა ლი ლანცინგმა ჩინელთა ოლიმპიურ მიღწევას ისტორიული უწოდა და სპორტსმენები „უკვდავ გმირებად“ მონათლა. და ასე შემდეგ, ანუ არსად იყო ის დამძიმებული ფონი, რომელიც ჩინელთა სიდნეიში გამგზავრებას ახლდა თან. მაშინ ექვსი დიდებული მორბენალი, მედლის კანდიდატები თავიანთ მწვრთნელიანად დოპინგის მიზეზით ოლიმპიური ნაკრებიდან გარიცხეს. ჩინეთის სპორტული წრეები სიდნეის ოლიმპიადამდე რიგიან შედეგად მიიჩნევდნენ 16 ოქროს მედალსა და გუნდურ მეოთხე ადგილს, როგორც ეს ატლანტის ოლიმპიადაზე იყო. 28 ოქროს, 16 ვერცხლის, 15 ბრინჯაოს მედალმა და ამერიკისა და რუსეთის შემდეგ დაკავებულმა მესამე ადგილმა კი ჩინელებს დიდი სიხარულის საბაბი მისცა, მით უფრო, რომ სიდნეის მრავალ დოპინგ-სკანდალში ერთი მათი თვისტომიც არ გარეულა. ეს კი საფუძველს აძლევთ საიმისოდ, რომ დოპინგთან ბრძოლის თავიანთი სისტემის უნიკალურობაზე ისაუბრონ და 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის, ძალიან რომ უნდათ, მნიშვნელოვანი ქულებიც ჩაიწერონ.

იქვე, მეზობლად, ტოკიოს „ნარიტას“ აეროპორტში ასევე ასობით ფანი შეყრილიყო, მაგრამ, მეზობელთაგან განსხვავებით, მათ ერთ ვინმეს უძღვნეს თითქმის მთელი სული და გული, ნაოკო ტაკაჰაშის, რომელმაც მარათონის გიგანტების დამარცხებით ირგუნა ოლიმპიური ჩემპიონობა. ქომაგთა ოვაციებით სასიამოვნოდ აფორიაქებულმა ტაკაჰაშიმ პირველად ესა თქვა: „მე არ ვიცი, მომდევნო მარათონს როდის და სად ვირბენ, მაგრამ მსოფლიოს რეკორდი კი უნდა დავამხო“. ტაკაჰაში და სხვები სამშაბათს პრემიერ იოშირო მორისთან აუდიენციაზე იყვნენ.

**დავით გულუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამპრასს უღელი დაადგეს



მისტერ პიტ სამპრასი და მისის ბრიჯიტ სამპრასი

**მსოფლიოს** პირველი ჩოგანი და უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი, ერთეულებში თამაშის დიდოსტატი პიტ სამპრასი ამიერიდან მარტო აღარ იქნება — 30 სექტემბერს ამერიკელმა მსახიობ ბრიჯიტ უილსონზე იქორწინა.

მთელი პროფესიული კარიერის მანძილზე „უილსონის“ ჩოგნებით მოთამაშე „პისტოლ პიტისა“ და ახლა უკვე მისის სამპრასის რომანი შარშან სექტემბერში დაიწყო. 90-იანი წლების საუკეთესო ჩოგბურთელი მაშინ შავ დღეში გახლდათ: ის-ის იყო, ყოფილმა სატრფომ, მსახიობმა ლორინ ჰოლიმ მიატოვა, თანაც ზურგის უმძიმესი ტრავმის გამო აშშ-ის ღია პირველობა გამოტოვა და რამდენიმე კვირით შინ უსაქმოდ ჯდომა და მკურნალობა ჰქონდა გამოწერილი.

„მედალს მეორე მხარეც აქვს. ის ტრავმა რომ არ მიმეღო, ვინ იცის, იქნებ ჩემს მომავალ მეუღლეს ვერც შევხვედროდი“ — ამბობს ახლა პიტი, რომელმაც თავის დროზე „ოუფენზე“ არყოფნა ცხარე ცრემლით დაიტირა.

სამპრასმა უილსონი ერთ-ერთ წვეულებაზე გაიცნო, წყვილი სულ მალე დაახლოვდა და ორიოდ კვირაში ხელიხელჩაკიდებულნი, მსახიობის ახალი ფილმის პრემიერაზე წარუდგნენ საზოგადოებას.

საქმე რომ სერიოზულად იყო, გაზაფხულზე, ევროპის სათიხნარო სეზონის ბოლოს დადასტურდა. „როლან გაროსის“ პირველივე წრეში დამარცხებით წახდენილი გუნება სამპრასმა 29 მაისს პარიზში უილსონთან ნიშნობით გამოიკეთა. ლონდონში, უიმბლდონის ტურნირის დროს კი მან ჟურნალისტებს მომავალი ქორწინების შესახებაც განუცხადა, ოღონდ თარიღი არ დაუზუსტებია.

ჩოგბურთელმა, რომელსაც საშინლად სძულს პომპეზურობა და საყოველთაო ყურადღების ცენტრში ყოფნა, საკუთარ თავს არც ამჯერად უღალატა და ქორწილი ლოს ანჯელესში, „ბევერლი ჰილზში“ მდებარე საკუთარ მდიდრულ სახლში თითქმის გასაიდუმლოებულ ვითარებაში გადაიხადა. მასმედიის წარმომადგენლებმა მხოლოდ მოგვიანებით გაიგეს, რომ პატარძალს მოდელიორ ვერა ვანგის კაბა ემოსა და ზედ 400 ათასი დოლარის ბრილიანტები ესხა, რომ წვეულებაზე სულ 70 კაცი იყო მიპატიჟებული და მათ რამდენიმე სიმღერა პიტის ძველმა მეგობარმა, სერ ელტონ ჯონმა უმღერა.

ცოტა რამ პატარძლის შესახებ: 26 წლის უილსონი 1990-ში აშშ-ის „მის ახალგაზრდობად“ აირჩიეს, მოგვიანებით ის ჰოლივუდში გადაბარგდა და თუ სუპერვარსკვლავი ვერ გახდა, რამდენიმე დიდბიუჯეტიან სურათში მეორეხარისხოვანი როლებით მაინც მოიწონებს თავს. იგი მონაწილეობდა ფილმებში: „უკანასკნელი კინოგმირი“, „სასიკვდილო ბრძოლა“ და „სახლი მოჩვენებათა მთაზე“.

სამპრასი ერთადერთი ამერიკელი ჩოგბურთელი არ არის, ვინც წლეულს ეკლესიიდან მენდელსონის მარშის თანხლებით გამოვა. აშშ-ის ღია პირველობის შარშანდელი ფინალისტი ტოდ მარტინი დეკემბერში აპირებს დაოჯახებას. მისი რჩეული, რომელსაც წლევანდელ „ოუფენზე“ განუწყვეტლივ უჩვენებდნენ ოპერატორები, უბრალო ექთანია. მარტინი მის გაცნობას მეგობრის მაჭანკლურ ნიჭს უნდა უმადლოდეს. მუდამ რომ სატრფოს გვერდით იყოს, ვეტერანი ამერიკელი წლეულს ალარსად იასპარეზებს.

# ოლიმპიური თავსატეხი

**ამჯერ** უკვე მეოთხე ოლიმპიადაა, ჩოგბურთი ოფიციალურად დააბრუნეს ზაფხულის თამაშებზე, მაგრამ საყოველთაოდ პოპულარულ სპორტს აქ თავის დამკვიდრება ძალიან უჭირს. ისეთი ვარსკვლავების მონაწილეობის მიუხედავად, როგორიც ვინუს და სერენა უილიამსები, მონიკა სელეში, მარატ საფინი, პატრიკ რაფტერი არიან, საჩოგბურთო ტურნირი სიდნეიში სხვა, უფრო ტრადიციული სახეობების — ცურვის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის ჩრდილში მოექცა.

მოთამაშეები, მწვრთნელები და თავად ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაც (ITF) აღიარებენ, რომ მოქმედი სისტემით ოლიმპიური შეჯიბრი ჩვეულებრივ ტურნირს წააგავს, თუმცა რაიმეს შეცვლას ჯერჯერობით არავინ ჩქარობს.

„რაიმე განსხვავებულის გაკეთებაზე ვფიქრობთ, მაგრამ არ ვიცით, ეს რამდენად შესაძლებელია“ — ამბობს ITF-ის პრეზიდენტი ფრანჩესკო რიჩი ბიტი — ძალიან მსურს, ტურნირს უფრო ეროვნული სული და ატმოსფერო მიეცეს, მაშინ ოლიმპიადა რიგითი ტურნირებისგან გამორჩეული იქნებოდა“.

ახლანდელი ფორმატით მედლები ოთხ კატეგორიაში, კაცებისა და ქალების ერთეულებსა და წყვილებში თამაშდება. აშშ-ის გუნდის მწვრთნელის, ლეგენდარული ბილი ჯინ კინგის აზრით, უკეთესი იქნებოდა, ტურნირს გუნდური იერი მისცემოდა, ქულები რიგდებოდეს ინდივიდუალური შედეგებისთვის და იგებდეს გუნდი, რომელსაც ყველაზე მეტი ქულა აქვს.

„ყველა მოთამაშე ამ აზრის მომხრეა. ჩვენ ოლიმპიურ გუნდს ვირჩევთ, მერე ჩოგბურთელები აქ მოდიან და ერთეულთა ტურნირზე ასპარეზობენ. ყველა ფიქრობს, დაიცა, ეს ხომ ოლიმპიადაა, მე არ მინდა თანაგუნდელს გავეჯიბროო“.

როდესაც ამერიკელები — ვინუს უილიამსი და მონიკა სელეში ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ, კინგი მატჩს ტრიბუნების ნაცვლად ტელევიზორში უცქერდა. მწვრთნელს არ სურდა მისი რეაქციებით რომელიმე მოთამაშის მხარეზე ყოფნა შეეტყოთ. ასევე უსიამოვნო იყო მატჩისწინა ვარჯიშის ჩატარებაც.

გუნდური პირველობის წინააღმდეგი ჯერჯერობით ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაა. აქ მიაჩნიათ, რომ ეს დევისისა და ფედერაციის თასების მნიშვნელობას გააუფასურებს. ასევე დიდ პრობლემად რჩება განრიგიც. წლეულს ოლიმპიადა აშშ-ის ღია პირველობის დასრულებიდან ერთ კვირაში დაიწყო და ბევრმა მოთამაშემ ხეირიანად დასვენებაც ვერ მოასწრო. კაცებში „ოუფენის“ ექვსი მეოთხედფინალისტიდან სიდნეიში ერთადერთი გასცდა პირველ წრეს.



ბილი-ჯინ კინგი და ვინუს უილიამსი

არანაკლებ რთული სიტუაცია შეიქმნება 2004 წელს ათენში. მაშინ აშშ-ის ღია პირველობა ოლიმპიადის დახურვიდან ორ დღეში დაიწყება.

„მოთაამშეები რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდებიან, მათ თავად უნდა გადაწყვიტონ, რომელი ტურნირი იქნება უფრო მნიშვნელოვანი — მიაჩნია ამერიკელ ვეტერან ჯეფ ტარანგოს, რომელიც სიდნეიში ასპარეზობდა — დაიჯერებთ თუ არა, მე მათ ვურჩევდი „ოუფენი“ გამოეტოვებინათ, ოლიმპიადაზე ყოფნას არაფერი შეედრება“.

**ავთანდილ სვანიძე**





ყველაზე სახელიანი ბუფალოელი დომინიკ ჰაშეკი ამ სეზონის მერე ჰოკეისგან დასვენებას აპირებს

# ომები, რომლებიც მენატრებათ

*3 ოქტომბერი აშშ-კანადაში ნჰლ-ის 84-ე რეგულარული ჩემპიონატის დაწყების დღეა. ვნახოთ, რას შემოგვთავაზებს გაზრდილი, აწ უკვე 30-გუნდა ლიგა და მისი ახალი ბინადრები — მინესოტა და კოლუმბუსი. სტარტიც ისეთია, უკეთესს ვერ ვინატრებდით: დალასი — კოლორადო.*

## აღმოსავლეთ კონფერენცია

### ფავორიტები

შარშან, როგორც იქნა, აღმოსავლეთმა დაამხო დასავლეთის ოთხწლიანი ბატონობა. ეს, მოგეხსენებათ, ნიუ ჯერსის ძალისხმევით მოხდა, ამიტომ თასის ამჟამინდელი მფლობელი წლეულსაც მთავარ ფავორიტად ითვლება. წარმატებით გულნაჯერები „ეშმაკები“ წლევანდელი პირველობისთვის კარგად მოემზადნენ, თუმცა პრობლემები არც მათ აკლიათ. დღესდღეობით უმთავრესი ორი ლიდერის — მცველ სკოტ ნიდერმაიერისა და ოქროს გოლის ავტორის, ჯეისონ არნოტის გაფიცვა გახლავთ. მოლაპარაკებანი გუნდის გენერალურ მენეჯერთან, სიტუნწით განთქმულ ლუ ლამორელოსთან საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს. ამას დაუმატეთ კიდევ ორი წამყვანი მოთამაშის — კლოდ ლემიესა და ვლადიმირ მალახოვის დაკარგვაც. თუმცა ნიუ ჯერსის მაინც შემორჩა ძირითადი ბირთვი, რომელსაც ახალშეძენილი პოლიციელები, კიმ მაკენზი და ტერნერ სტივენსი აგრესიულობას შემატებენ. ამით ლიდერები — პატრიკ ელიაში, პეტრ სიკორა და სკოტ გომესიც ნაკლებად დაიჩაგრებიან.

ფავორიტია ფილადელფიაც, თუმცა მას მძიმე გამოცდა ელის. როგორც ჩანს, გუნდს ტოვებს მისი უმთავრესი მოთამაშე ერიკ ლინდროსი. პლეი ოფში მიღებული მძიმე ტრავმის გამო მას იანვრამდე აეკრძალა თამაში და არც მერე მოისურვა გუნდთან კონტრაქტის გაგრძელება. ეს მაშინ, როცა არც სხვა კლუბებისგან მიუღია სერიოზული წინადადება. ჯერაც არ შეთანხმებულა „მფრინავების“ ხელმძღვანელობასთან ჯონ ლეკლერი, რომელიც შარშანდელ 3,9 მილიონზე გაცილებით მეტს ითხოვს.

სამაგიეროდ, სრულად მობილიზებული ხვდება სეზონს ტორონტო. მას ყველა ლიდერი შემორჩა, გარდა ამისა, რამდენიმე გამოცდილი ვეტერანი — შეინ კორსონი, გერი რობერტსი და დეივ მენსონი შეემატა. კანადელებს ბლიერი შემტევი მცველიც ჰყავთ — ჩიკაგოდან ნაყიდი ბრაიან მაკეიბი.

### ამათგან — ყველაფერი...

კონფერენციის დანარჩენი გუნდებისგან ყველაფერია მოსალოდნელი — უცაბედი აღზევებაც და ღრმა ჩავარდნაც. ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონი — აი, უპირველესად საიდან უნდა ველოდეთ სიურპრიზებს. აქ ყველა გუნდს მეტ-ნაკლებად აქვს საფიქრალ-საზრუნავი. ბუფალოსთვის ეს ჰოკეიდან წასასვლელად გამზადებული დომინიკ ჰაშეკია. თუ იგი წლეულს ტრავმებმა არ გააწამა, „ხმლების“ წინსვლას ხელს ვერაფერი შეუშლის. მით უმეტეს, რომ ცნობილი გოლეადორის, დეივ ანდრეიჩუკის მისვლამ კიდევ უფრო გააძლიერა გუნდის თავდასხმა.

წესით, ალექსეი იაშინის დაბრუნებამ ოტავა უნდა მოაძლიეროს. მეამბოხე ჰოკეისტმა, ეტყობა, შეიგნო, რომ ჯიუტობასა და გაღარიბებული კლუბის თავკაცებთან დავაში ფუჭად დაკარგა დრო და კიდევ ერთი სეზონის გამოტოვებას თამაში ამჯობინა.

არც მონრეალისა და ბოსტონის დაწინაურება იქნება მოულოდნელი. საამისოდ პირველს ყველა ლიდერი ჯანმრთელად უნდა ჰყავდეს, ხოლო მეორემ თითოეულ წამყვან მოთამაშესთან საერთო ენა უნდა გამონახოს და მათ ყველანაირი პირობა (ფინანსურს ვგულისხმობთ) შეუქმნას.

სამხრეთ-აღმოსავლეთში ლიდერობის პრეტენზია ერთბაშად სამ გუნდს აქვს: ვაშინგტონს, ფლორიდას და კაროლინას. თუმცა პირველი დილემის წინაშე დგას. დარჩება თუ არა გუნდში მისი მრავალწლიანი ლიდერი, სლოვაკი პეტერ ბონდრა. ფლორიდა კი ერთობ იმედიანად ეგებება ახალ სეზონს და მისი ოპტიმიზმი ლიდერთა ახალ დუეტს ეფუძნება. დეტროიტისგან შეძენილმა იგორ ლარიონოვმა ყველანაირი პირობა უნდა შექმნას საიმისოდ, რომ მისი ახალგაზრდა თანამემამულის, პაველ ბურეს პოტენციალი სრულად წარმოჩნდეს.

კაროლინამ მთავარი აქცენტი დაცვის გადახალისებაზე გააკეთა და იმედი აქვს, სანდის ოზოლინშისა და კევინ ჰეჩერის შეძენით მიზანს მიაღწევს.

პიტსბურგის მთავარმა მწვრთნელმა ივან ჰლინკამ, გუნდი ევროპელებით, უმეტესწილად ჩეხებით გაავსო. იქნებ სწორედ იარომირ იაგრმა და კომპანიამ გააბათილონ აზრი, რომ ნჰლ-ში ვერც ერთი გუნდი მიაღწევს წარმატებას, თუ ჩრდილო-ამერიკელ მოთამაშეთა დიდი რაოდენობა არ ჰყავს.

### არიან თავისთვის

სხვათაგან წლეულს დიდ სიახლეებს არ უნდა ველოდოთ. რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანს თავისი გეგმები ექნება, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, 39 წლის მარკ მესიემ რეინჯერსში მეორე მისვლით გამოაცოცხლოს ნიუიორკელი პენსიონერების გუნდი. ასევე საეჭვოა, რომ მთელი სიმძიმე საკუთარ მხრებზე ზიდოს ნიჭიერმა, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუცდელმა, 20 წლის ტამპელმა ვენსან ლეკავალიემ. ალბათ, აილენდერსია ერთადერთი, რომელსაც წინსვლის სერიოზული შესაძლებლობა მიეცა. გუნდის ახალმა ხელმძღვანელობამ (ბოლო 6 წელიწედში მეოთხემ), როგორც იქნა, საკმაოდ გააძლიერა შემადგენლობა, განსაკუთრებით უკანა ხაზი (მცველ რომან ჰამრლიკისა და მეკარე ჯონ ვანბისბრუკის დასახელებაც კმარა) დრაფტზეც ნაყოფიერად იმუშავა.

**სამველ ლარიგიანი**

# სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისი. I დივიზიონი. მე-11 ტური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 ოქტომბერი | | | | |
| 23.45 | 002 | ჯილინგემი-ბოლტონი | | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.45 | 003 | ჰადერსფილდი-ბარნსლი | | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.45 | 004 | ტრანმერი-ბარნლი | | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | |
| 19.00 | 005 | ქრიუ-ბირმინგემი | | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 19.00 | 006 | უენსდი-ვესტ ბრომვიჩი | | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 007 | სტოკპორტი-პორტსმუთი | | 2,2 | 2,9 | 3,2 |

**ინგლისი. II დივიზიონი. მე-11 ტური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 ოქტომბერი | | | | |
| 23.45 | 008 | ბრისტოლი-ბორნმუთი | | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.45 | 009 | ბერი-როვერსი | | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.45 | 010 | კოლჩესტერი-უოლსოლი | | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 23.45 | 011 | უიგანი-რედინგი | | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.45 | 012 | უიკომბი-ნოტსი | | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | |
| 16.00 | 013 | ლუტონი-მილუოლი | | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 17.00 | 014 | როტერჰემი-ოლდემი | | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 18.00 | 015 | სუინდონი-ოქსფორდი | | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 19.00 | 016 | პიტერბრო-პორტ ვეილი | | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**ინგლისი. III დივიზიონი. მე-11 ტური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 ოქტომბერი | | | | |
| 23.30 | 017 | ჩელტენემი-კარლაისლი | | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 018 | ჩელტენემი-კარლაისლი | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 019 | ჰალი-ბრაიტონი | | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 020 | კიდერმინსტერი-როჩდეილი | | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.45 | 021 | შრიუსბერი-ექსეტერი | | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 23.45 | 022 | იორკი-მენსფილდი | | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | |
| 16.30 | 023 | ჩესტერფილდი-პლიმუთი | | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 024 | ჩესტერფილდი-პლიმუთი | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 025 | ჰარტლპული-დარლინგტონი | | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 026 | სკანთორპი-ჰალიფაქსი | | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | |
| 19.00 | 027 | ბარნეტი-მაკლსფილდი | | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 028 | ბლეკპული-საუთენდი | | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 029 | ტორკი-ლეიტონი | | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-13 ტური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 ოქტომბერი | | | | |
| 23.00 | 030 | აიაჩო-ნანსი | | 3,2 | 2,7 | 2,3 |
| 23.00 | 031 | სოშო-ვასკეალი | | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 032 | სოშო-ვასკეალი | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.30 | 033 | მონპელიე-ლორიანი | | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | |
| 23.00 | 034 | ანჟე-გენიონი | | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 23.00 | 035 | კაენი-ბოვუა | | 1,65 | 2,8 | 6,5 |
| 23.00 | 036 | კანი-ლავალი | | 3,0 | 2,7 | 2,4 |
| 23.00 | 037 | შატორუ-ნიცა | | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 23.00 | 038 | ლე მანი-ლე ავრი | | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 23.00 | 039 | მარტიგი-კრეტეი | | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 23.00 | 040 | ნიორი-ნიმი | | 1,75 | 2,7 | 5,3 |

**იტალია. სერია ბ. მე-6 ტური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 ოქტომბერი | | | | |
| 23.45 | 041 | პიაჩენცა-კალიარი | | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | |
| 18.00 | 042 | კიევო-ჩიტადელა | | 1,6 | 2,8 | 7,5 |
| 18.00 | 043 | კოზენცა-ანკონა | | 1,65 | 2,8 | 6,5 |
| 18.00 | 044 | მონცა-ტორინო | | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 18.00 | 045 | პესკარა-რავენა | | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 046 | პისტოიეზე-ტრევიზო | | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 047 | სალერნიტანა-სიენა | | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 18.00 | 048 | სამპდორია-ემპოლი | | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 049 | ვენეცია-კროტონე | | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 050 | ვენეცია-კროტონე | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | 9 ოქტომბერი | | | | |
| 23.45 | 051 | ტერნანა-ჯენოა | | 1,8 | 2,7 | 5,0 |

**იტალია. სერია ც1/ა. მე-6 ტური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7-9 ოქტომბერი | | | | |
| 18.30 | 052 | ალბინოლეფე-კარარეზე | | 1,65 | 2,8 | 6,5 |
| 18.30 | 053 | ალძანო-ლუკეზე | | 1,7 | 2,7 | 6,0 |
| 18.30 | 054 | არეცო-ვარეზე | | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 18.30 | 055 | ჩეზენა-ალესანდრია | | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 056 | ჩეზენა-ალესანდრია | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.30 | 057 | კომო-ლეკო | | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| | 058 | კომო-ლეკო | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.30 | 059 | ლუმეცანე-სპალ | | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.30 | 060 | პიზა-ბრეშელო | | 1,7 | 2,7 | 6,0 |
| 18.30 | 061 | რეჯანა-ლივორნო | | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.30 | 062 | სპეცია-მოდენა | | 2,7 | 2,6 | 2,7 |

**იტალია. სერია ც1/ბ. მე-6 ტური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7-9 ოქტომბერი | | | | |
| 18.30 | 063 | ასკოლი-კატანია | | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.30 | 064 | ატლეტიკო-ფერმანა | | 3,1 | 2,6 | 2,4 |
| 18.30 | 065 | აკილა-ლოდიჯანი | | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 18.30 | 066 | მესინა-ფ.ანდრია | | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.30 | 067 | ნოჩერინა-ჯულიანოვა | | 1,6 | 2,9 | 7,0 |
| 18.30 | 068 | პალერმო-ბენევენტო | | 1,55 | 3,0 | 7,5 |
| 18.30 | 069 | ტორესი-აველინო | | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 18.30 | 070 | სავოია-ვიტერბეზე | | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| | 071 | სავოია-ვიტერბეზე | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 18.30 | 072 | პეზარო-დი სანგრო | | 1,9 | 2,5 | 5,0 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. მე-6 ტური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7-8 ოქტომბერი | | | | |
| 21.00 | 073 | ბადახოსი-ელჩე | | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 21.00 | 074 | ატლეტიკო-ფეროლი | | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 075 | ატლეტიკო-ფეროლი | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 21.00 | 076 | კორდობა-ბეტისი | | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.00 | 077 | უნივერსიდადი-კომპოსტელა | | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.00 | 078 | ტენერიფე-ხაენი | | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 21.00 | 079 | ესტრემადურა-უელვა | | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 21.00 | 080 | ეიბარი-ლევანტე | | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 081 | მურსია-ხეტაფე | | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 21.00 | 082 | სალამანკა-სპორტინგი | | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 083 | სევილია-ალბასეტე | | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 21.00 | 084 | ლეიდა-ლეგანესი | | 2,1 | 3,0 | 3,3 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 ოქტომბერი | | | | |
| 22.00 | 085 | ჰერაკლესი-ცვოლე | | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | |
| 17.30 | 086 | ჰაარლემი-დენ ჰააგი | | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 17.30 | 087 | იგლსი-დენ ბოსხი | | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**ბელგია. II დივიზიონი. მე-8 ტური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 ოქტომბერი | | | | |
| 18.00 | 088 | ტინენი-ლომელი | | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 18.00 | 089 | ჰეკელგემი-დაინცე | | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 090 | დესელი-მაასლანდი | | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.00 | 091 | ტურნჰაუტი-მოლენბეკი | | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 092 | ინგელმუნსტერი-ჰეუსდენი | | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 093 | სტრომბეკი-სერკლი | | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 094 | გეელი-რუზელარე | | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 095 | გეელი-რუზელარე | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 096 | ოსტენდე-მონსი | | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 097 | დენდერლეუ-ლიეჟი | | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**ამხანაგური მატჩი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 ოქტომბერი | | | | |
| 20.00 | 502 | სამხრეთ აფრიკა-საფრანგეთი | | 3,8 | 3,1 | 1,8 |

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 ოქტომბერი | | | | |
| 17.00 | 503 | სომხეთი-უკრაინა | | 6,0 | 3,5 | 1,45 |
| 19.00 | 504 | ინგლისი-გერმანია | | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 505 | ანდორა-ესტონეთი | | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 19.00 | 506 | ჩრდ.ირლანდია-დანია | | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 19.00 | 507 | შვედეთი-თურქეთი | | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 508 | უელსი-ნორვეგია | | 4,4 | 3,0 | 1,75 |
| 20.00 | 509 | ჩეხეთი-ისლანდია | | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 510 | ჩეხეთი-ისლანდია | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 20.00 | 511 | მოლდოვა-სლოვაკეთი | | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 20.15 | 512 | შვეიცარია-ფარერები | | 1,05 | 9,0 | 18,0 |
| | 513 | შვეიცარია-ფარერები | 0:3 | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 20.30 | 514 | ბულგარეთი-მალტა | | 1,05 | 9,0 | 18,0 |
| 20.30 | 515 | ბულგარეთი-მალტა | 0:3 | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 21.00 | 516 | ლიტვა-საქართველო | | ანგარიში - 5,0 | | |
| 22.00 | 517 | საბერძნეთი-ფინეთი | | 1,55 | 3,1 | 6,0 |
| 22.15 | 518 | ლუქსემბურგი-სლოვენია | | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| 22.30 | 519 | კვიპროსი-ჰოლანდია | | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| 22.45 | 520 | სან მარინო-შოტლანდია | | 20,0 | 8,0 | 1,03 |
| 23.00 | 522 | მაკედონია-აზერბაიჯანი | | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 523 | მაკედონია-აზერბაიჯანი | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 524 | პოლონეთი-ბელარუსი | | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 525 | პოლონეთი-ბელარუსი | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.15 | 526 | ლატვია-ბელგია | | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 23.30 | 527 | ლიხტენშტაინი-ავსტრია | | 20,0 | 8,0 | 1,03 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 528 | იტალია-რუმინეთი | | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 529 | იტალია-რუმინეთი | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 00.30 | 530 | ესპანეთი-ისრაელი | | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 531 | ესპანეთი-ისრაელი | 0:2 | 1,7 | 4,0 | 2,5 |
| 01.00 | 532 | პორტუგალია-ირლანდია | | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 04.00 | 533 | კოლუმბია-პარაგვაი | | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | |
| 20.00 | 534 | მექსიკა-ტრინიდადი | | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 535 | სენტ ვინსენტი-სალვადორი | | 5,0 | 4,0 | 1,4 |
| 24.00 | 536 | ვენესუელა-ბრაზილია | | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 24.00 | 537 | ჰონდურასი-იამაიკა | | 2,0 | 2,0 | 3,5 |
| 01.00 | 538 | ბოლივია-პერუ | | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 02.00 | 539 | ეკვადორი-ჩილე | | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 04.00 | 540 | არგენტინა-ურუგვაი | | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | | 9 ოქტომბერი | | | | |
| 24.00 | 541 | კანადა-პანამა | | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | **ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. 21 წლამდე** | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | |
| 17.00 | 542 | კვიპროსი-ჰოლანდია | | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 17.00 | 543 | მაკედონია-აზერბაიჯანი | | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 17.00 | 544 | სომხეთი-უკრაინა | | 4,4 | 3,1 | 1,65 |
| 17.00 | 545 | ლატვია-ბელგია | | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 18.00 | 546 | მოლდოვა-სლოვაკეთი | | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 18.00 | 547 | ლიტვა-საქართველო | | ანგარიში - 5,0 | | |
| 18.15 | 548 | პოლონეთი-ბელარუსი | | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 549 | ბულგარეთი-მალტა | | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| 19.00 | 550 | ჩეხეთი-ისლანდია | | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 22.15 | 551 | ლუქსემბურგი-სლოვენია | | 7,0 | 3,8 | 1,3 |
| 22.30 | 552 | საბერძნეთი-ფინეთი | | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 23.30 | 553 | ჩრდ.ირლანდია-დანია | | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| 23.30 | 554 | უელსი-ნორვეგია | | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 23.30 | 555 | საფრანგეთი-ავსტრია | | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 556 | ესპანეთი-ისრაელი | | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 557 | შვედეთი-თურქეთი | | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 23.45 | 558 | იტალია-რუმინეთი | | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 23.45 | 559 | ინგლისი-გერმანია | | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 01.00 | 560 | პორტუგალია-ირლანდია | | 1,55 | 3,2 | 5,0 |
| | | **ჰოკეი** | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | |
| 24.00 | 902 | ბოსტონი-ოტავა | | 1,9 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 903 | ბუფალო-ჩიკაგო | | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 904 | ფილადელფია-ვანკუვერი | | 1,25 | 4,0 | 5,0 |
| 24.00 | 905 | კალგარი-დეტროიტი | | 2,5 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 906 | ფინიქსი-სენტ ლუისი | | 2,0 | 4,0 | 2,1 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | |
| 24.00 | 907 | ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი | | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 24.00 | 908 | ნიუ ჯერსი-მონრეალი | | 1,25 | 4,0 | 5,0 |
| 24.00 | 909 | ტამპა ბეი-აილენდერსი | | 1,9 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 910 | ფლორიდა-ვანკუვერი | | 1,35 | 4,0 | 4,0 |
| 24.00 | 911 | ედმონტონი-დეტროიტი | | 2,5 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 912 | ანაჰაიმი-მინესოტა | | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 24.00 | 913 | სან ხოსე-სენტ ლუისი | | 2,2 | 4,0 | 1,9 |
| 24.00 | 914 | პიტსბურგი-ნეშვილი | | 1,35 | 4,0 | 4,0 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | |
| 24.00 | 915 | ბუფალო-ლოს ანჯელესი | | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 24.00 | 916 | ტორონტო-მონრეალი | | 1,3 | 4,0 | 4,4 |
| 24.00 | 917 | ოტავა-დალასი | | 2,0 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 918 | ფილადელფია-ბოსტონი | | 1,3 | 4,0 | 4,4 |
| 24.00 | 919 | კაროლინა-ვაშინგტონი | | 2,0 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 920 | ატლანტა-რეინჯერსი | | 2,5 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 921 | კოლუმბუსი-ჩიკაგო | | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 24.00 | 922 | ედმონტონი-კოლორადო | | 2,2 | 4,0 | 1,9 |
| 24.00 | 923 | ფინიქსი-მინესოტა | | 1,2 | 4,0 | 5,0 |
| 24.00 | 924 | პიტსბურგი-ნეშვილი | | 1,35 | 4,0 | 4,0 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | |
| 24.00 | 925 | ანაჰაიმი-სენტ ლუისი | | 2,1 | 4,0 | 2,0 |
| 24.00 | 926 | ტამპა ბეი-ვანკუვერი | | 2,1 | 4,0 | 2,0 |
| | | 9 ოქტომბერი | | | | |
| 24.00 | 927 | ბოსტონი-ფლორიდა | | 2,0 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 928 | კოლუმბუსი-ლოს ანჯელესი | | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 929 | ტორონტო-დალასი | | 1,8 | 4,0 | 2,3 |

**დროებით შეჩერდა კროკოს ბიუროთა მუშაობა**

**ბათუმსა და ქუთაისში**

**მუშაობის განახლების თარიღი წინასწარ გამოცხადდება**

### კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა





რიკ სმიტსი (ბურთით)



დეტლეფ შრემპფი



ტერი კამინგსი

# გამოთხოვება ზემერ ვარსკვლავებთან

**გამორჩეული** ხალხი ემშვიდობება ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას. დეტლეფ შრემპფი, რიკ სმიტსი და ტერი კამინგსი ის კალათბურთელები არიან, ვისაც ნბა-ში და არამარტო იქ კარგად იცნობდნენ. ამ ტრიომ რამდენიმე დღის წინ თითქმის ერთდროულად გადაწყვიტა, კალათბურთს გამოთხოვებოდა და ამის თაობაზე დუნიას ამცნო.

39 წლის ტერი კამინგსი ნამდვილად არ არის ყმაწვილ ამერიკელ გულშემატკივართა ერთ-ერთი კერპი. ის დრო, როცა იგი ნბა-ს აზანზარებდა, კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა. კამინგსის 18-წლიანი პროფესიული კარიერა ზუსტად შუაზე გავიყოთ და მივიღებთ ორ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ნახევარს. პირველ ცხრა სეზონს ტერი კამინგსი სიამოვნებით მოიგონებს, ამ დროს იგი ლიგის ერთ-ერთი თვალსაჩინო კალათბურთელი გახლდათ, შემდეგ კი მას ნაკლებად გაუმართლა და მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში ტრავმებით გატანჯული ლიგის არაფრით გამორჩეულ მოთამაშეთა ლეგიონში გაერია.

„სან დიეგო კლიპერსს" (დღეს „ლოს ანჯელეს კლიპერსი") ნამდვილად გაუმართლა, როცა 1982 წლის დრაფტში მეორე ნომრად (პირველი ცნობილი ლეიკერსელი ჯეიმს ვორთი გახლდათ) 21 წლის ნიჭიერი ნასტუდენტარი ტერი კამინგსი აიყვანა. ამ ჯეელმა თავისი სპორტული კარიერა ბრწყინვალე სეზონით დაიწყო. მან ყველა თავის კბილას აჯობა და გახდა სეზონის საუკეთესო ახალბედა მაჩვენებლებით — თამაშში საშუალოდ 23,7 ქულა და 10,6 მოხსნა. კამინგს თავისი გუნდისთვის დიდი სარგებელი მოჰქონდა, თუმცა როცა საქმე „ოლ სტარის" გუნდების დაკომპლექტებაზე მიდგებოდა, ნაკლებად სანახაობრივი თამაშის გამო მას იშვიათად ამჩნევდნენ. ამიტომაცაა რომ 80-იანი წლების ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა კალათბურთელმა მხოლოდ ორჯერ — 1985 და 1989 წლებში მიიღო მონაწილეობა „ოლ სტარის" შოუში. ამავე წლებში იგი ნბა-ს სიმბოლურ ხუთეულებშიც შეიყვანეს (1985 წელს მეორე, ხოლო 1989 წელს მესამე ხუთეულში).

კამინგსის ბრწყინვალე კარიერა 1992 წელს მიღებულმა მუხლის მძიმე ტრავმამ შეაფერხა. იგი მერეც ხშირად ტრავმიანობდა, რის გამოც არცთუ იშვიათად იცვლიდა გუნდებს. თუმცა ასეთი გამოცდილების მქონეს ბევრი კლუბი უღებდა ფართოდ კარს. კამინგსმა შვიდ გუნდში და 1183 შეხვედრაში ითამაშა და სულ დააგროვა 19 460 ქულა (27-ე შედეგი ლიგის ისტორიაში. მატჩში საშუალოდ 16,4 ქულა) და 8 680 მოხსნა (მატჩში საშუალოდ 7,3).

„გოლდენ სტეიტ ვორიორზმა", სადაც კამინგსმა ბოლო ორი სეზონი გაატარა, ღვაწლმოსილი კალათბურთელი დიდი პატივით გააცილა. „ტერი კამინგსი ნბა-ს ტოვებს როგორც ლიგის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი. ვწუხვართ, რომ ასეთ გამოცდილ მოთამაშეს ვკარგავთ. დარწმუნებული ვარ, ისეთი პროფესიონალი, როგორიც ტერია, არასდროს დაიკარგება და რასაც არ უნდა მოჰკიდოს ხელი, ყველა საქმეში წარმატებას მიაღწევს" — თქვა „გოლდენ სტეიტის" გენერალურმა მენეჯერმა გარი სენტ ჟანმა.

წინა სეზონის ნბა-ს ფინალისტ „ინდიანა პეისერზისთვის" რიკ სმიტსი უდიდესი დანაკლისი იქნება. გუნდი განახლებას იწყებს და ამ სეზონთაშორის პერიოდში „პეისერზში" უამრავი რამ შეიცვალა. 224-სანტიმეტრიანმა ჰოლანდიელმა ცენტრმაც სწორედ ახლა გადაწყვიტა, აქტიური კალათბურთისთვის თავი დაენებებინა. ხუმრობა ხომ არაა, მან ნბა-ში 12 კარგი სეზონი გაატარა და წასვლითაც დროულად წავიდა, გუნდი ახალ სისხლს ისხამს. „ეს ძალიან ძნელი გადასაწყვეტი იყო — ამბობდა სმიტსი საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე — ამ ზაფხულს ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ სწორედ ახლაა წასვლის დრო. მინდა, ყველას მადლობა ვუთხრა, ვინც ამ წლებში გვერდში მედგა. „პეისერზს" ვუსურვებ, უმტკივნეულოდ გაეაროს თაობათა ცვლის პროცესი. მე ყოველთვის ამ გუნდის დიდი გულშემატკივარი ვიქნები".

სმიტსი „ინდიანაში" მისვლის დღიდან, ეს კი თორმეტი წლის წინ მოხდა, მუდამ ამ გუნდის ერთგული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ახმახი და მძლავრი ცენტრის ხელში ჩაგდებას ბევრი სხვა გუნდი ცდილობდა და მრავალიც ეპატიჟებოდა. მან „ინდიანას" რიგებში 868 თამაში ჩაატარა და მატჩში საშუალოდ 14,8 ქულა და 6,1 მოხსნა მოუტანა. მშვენიერი მაჩვენებელია ევროპელი კალათბურთელისთვის. იგი გახლდათ კიდეც ერთ-ერთი საუკეთესო ევროპელი პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში — ყოველთვის იყო ნბა-ს ათ საუკეთესო ცენტრს შორის.

სმიტსს პრესკონფერენციაზე მხარს „მამობილი" უმშვენებდა, კლუბის პრეზიდენტი დონი ვოლში, რომელმაც ყმაწვილ ევროპელ გიგანტს ჯერ კიდევ 1988 წელს დაადგა თვალი და დრაფტში მეორე ნომრადაც აიყვანა. „ძნელი დასაჯერებელია, რომ თორმეტი წელი გავიდა — ამბობდა ვოლში — გუშინდელივით მახსოვს ის დღე, როცა რიკი ჩვენთან მოვიდა. მას ნბა-ში ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა და გვწყინს, რომ დღეიდან ჩვენს გვერდით აღარ იქნება. ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებთ მას ოჯახთან ერთად. ისე კი იცოდეს, ჩვენი კარი მისთვის ყოველთვის ღიაა".

ევროპული ლეგიონის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გამოეთხოვა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას. 37 წლის გერმანელ დეტლეფ შრემპფს ნბა-ში სმიტსზე სამი სეზონით მეტი გაუტარებია და ოთხ გუნდში — „დალასში" „ინდიანაში", „სიეტლსა" და „პორტლენდში" უთამაშია. მისი კარიერის მაჩვენებლებია მატჩში საშუალოდ 14,2 ქულა, 6,3 მოხსნა და 3,4 პასი. „სიეტლში" გატარებული ექვსი სეზონი გერმანელი ფრთის კარიერის საუკეთესო მონაკვეთია. აქ იგი გუნდის მესამე ლიდერი გახლდათ შონ კემპისა და გერი პეიტონის შემდეგ. თვითონ ამ „სიეტლის" მწვერვალი კი 1996 წელს ნბა-ს ფინალში გასვლა გახლავთ — იქ შრემპფი და მისი თანაგუნდელები დიდ „ჩიკაგო ბულზთან" სერიაში 2:4 დამარცხდნენ.

დეტლეფ შრემპფი ტიტულებით თუ პირადი მიღწევებით სხვა ევროპელებზე მეტადაა განებივრებული. 1992 წელს „ინდიანაში" თამაშისას იგი სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშედ აღიარეს. მონაწილეობა მიიღო სამ „ოლ სტარში", ხოლო 1994-95 წლების სეზონი იმდენად წარმატებული გამოდგა მისთვის, რომ შრემპფი ნბა-ს მესამე სიმბოლურ ხუთეულში აირჩიეს. მანამდე ეს პატივი წილად ხვდა მხოლოდ აწ განსვენებულ დრაჟენ პეტროვიჩს.

ბოლო სეზონი შრემპფმა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში" გაატარა და ამ გუნდთან ერთად დასავლეთ კონფერენციის ფინალში გავიდა.

**ირაკლი ფირჯშვილი**

# ჰარდევეი მაიამის შეურიგდა

**1 ოქტომბერს** ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში საწვრთნელი ბანკები გაიხსნა. გუნდები ძველ თუ ახალწვეულ კალათბურთელებთან ერთად თითქმის ერთი თვე ივარჯიშებენ ქანცის გაწყვეტამდე და მერე ახალი სეზონის ორომტრიალში გადაეშვებიან.

ახალი შემადგენლობით და დიდი მიზნებით ხვდება სეზონს „მაიამი ჰითი". კლუბის ხელმძღვანელებს მოსწყინდათ ყოველ სეზონში ერთი და იგივე — გუნდი რეგულარულ ჩემპიონატში აღმოსავლეთში ყველას სჯობდა, პლეიოფში კი მაინც ვერ აღწევდა სასურველ წარმატებას. კლუბის მამებმაც ჯიბეზე ხელი გაიკრეს, დატრიალდნენ და „ჰითს" რამდენიმე ახალი მძლავრი კალათბურთელი შეჰმატეს. ესენი არიან: მსროლელი ედი ჯონსი, თავდამსხმელი ბრაიან გრანტი და ფრთა ენტონი მეისონი. დავუმატოთ ძველი ცენტრი ალონზო მურნინგი და მივიღებთ მშვენიერ გუნდს, ლიგის პოტენციურ ჩემპიონთაგან ერთ-ერთს.

მაგრამ კლუბი ისე გაერთო ახალ კალათბურთელთა აყვანით, რომ ძველი დაავიწყდა. „ჰითის" ერთ-ერთმა ლიდერმა, გამთამაშებელმა ტიმ ჰარდევეიმ, რომელსაც ამ ზაფხულს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა, „მაიამის" მამებისგან უყურადღებობა იგრძნო და თვალი „ინდიანასკენ" გაექცა. მას და კლუბის ხელმძღვანელებს „ტკბილი" სიტყვების გაცვლაც მოუხდათ, „მაიამიმ" კინაღამ დაკარგა რიგიანი მოთამაშე და აი, ზედ საწვრთნელი ბანაკების გახსნის წინ, კლუბმა ჰარდევეისთვისაც მოიცალა. როცა კალათბურთელი სიდნეიდან დაბრუნდა და თან ოლიმპიური ოქროს მედალი ჩამოიტანა, მას მშობლიურ მაიამიში ხელმოსაწერად გამზადებული ერთწლიანი და თორმეტმილიონიანი კონტრაქტი დახვდა. მასაც უარი რატომ უნდა ეთქვა და კიდევ ერთი წლით შერჩა პატ რაილის და მის გუნდს.

„ტიმი ბრწყინვალე მოთამაშეა. მოხარული ვართ, რომ იგი კვლავ ჩვენთანაა და საშუალება ეძლევა გუნდის მომავალ წარმატებებში თავისი წვლილი შეიტანოს. ჰარდევეის აქვს ოლიმპიური ჩემპიონის მედალი და კარგი შანსი, მას ნბა-ს ჩემპიონის ბეჭედიც დაამატოს" — „მაიამის" პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი, ლეგენდარული პატ რაილი ოპტიმისტურად უყურებს მომავალს.

არადა, რაილი თავს იკავებდა ჰარდევეის დატოვებაზე, სანამ საბოლოოდ არ დარწმუნდა, რომ კალათბურთელს ძველებურად შესწევდა ბრძოლის ძალა. მისი უყურადღებობის მიზეზიც ეს გახლდათ.

ჰარდევეი რომ დიდი ძალაა, ამას მისი სტატისტიკური მაჩვენებლებიც თვალნათლივ მოწმობს. მას ათწლიან კარიერაში მატჩში საშუალოდ 19,0 ქულა, 8,9 პასი, 3,5 მოხსნა და 1,79 ჩაჭრა დაუგროვებია. იგი მშვენიერი გამთამაშებელია, ლიდერისთვის საჭირო ყველა თვისებებით შემკული. ასე რომ, თუ სეზონი არ ჩააგდო, „მაიამი" მართლაც შეძლებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

ჰარდევეის კარგად თამაშის დიდი სტიმულიც აქვს. ეს ის თორმეტი მილიონია, რომელსაც იგი ამ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში მიიღებს. გვარიანი თანხაა, მით უმეტეს, გამთამაშებლისთვის. კონტრაქტზე ხელის მოწერის დღიდან, იგი ლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი გამთამაშებელია.



ტიმ ჰარდევეი

კორაჩის თასი. პირველი შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

**ბკ გროდნო 71:55 მაკაბი**

4 ოქტომბერი. გროდნო

# პაემანი გადაიდო

## ვერის ბაღის დარბაზი ხარაჩოებითაა: ვიდრე არ „გაიპრანჭება“ ჩემპიონატს ლოდინი მოუწევს

თავდაპირველად მეათე საკალათბურთო ჩემპიონატი 1 ოქტომბერს დაიწყებოდა, შემდეგ კი — 7-ში, „მაკაბის“ კორაჩის თასზე თამაში გადაიდო. ყოველივე ამის დასაზუსტებლად გუშინ კიდევ ერთხელ შევეხმიანეთ — კალათბურთის ფედერაციას და... „გადაწყვეტილი ამბავია, ჩემპიონატს 21-ში ვიწყებთ“ — გვიპასუხა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ.

სიმართლე გითხრათ, არ გაგვკვირვებია, რადგან ყოველი ახალი სეზონის დაწყება რატომღაც მუდამ ფერხდება ხოლმე. რაღა მეათე ეროვნული იქნებოდა გამონაკლისი?

ახლა მიზეზიც ვიქვათ — აკაკი მეგრელაძის განცხადებით, ჩემპიონატი იმტომ გადაიდო, რომ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზს შეკეთება სჭირდება, მის მოწესრიგებას კი დრო უნდა. ხელს მხოლოდ ეს გვიშლისო, დაასკვნა გენერალურმა მდივანმა.

სხვა მხრივ ყველაფერი წესრიგში ყოფილა, გუნდების უმეტესობას სრულად გადაუხდია ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა, 4 500 ლარი. ერთადერთი თბილისის „დინამოა“, რომელსაც სადღეისოდ ფედერაციის ანგარიშზე თანხა არ გადაურიცხავს. თუ „დინამომ“ ფული არ მოიტანა, არ დაუშვებთ და რვაგუნდა პირველობას ჩავატარებთო, ამბობს მეგრელაძე.

რაღა გვერჩის, კალათბურთის გულშემატკივარს ცოტა ხანს კიდევ მოუწევს ცდა. იმედი ვიქონიოთ, რომ ნამდვილად 21-ში დაიწყება ჩემპიონატი, თუმცა გამორიცხული არაფერია...

**გიორგი ბიჭაშვილი**

# ქართველი აკადემიკოსი თურქებს მოუნდათ

## ბულგარელები მუშკუდიანში 200 ათასს ითხოვენ

*ბულგარეთში მოთამაშე ქართველთაგან პირველი დავით მუშკუდიანი და მისი „აკადემიკი“ ჩაება ადგილობრივი ჩემპიონატის ფერხულში. ბულგარეთში ორი კვირის წინ დაიწყო სეზონი, შესაბამისად ორი მატჩი გამართა „აკადემიკმა“ და, სამწუხაროდ, ორივეში მარცხი იწვნია — სტუმრად ვარნაში წაგების შემდეგ ჩვენებურის გუნდს შინ „ამბოლმა“ მოუგო.*

*სწორედ „აკადემიკის“ წარუმატებლობით დავიწყეთ საუბარი დავით მუშკუდიანთან, რომელსაც გუშინ სოფიაში დავუკავშირდით:*



დავით მუშკუდიანი

გურამ მუჰამედიშვილის ფოტო

— „აკადემიკს“ მართლაც უიღბლო სტარტი გამოუვიდა, მაგრამ საგანგაშო ვერაფერს ვხედავ. აუცილებლად გამოვასწორებთ ვითარებას. ისე, არ გვიმართლა, სეზონის დებიუტშივე ლიდერი გუნდები გვერგო მეტოქედ. მათი დამარცხება შეიძლებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ. ვარნაში მსაჯობაც ზედმეტად მიკერძოებული იყო. არბიტრები მასპინძლებს ემხრობოდნენ და ვფიქრობ, ამიტომაც დავმარცხდით. ამ მატჩში მე ძალიან ცოტა ვითამაშე. ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლი ვიტკინე და რომ არ გამხიზხეოდა, შემცვალეს. შინ, „ამბოლთან“ ბოლომდე დავიხარჯე, მაგრამ მოწინააღმდეგე კარგად აღმოჩნდა.

**— „აკადემიკის“ ხელმძღვანელობა, ბუნებრივია, უკმაყოფილო იქნება...**

— წაგება, ცხადია, არავის სიამოვნებს, თუმცა ერთი საყვედურიც არ დაგვცდენია, ყოველივე უიღბლობას მიაწერეს. მარცხის მიზეზები მწვრთნელმაც ვერ დაგვიკონკრეტა, რადგან მის დავალებებს ზედმიწევნით ვასრულებდით. ახლა, შემდეგ ტურში, „ლევსკის“ ვხვდებით და, ალბათ, მასთანაც წავაგებთ, მერე კი უეჭველად დავიწყებთ მოგებას. „აკადემიკი“ მართლა კარგი გუნდია, ჩემპიონატისთვის საფუძვლიანად მოვემზადეთ და მჯერა, რომ ყოველივე აუცილებლად მოიტანს შედეგს.

**— წელს რა იქნება თქვენი გუნდის მიზანი?**

— ოთხეულში მოხვედრა და რომელიმე ევროთასის საგზური. თავიდანვე ეს დავისახეთ მიზნად და საწყისი მარცხების მიუხედავად, იმედი არ გვეკარგება.

**— სეზონებს შორის პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა „აკადემიკი“?**

— რაც მთავარია, შარშანდელი ბირთვი შეინარჩუნეს. მხოლოდ ორი მოთამაშე გვყავს ახალი, ორივენი უკანახაზელები არიან. ლეგიონერი კი, მოგეხსენებათ, მარტო მე ვარ გუნდში.

**— შეგეცვალათ, საცხოვრებელი გამოგიცვლიათ...**

— ასეა. ადრე სასტუმროში ვცხოვრობდი თანაგუნდელთან ერთად, ახლა კი ცალკე ვარ. დარბაზიდან ახლოს კეთილმოწყობილი ოროთახიანი ბინა გამიქირავეს.

**— ადრე ამბობდით, რამდენიმე წინადადება მივიღე და კარიერის, ალბათ, სხვაგან გაგრძელებაო. ყველა ვარიანტი ჩაიშალა?**

— წინადადებები ახლაც მაქვს, მაგრამ აქაური ცოცხალი თავით არსად მიშვებენ. კონტრაქტით კიდევ წელიწადნახევარი უნდა ვითამაშო „აკადემიკში“ და იქამდე თუ ვერსად წავედი, მერე უფრო წავალ. მეხვეწებიან, კიდევ ორი წელი გაგვიგრძელე კონტრაქტიო, მაგრამ უარს ვეუბნები. სულ ახლახან, ორი დღის წინ, დამირეკა ჩემმა მენეჯერმა ნიკოლაი ტენევმა და თურქულ ვარიანტზე შემომთავაზა. მე, ცხადია, თანახმა ვარ, თურქეთში ვითამაშო, მაგრამ აქაურები არ მიშვებენ. თურქული გუნდი 50 000 დოლარს იხდის ჩემში, „აკადემიკის“ პრეზიდენტი კი 200 000-ს ითხოვს, ამაზე ნაკლებად არაფრით გაგიშვებთო, ამბობს. ისე, ეს საკითხი, კვლავ დღის წესრიგში დგას, ტენევი მოლაპარაკებას აწარმოებს მხარეებთან და გამორიცხული არ არის, მალე თურქეთში ამოვყო თავი. სხვათა შორის, „აკადემიკის“ პრეზიდენტი მპირდება, ესპანურ ვარიანტს გაგიჩენთო, ოღონდ სამომავლოდ. ესე იგი, მალე გაირკვევა ყველაფერი. მანამდე კი კვლავ „აკადემიკისთვის“ ვთამაშობ.

**გიორგი ბიჭაშვილი**

# მულინი კვლავ მეომარია

**„ინდიანა პეისერზში“** გატარებული სამი სეზონის შემდეგ თავის პირველ გუნდს, „გოლდენ სტეიტ ვორიორზს“ უბრუნდება 37 წლის კრის მულინი, 80-90-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე. „კარიერა აქ დავიწყე და ალბათ აქვე დავასრულებ — ამბობს ვეტერანი კალათბურთელი — მე ვბრუნდები იმ გუნდში, რომელთანაც უამრავი ბრწყინვალე მოგონება მაკავშირებს. ახალგაზრდა და ნიჭიერი მოთამაშეებით სავსე მშვენიერი გუნდია და, ვფიქრობ, ამ ბიჭებს ჩემი გამოცდილებით დავეხმარები. იმედი მაქვს, მომავალ წარმატებებში მეც შევიტან მოკრძალებულ წვლილს.“

გვარიანად შებერებული მულინი „ინდიანაში“ მიმდინარე თამაშთა ცვლის მსხვერპლი შეიქნა. მას ჯერ კიდევ აკავშირებდა „პეისერზთან“ კონტრაქტი, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ მაინც გაუშვა გუნდიდან, რა ქნათ, აღარ გვჭირდებით და ღვაწლმოსილ კალათბურთელს ოთხივ მხრივ გზა დაულოცა. სად წავიდოდა მულინი, თუ არა „გოლდენ სტეიტ ვორიორზში“. ვეტერანი ფრთა ისევ იმ გუნდმა შეიფარა, რომელშიც მან თავისი კარიერის პირველი თორმეტი სეზონი გაატარა. „ჩვენ ნამდვილად გვიხარია, რომ კრისი დავიბრუნეთ. იგი ძლიერი კალათბურთელია, მეტად საჭირო მოედნის ორივე ბოლოში. მისი გამოცდილება ხომ პირდაპირ მისწრებაა ჩვენი ახალგაზრდა კალათბურთელებისთვის“ — თქვა „მეომართა“ გენერალურმა მენეჯერმა გარი სენტ ჟანმა. კლუბმა ამ დღეებში გააცილა გამოცდილი ტერი კამინგსი და ახლა მის შემცვლელად და გამოუცდელთა მოედანზე მასწავლებლად სწორედ მულინი ეგულება. ამ მხრივ უკეთესს ვერც ნახავდა.



კრის მულინი (ბურთით)

თვალი შევავლოთ მულინის მიერ ნბა-ში განვლილ გზას. იგი ასოციაციაში 1985 წელს მოვიდა. მულინმა თორმეტი წელი უერთგულა ამ გუნდს და მასთან ერთად გაიარა აღმავლობის თუ დაღმავლობის პერიოდები. იგი იმ იშვიათ თეთრკანიანთაგანია, რომლებიც ზანგებს ტოლს არაფერში უდებენ. მულინი წლების განმავლობაში თავის ამპლუაში მხოლოდ ლეგენდარულ ლარი ბერდს თუ ჩამორჩებოდა.

დიდი გუნდური წარმატებები არ ჰქონია, როგორც სანახაობრივი და ლაღი თამაშის მოტრფიალემ კი უამრავი თაყვანისმცემელი გაიჩინა. სან ფრანცისკოში, სადაც „ვორიორზს“ დაუდგია ბინა, ახლაც ახსოვთ კრის მულინი. რაც შეეხება პირად მიღწევებს, მან 1989-92 წლებში ოთხჯერ ითამაშა „ოლ სტარში“, 1992 წლის ბოლოს კი ნბა-ს პირველ სიმბოლურ ხუთეულშიც შეიყვანეს, მაშინ, როცა ეს პატივი იმ სეზონში ბევრ სუპერვარსკვლავს არ ხვდა წილად. მულინის სპორტული კარიერის უდიდესი ჯილდოები კი 1984 წლის ლოს ანჯელესის და 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიადებს უკავშირდება. იქ მან ორი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა — პირველად, როცა სტუდენტი იყო, მეორედ — უკვე დაღვინებული მოთამაშე. თუნდაც ის ფაქტი, რომ მულინი 1992 წელს შეიყვანეს საბარსელონოდ გამზადებულ პირველ და ნამდვილ „ოცნების გუნდში“, კალათბურთელს უდიდესი პატივით მოსავს.

სულ კარიერაში მულინს 966 მატჩში უთამაშია და თითოეულ შეხვედრაში საშუალოდ 18,4 ქულა, 4,1 მოხსნა, 3,6 პასი და 1,57 ჩაჭრა მოუტანია თავისი გუნდებისთვის.

**ივანე კობიაშვილი**

## ევროპული ამბები

### საფრანგეთი

# შირაკის ფანტასტიკური კალათბურთელები

**ოლიმპიადაზე** კალათბურთელთა ტურნირში ყველაზე მეტად, ალბათ, ლიტვამ დაგვამახსოვრა თავი, რადგან ბალტიისპირელებმა ამერიკის საოცნებო გუნდს ორჯერ თანაბარი ბრძოლა გაუმართეს და მეტიც, ნახევარფინალში კინაღამ დაუმსხვრიეს კიდეც ოცნება. თუმცა ოლიმპიურ თამაშებზე იყო კიდევ ერთი ევროპული ნაკრები, რომელიც ასევე ორჯერ შეხვდა აშშ-ს და ორივე თამაში საპატიოდ წააგო. ამის გარდა საფრანგეთმა პროფესიონალებით გაძლიერებულ კანადასა და მასპინძელ ავსტრალიას სულ კუდით ქვა ასროლინა და ვერცხლის მედლებს სავსებით დამსახურებულად დაეუფლა.

კვირას ფრანგთა საამაყო თამაში სიდნეიში ქვეყნის თავკაცებმაც დააფასეს და თავიანთი კალათბურთელებისა და მათი მთავარი მწვრთნელის ჟან-პიერ დე ვინჩენცის მიმართ ქების და მადლიერების სიტყვებიც არ დაიშურეს.

„გმადლობთ ამ სანახაობისთვის, ამ სიხარულისთვის, რომელიც მთელი ტურნირის მანძილზე განგვაცდევინეთ. ეს ისტორიული მედალია, რომელმაც ატლანტის შედეგი გაგვაუმჯობესებინა. თქვენი წყალობით კალათბურთი საფრანგეთში უფრო პოპულარული გახდება, რაც მომავალი წარმატებების საწინდარია. ფინალური მატჩი ნამდვილად მშვენიერი სანახავი იყო. ამერიკელებს ტოლ-სწორად ეთამაშეთ. ანგარიშში ჩამორჩენილებს გამარჯვების იმედი არ გადაგიწურიავთ და ბოლომდე თავდადებით იბრძოლეთ. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი მეტოქეს ოთხ ქულამდეც წამოეწიეთ და კინაღამ ლიტვის მიერ ვერმოხდენილი სასწაულის ავტორები გახდით. ყველაფერ ამისთვის მთელი ფრანგი ხალხის სახელით გიხდით მადლობას“ — ამ სიტყვებით მიმართა ფრანგ კალათბურთელებს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ლიონელ ჟოსპენმა.

ქვეყნის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა კი თავის კალათბურთელებსა და მათ მიერ სიდნეიში ნაჩვენებ შედეგს ფანტასტიკური უწოდა. „თქვენ საფრანგეთის გუნდური სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ფურცელი ჩაწერეთ“ — ნათქვამია პრეზიდენტის მიმართვაში.

**გაიოზ თალაკვაძე**




საფრანგეთი ამ ხალხით ამაყობს

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS კიტოდან

# ჰონლიდი იმკის

ბევრ პროფესიონალს შეშურდება ის ყოველგვარი მოსავალი, რაც მოყვარულმა მოკრივემ, პოლიციელმა ვიჯან პონლიდმა სიდნეის ოლიმპიადაზე ჩხუბით მოიმკო. მილიონი დოლარი მთავრობისგან, 20 მილიონი ტაილანდური ბატი (480 ათას დოლარამდეა) სპონსორთაგან და ა.შ., ფოტოზეც: ხალხის სიყვარული და ავტოგრაფთა მოთხოვნა. პონლიდი მარცხნივაა, მარჯვენას კი პორნჩაი თონგბურნი ჰქვია. მოკრივეა ისიც, ტაილანდელი...



REUTERS ბანგკოკიდან

# დაასვენეთ, დაიღალა!

ოლიმპიადაზე გასაყათებული ივან სამორანო ახლა კიტოშია, სადაც ეკვადორთან მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩს ითამაშებს. ქებული ჩილელის ფეხბურთელის გამოჩენა რა შეიტყვეს, ადგილობრივმა ფანებმა უმალ საავტოგრაფო ექსპედიცია წამოიწყეს და აგერ, ფანჯარას არ ახურინებენ ფეხბურთელს, რათა ცოტა დაისვენოს.





REUTERS სენტ ლუისიდან

# ქუდთა ღაღადი

სენტ ლუისში ახალი გამოცოცხლებაა. იქაურთა სათაყვანო ბეისბოლის გუნდი „სენტ ლუის კარდინალზი“ პლეი ოფს „ატლანტა ბრეივზთან“ თამაშობს და გულშემატკივრები საამშემთხვევოდ მზად არიან. მაგალითად, ვინმე პოლ პეგანოს ქუდლოზუნგა ახურავს, რომელზეც „მიაწექით, კარდინალებო, მიაწექით“ და მისთანები აწერია. „კარდინალები“ ამას წაიკითხავდნენ.

# ჩვენია, არა, ჩვენია...



REUTERS ლოთ ლოთმონდიდან

„სოლჰეიმის თასი“ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების რჩეულ მეგოლფე დიაცთა შორის შოტლანდიაში თამაშდება ხოლმე. თასის დათრევის სურვილი ორივე სამყაროს შვილებს დიდი რომ აქვთ, ფოტოდან ჩანს: კაპიტნებს, ევროპელ დეილ რიდსა (მარცხნივ) და პატ ბრედლის საგოლფე დავის საგანი ენერგიულად ჩაუბღუჯავთ, ოღონდ ჩაბღუჯვით საქმე ვერ გაკეთდება, ყვანჯის გონივრული ქნევაა საჭირო, რაც ხვალიდან უნდა დაიწყოს.

# ღიმილი საქმეს სჭირდება

ფოტოზე არცერთს ეტყობა, რომ სულით და გულით იღიმის. ფორმულელი რუბენს ბარიკელო (მარჯვნივ) ალბათ იმაზე ფიქრობს, უქმეებზე იაპონიაში სამასით გაქანება ერთხელაც რომ მოუწევს, ხოლო კომპანია „ბრიჯსტოუნის“ პრეზიდენტს, იოშირო კოსაკის სავარძელი მოერყაო, იძახიან და პრეზიდენტად იქნებ მარტამდეც ვერ გააღწიოსო. მარტში უფლებამოსილების ვადა ისედაც უსრულდება. ასევე იღიმიან BMW-ს მოტოსპორტის განყოფილების დირექტორი, მარიო ტაისენი და ჯენსონ ბატონი, რომელთაც BMW-ს ახლებური საჭე უჭირავთ.





REUTERS ტოკიოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge